


# Հայոց Հրաբուժիչութեան Դիմում ՀՀ Ազգային Ժողով Նախահայտը



სახწავლო მასალების კრებული მომზადებულია პროექტის „ტოლერანტობის შექნებლობა საქართველოში ისტორიის სწავლების გზით“ ფარგლებში, პოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის (მატრა) დაფინანსებით  
ევროკლიო/მატრას პროექტი 2008/2011

## რობორ ვიცეოგრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში

29 სამუშაო ფურცელი (გაკვეთილი) ისტორიის ინტერაქტიული სწავლებისათვის

### პოლონების ტოლერანტობი

იორე ვან დერ ლეუ-რუდი, ევროკლიოს – ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, პროექტის მთავარი მენეჯერი

სტივენ სტიგერსი, ბლანდინ სმილანსკი, პატრიკ ბარკერი, ევროკლიოს – ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაციის სამდიგნოს წევრები, პროექტის მენეჯერები

ნანა ციხისოთავი, ელენე მემარიაშვილი, პროფესორი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია, პროექტის კოორდინატორები

### პროექტის აღგილობრივი მძსელთვები

თეა ქარჩავა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ისტორიის ექსპერტი ლევან ახვლედიანი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის გაზეო „დიალოგის“ პროექტის მენეჯერი

გიორგი გახელაძე, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი

### საერთაშორისო მძსელთვები

რუმიანა გუშევა, მთავარი ექსპერტი, პროფესორი, ინფორმაციისა და პრაქტიკოს პედაგოგთა მომზადების დეპარტამენტის დირექტორი, ევროკლიოს პროექტის „ევროპის დიალოგი, კულტურის ცისარტყელა მომავლისათვის“ კოორდინატორი, ბულგარეთი

რობერტ მაიერი, დოქტორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გეორგ ეკერტის სახელმძღვანელოების კალევის საერთაშორისო ინსტიტუტი, ბრაუნშვაიგი, გერმანია

ეიალ ნაგები, პროფესორი, ისრაელის დემოკრატიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პოლიტიკური საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელი, ისრაელი

ვიკენ ჩეტერიანი, დოქტორი, პროგრამა CIMERA-ს დირექტორი, შვეიცარია

ელმა პასიმბეგოვიჩი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, ევროკლიოს სარესურსო წიგნის „ჩვეულებრივი ხალხი არაჩვეულებრივ ქვეყანაში. ყოველდღიური ცხოვრება ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ხორვატიასა და სერბიაში 1945-1990 წლებში“ თანარედაქტორი, ბოსნია-ჰერცოგოვინა

მარგარეტ გესტსდომირი, ისლანდიის უნივერსიტეტი, რეიკიავიკის არმულის კოლეჯის ისტორიის პედაგოგი, ევროკლიოს ყოფილი პრეზიდენტი და საბჭოს წევრი, ისლანდია

დინ სმარტი, პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი, ევროკლიოს ყოფილი პრეზიდენტი, ევროკლიოს საბჭოს წევრი, ბრიტანეთის ისტორიის მასწავლებელთა საგანმანათლებლო ქსელის (HTEN) მდივანი და ისტორიის სწავლის, სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო ურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, დიდი ბრიტანეთი

ძინტრა ლიეპინა, პედაგოგი, ისტორიის სწავლების მეთოდისტი, ევროკლიოს საბჭოს ყოფილი წევრი, ისტორიის პედაგოგთა ლატვიის ასოციაციის წევრი, ლატვია

ოლივერ რაისნერი, დოქტორი, ადამიანის უფლებათა პროგრამის მენეჯერი, ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში, გერმანია

ინეკ გელდჰუის-მეესტერი, დამოუკიდებელი კონსულტანტი ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიაში, ისტორიის პედაგოგთა პოლანდიის ასოციაცია, ნიდერლანდები

ფრანსუაზ კომპანიე, დოქტორი, კულტურის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის დეპარტამენტი, სოციოლოგიის ფაკულტეტი, ვრიიეს უნივერსიტეტი, ამსტერდამი, ნიდერლანდები

ტომას შერლოკი, პროფესორი, ვესტ პოინტის სამსედრო აკადემია, ამერიკის შეერთებული შტატები

იულია გუშნერიოვა, პედაგოგი, ისტორიის სწავლების მეთოდისტი, ევროკლიო/მატრას პროექტის „კულტურულების მოზაიკა“ თანაავტორი, ისტორიის მასწავლებელთა მოსკოვის ასოციაცია, რუსეთი

ირინა გოსტიუკი, პედაგოგი, ისტორიის სწავლების მეთოდისტი, ევროკლიო/მატრას პროექტის „ახალი დროება, ახალი ისტორია“ კოორდინატორი, ნივა-დობა, ისტორიის მასწავლებელთა უკრაინის ასოციაცია, უკრაინა

## სარედაქციო პოლებია

რუმიანა კუშევა (მთავარი რედაქტორი), ელისაბედ ჩუბინიშვილი, ნინა ზულუმიანი, მანანა შეყილაძე, ეველინა მამელია, ოლივერ რაისნერი (კონსულტანტი)

## აპტორები

### ჯგუფი: მულტიეთნიკური საქართველო

ნინო ჩიქოვანი (ჯგუფის ხელმძღვანელი), მარლენ შენგელია, ზურაბ ლაოშვილი (1), სედა მელქუმიანი (2; 3), ნონა ჭილდაძე (4), ელენე ბოდაველი (5; 6), ნანა სოლოდაშვილი (7), ქათა ქადაგიძე (8), შორენა ხეცურიანი (9)

### ჯგუფი: ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება

ნაირა მამუკელაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი; 15; 16), ნუგზარ მოლაშვილი (10)

ნარგის ნაბიევა, ელურა ალიევა (11), მადონა მიქელაძე (12), ნანა აგასაშვილი (13), ლამარა მარგოშვილი (14)

### ჯგუფი: მიგრაცია

ცირა ჩიკვაიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი; 18; 22; 23), ია ხუბაშვილი (17; 23), ლელა გაბაშვილი, ოთარ ჯანელიძე (19; 20), ამირან ჯამაგიძე (21)

### ჯგუფი: რელიგია

ბესო ლორთქიფანიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი; თანააგზორი 24-28), ნათია ფირცხალაგა (თანაავტორი 24-26), ქათა ქადაგიძე (თანაავტორი 27, 28), ნათია ნამიჭელიშვილი, ნუგზარ ბარდაველიძე (29)

რუკები შეადგინა მანანა შეყილაძემ

**დიდი მაღლობა ნიდერლანდების სამეცნის მთავრობას, მატრას პროგრამას პროექტის დაშინესებისათვის**

გამომცემლობის რედაქტორი – ნათელა თუხარელი  
დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა – მავრა ბანცური

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (იმსა)  
კრებული განთავსებულია იმსა-ს ვებგვერდზე [www.imsa.ge](http://www.imsa.ge)

ISBN 978-9941-0-3633-0

## **ძვირფასო მეგობარო,**

ამ წიგნის დახმარებით გაიგებ, თუ როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში ჩვენს სამშობლოში – საქართველოში სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის ადამიანებმა. ეს წიგნი დაგაფიქრებს კითხვებზე: რა გავლენა იქონია წინა საუკუნის მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენებმა ჩვენს თანაცხოვრებაზე? რატომ მიიჩნევდნენ განსხვავებული ეროვნებისა და რწმენის ადამიანები თავს ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად ან რა უშლიდა მათ ხელს ამაში? როგორ მოახერხეს მცირერიცხოვანმა ერებმა და რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებმა თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნება? რამ შეუწყო ან შეუშალა ამას ხელი? რა როლი ითამაშეს მათ საქართველოს XX საუკუნის ისტორიაში და ა.შ.

ამისათვის გაეცნობი სხვადასხვა სახის წყაროებს, რომლებიც დაჯგუფებულია ოთხი დიდი თემის – მრავალეროვანი საქართველო, ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება, მიგრაცია და რელიგია – მიხედვით. ეს ის თემებია, რომელთა გაცნობა შენ გვერდით მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანს უფრო ახლობელს გახდის. დარწმუნდები, რომ ეროვნული და რელიგიური მრავალუეროვნება ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეა, რომ მხელოდ მშვიდობიანი თანაცხოვრება, ურთიერთობაგება, ერთმანეთის კულტურის, ადათ-ჩვევების, ტრადიციებისა და ლირებულებების ცოდნა, ურთიერთპატივისცემა ქვეყნის წარმატებული განვითარების საწინდარია.

ყოველი გაპეტილი მოიცავს საკვანძო და განმაზოგადებელ კითხვებს, სხვადასხვა სახის წყაროსა და მრავალფეროვან დაგალებებს. საკვანძო კითხვა დაგენერირება აღმოაჩინო გაკვეთილის მთავარი იდეა, განმაზოგადებელი კი – ამ იდეის ირგვლივ მსჯელობასა და დასკვნების გამოტანაში. წყაროები ისე არის შერჩეული, რომ ერთსა და იმავე საკითხზე ზოგჯერ განსხვავებულ შეხედულებას გაეცნო. დავალებები სხვადასხვა საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დაგენერირება.

ამ წიგნის შექმნაში ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ავტორები სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა. იმედი გვაქვს, ეს წიგნი ერთმანეთის, სხვადასხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეების უკეთ გაცნობაში დაგენერირება და ურთიერთპატივისცემას გასწავლის.

# როგორ ვიცხოვდეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში

**29 სამუშაო ფურცელი (გაკვეთილი) ისტორიის  
ინტერაქტიული სწავლებისათვის**

## მრავალეთნიკური საქართველო

1.	„ობილისური ეზო“ .....	6
2.	ჩავაბარეთ თუ არა ტოლერანტობის გამოცდა ავტედობის ჟამს?.....	10
3.	დუხობორები საქართველოში.....	14
4.	„კავკასიური ეზო“ სოფელ ბარალეთში.....	16
5.	ცხინვალი 1990–იანი წლების დასაწყისამდე – ერთიანობა მრავალფეროვნებაში .....	20
6.	რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს? .....	24
7.	1989 წლის 9 აპრილი.....	26
8.	თბილისის მელპომენა (XX საუკუნის თბილისის ოეატრალური ცხოვრება) .....	30
9.	ედემის ბადი „სამხრეთის ციმბირში“ .....	34

## ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება

10.	შერეული ქორწინებები საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში .....	38
11.	ერთი ქუჩა მარნეულში .....	42
12.	ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“ ჩაქვში .....	46
13.	უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში.....	50
14.	ქისტები XX საუკუნის საქართველოში.....	54
15.	ესპანელი ბებიის ისტორია .....	58
16.	ეთნოკონფლიქტები და ბავშვები .....	62

## მიგრაცია

17.	„გაყოფილი ლუკმა“ .....	66
18.	მუდმივად სამშობლოს ძიებაში (მესხეთიდან დეპორტირებულები) .....	70
19.	რუსთავი – „ორმოცი მმის“ ქალაქი .....	78
20.	„აგორებული ქვები“ (ეპოლოგიური მიგრანტები საქართველოში) 84	
21.	მედლის ორი მხარე: ქართველები და ოსები (XX საუკუნის 90-იანი წლები) .....	90
22.	სამი ქალის დღიური: ბალტიისპირების ბედი საქართველოში.....	94
23.	„სხვა საქართველო სად არის?“: 1990-იანი წლების ემიგრაცია.....	102

## რელიგია

24.	კანონი და რეალობა .....	106
25.	„უდმერთო“ საქართველო.....	108
26.	ფარული ლოცვა.....	112
27.	თანამშრომლობა თუ შეუწყნარებლობა?! .....	116
28.	საქართველო მართლმადიდებლებისთვის .....	120
29.	კათოლიკები XX საუკუნის ქუთაისში .....	124

## 1. „თბილისური ეზო“

**საპანაძო პილეგა:** რას ნიშნავს „თბილისური ეზო“?

### ყურადღება 1. თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

1930-იან წლებში თბილისის მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენდნენ ქართველები, სომხები და რუსები. დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებიდან თავისი რაოდენობით გამოირჩეოდნენ ოსები, ქუროვები, ბერძნები, ებრაელები, აზერბაიჯანელები და უკრაინელები.


„თბილისი“, გკონიგიურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989, გვ.128.

### ყურადღება 2. XX საუკუნის დასაწყისის თბილისური სახლი, ეზო და ქუჩა


ა)



ბ)



### ტემა 3. „შემოსავლიანი სახლების“\* მდებარეობა თბილისში XX საუკუნის დასაწყისში



#### დავალება 1:

1. მოძებნე რუკაზე თბილისის ის უბნები, სადაც ე.წ. „შემოსავლიანი სახლები“ არსებობდა.
2. ივარაუდე, რატომ გაჩნდა ასეთი სახლები და რა ისტორიულმა მოვლენებმა შეუწყოა ამას ხელი?

\* XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თბილისის სწრაფი ზრდის გამო, გაგრცელდა რამდენიმესართულიანი გასაქირავებელ ბინებიანი სახლები, რომლებსაც შემოსავლიან სახლებს უწოდებდნენ.

## ღყარო 4. ინგლისელი დიპლომატი თბილისის შესახებ

... იქ ცხოვრობენ არა მარტო ქართველები, არამედ რუსები, სომხები, სპარსები, თათრები, ცოტა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები, ფრანგები და სხვანი ... თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც ადამიანმა შეიძლება იცხოვროს ისე, რომ სკოლა არ სტანჯავდეს ...

სერ ჯონ როდიგერ უორდროპი (1864-1948), ინგლისელი დიპლომატი.

## დაგანვითარება 2:

განმარტე, წელი 4-ის მიხედვით, რას შეიძლება ნიშნავდეს უორდროპის გამონათქვამი თბილისის შესახებ?

## ღყარო 5. ყოველდღიური ცხოვრება თბილისურ ეზოში

ა) დავიბადე და გავიზარდე ვერაზე, წილკანის ქ. №7-ში (ახლანდელი დამბაშიძის ქუჩა). იქ ვცხოვრობდი XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, 33 წლის განმავლობაში. ეს იყო ლამაზი, ორსართულიანი სახლი, სადაც შვიდი ოჯახი ცხოვრობდა. ჩვენი ეზო გამოირჩეოდა მრავალეროვანი მოსახლეობით. იქ ვცხოვრობდით ქართველები, პოლონელები, რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები. ერთმანეთთან იმდენად კარგი დამოკიდებულება გვქონდა, რომ დავნათესავდით ნაოელმირონობით. ჩვენი ოჯახების სახლის კარი არც კი იკეტებოდა, მხოლოდ ქუჩის კარს კეტავდნენ. ერთხელ, მასსოვს სკოლიდან დავბრუნდი. ჩემი ოჯახის წევრები შინ არ დამხვდნენ. ჩვენმა პოლონელმა მეზობლებმა შემიპატიუეს და გამიმასპინძლდნენ კიდევ.

თუ რომელიმე მეზობელს სტუმარი ჩამოუკიდოდა და შინ არავინ დახვდებოდა, აუცილებლად მეორე მეზობელი შეიპატიუებდა ხოლმე. დიასახლისები ერთად მიდიოდნენ ბაზარში და სადამობით ჩაის სვამდნენ. თუმცა იყო ხოლმე უთანხმოებაც, მაგრამ მირითადად ყოფითი პრობლემების გამო.

ინტერვიუ თბილისის მცხოვრებთან იზოდდა რობაქიძესთან, 77 წლის,  
ჩაიწერა პ. ხელისამანა, 2009 წლის 26 სექტემბერი.

ბ)



ქურთების ქორწილი

გ) 20 წელი ვიცხოვრე ე.წ. „შემოსავლიან სახლში“, რომელსაც ჩვენ იტალიურ სახლს უქადაგით. ასეთ ეზოში დაგიბადე და ჩემი ბავშვობის მეგობრებიც თხები, სომხები, უკრაინელები, ქართველები, ბერძნები და აზერბაიჯანელები იყვნენ. მასთვის ჩვენი პაპები აღდგომას ერთმანეთს საადგიგო კვერცხების ჭახუნით ულოცავდნენ. ქალებიც მეგობრობდნენ, თუმცა სარეცხის გამო კონფლიქტიც მოსდიოდათ (ისინი ერთმანეთს უჯიბრებოდნენ, ვის უფრო ქაოქათა სარეცხი ექნებოდა). მამაკაცები ნარდის თამაშითა და ქიფით ირთობდნენ თავს, ბავშვები კი ერთმანეთის ენაზე ვსაუბრობდით. ყოველ-დღიურ ცხოვრებაში შევისწავლეთ სომხებმა ქართული, ქართველებმა სომხური, აზერბაიჯანული და უკრაინული ენები.

თბილის მცხოვრების 48 წლის რიტა სააკიანის ინტერვიუ.  
ჩაიწერა შ.ხევურიანმა, 2009 წლის 26 სექტემბერი.

დ) ჩვენს ეზოში უკვე მერამდენე თაობა დაიბადა XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ერთად ცხოვრობდნენ ჩვენი პაპები, მამები, ჩემი თაობა და ახლა ჩვენი შვილებიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1990-იანი წლებიდან მეზობლებმა მასობრივად დაიწყეს საქართველოდან წასვლა. ებრაელი ისრაელში წავიდა, რუსი მეზობელი ქალიშვილებმა წაიყვანეს რუსეთში, ზოგიერთი სომეხი გერმანიაში წავიდა. მათი გადინების ძირითადი მიზეზები ეცონომიკური და სოციალური ვითარება იყო. ამ მეზობლების ბინები შემდგომში აფხაზეთიდან დევნილებმა იყიდეს.

თბილის მცხოვრების 53 წლის ქვეთვას გვინჩიძის ინტერვიუ.  
ჩაიწერა შ.ხევურიანმა, 2009 წლის 26 სექტემბერი.

### დაგალება 3:

- დაასახელე მრავალეონიკური მოსახლეობის თანაცხოვრების დადებითი მხარეები.
- მონახე წყაროში 5 ა, გ, დ ფრაზა, რომელიც უორდობას აზრს ადასტურებს.
- ივარაუდე, რა როლი ითამაშა მსგავსი აგმოსფეროს შექმნაში „შემოსავლიანმა სახლებმა“?
- დაწერე ვიკიპედიისთვის მოკლე ინფორმაცია „თბილისურ ეზოებზე“ და მოამზადე ის გებგვერდზე დასაღებად.
- გაითამაშეთ სცენა თბილისური ეზოს ცხოვრებიდან.

**განვითარებაზე კითხვა:** რაში გამოიხატება თბილისური ეზოების განსაკუთრებული კოლორიტი?

## 2. ჩავაძარეთ თუ არა ტოლერანტობის გამოცდა აგენტობის შამს

**საპვანო კითხვა:** შეიძლება თუ არა ეთნოკონფლიქტების ფონზე კეთილმეზობლობის შენარჩუნება?

**შემთხვევა 1.** 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტის შედეგები ცხინვალის შემოგარენში



ა. კონფლიქტის ზონა,  
1993 წლის ნოემბერი



ბ. სოფელი ერგნეთი,  
1992 წლის აპრილი

### დაგენერაცია 1:


დააკვირდი წყარო 1-ს. ეთნოკონფლიქტის რა შედეგები ჩანს ფოტოსურათებზე და, შენი აზრით, რა დარჩა კადრს მიღმა?

**შემთხვევა 2.** ოფიციალური ინფორმაცია ერგნეთის ბაზრობაზე

1996 წელს ამოქმედდა „ერგნეთის ბაზრობა“, სადაც გაჩაღებული იყო კონტრაბანდული საქონლით გაჭრობა. იგი სწრაფად იქცა დიდი შემოსავლის წყაროდ. საგარაუდოდ, ამ ბაზრობის გავლით, საქართველოში შემოედინებოდა და საქართველოდან ცხინვალის რეგიონის გავლით რუსეთში გადიოდა მილიარდ დოლარამდე ღირებულების კონტრაბანდული საქონელი. ერგნეთის ბაზრობის მეშვეობით დანარჩენ საქართველოში ნარკოტიკები და იარაღი გრცელდებოდა.

ვაჟინული კონფლიქტები, 1994-1999 წლები.  
<http://www.report.smr.gov.ge/chapter2.html>

### შესრულებული 3. ერგნეთის ბაზრობის ადგილმდებარეობა



ავტორი: ზურაბ ლათშვილი

### შესრულებული 4. ერგნეთის ბაზრობის სატელიტური სურათი (2001 წ.)



### შესრულებული 5. ერგნეთის ბაზრობაზე



ა



ბ

#### დაგენერაცია 2:

1. გააანალიზე წყაროები 3, 4 და 5. რომ ახსნი ერგნეთის ბაზრობის არსებობას? როგორ ახსნი მის ადგილმდებარეობას? რატომ შეიძლება მივიჩნიოთ ერგნეთის ბაზრობა თავისთავად შექმნილ სახალხო ბაზრობად?
2. აღწერე წყარო 5 ა და ბ. ერთი შეხედვით, რა შთაბეჭდილებას ტოვებს გარეშე დამაკირვებელზე ეს ფოტოები?

## შესახებ 6. ერგნეთის ბაზრობის მოვაჭრის მოგონებები

2003 წელს, ბერის საცდელად, ბენზინმზიდით უფულოდ ჩავედით ერგნეთის ბაზრობაზე. იქ სრულიად შემთხვევით შევხვდით ცხინვალელ ოსებს, რომლებმაც ბენზინი შემოგვთავაზეს, თანხას კი რეალიზაციის შემდეგ გადავიხდიდით. დათქმულ ვადაში ფული ჩავუტანეთ და ასე ავაწყეთ ბიზნესი. მაღვე ნათელ-მირონებიც გავხდით.


ინტერვიუ თბილისელ მოქალაქე ლევან პეტრიაშვილთან, 48 წლის, ჩაწერა მარლენ შენგალიამ, 2009 წლის 5 ოქტომბერი.

## შესახებ 7. სელისუფლება ცხინვალის რეგიონში ვითარების გამწვავების შესახებ

2004 წლის აგვისტოსთვის ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. სამართალდამცავებმა დაიწყეს ქმედითი ღონისძიებების გატარება კონტრაბანდის აღსაკვეთად.

კარდების რეგოლუციის შემდგომი პერიოდის ანგარიში, 2008 წლის იანვარი,  
<http://diaspora.ge/files/faili/chapter4.html>

## შესახებ 8. ერგნეთის ბაზრობის ტერიტორია 2004 წელს



### დაგალება 3:

1. განსაზღვრე, წყაროების 2-7 მისედვით, როგორ აფასებდნენ ერგნეთის ბაზრობას სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოება?
2. ჩამოაყალიბე შენი საკუთარი პოზიცია ერგნეთის ბაზრობის არსებობასთან დაკავშირებით.

## შესახებ 9. სელისუფლება ერგნეთის ბაზრობის დახურვის შედეგების შესახებ

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში არსებული ერგნეთის ბაზრობის დახურვამ და კონტრაბანდული გზების გადაკეტვამ საბაჟო შემოსავლები მკვეთრად გაზარდა და საბაჟო გეგმების შესრულებამ [2004წ.-რედ.] იანვარ-აგვისტოში 107% შეადგინა. ცხინვალის რეგიონში არსებული კონტრაბანდული ტფირობრუნვის გამო საქართველოს 120 მილიონი აშშ დოლარის ზარალი ადგებოდა ყოველწლიურად.

„სივილ ჯორჯია“, 2004 წლის 2 სექტემბერი

## შესახებ 10. დამოუკიდებელი ექსპერტი ერგნეთის ბაზრობის მნიშვნელობაზე

როცა ცხინვალში ერგნეთის ბაზრობა იყო, თხური მოსახლეობა ქართული მხარის-კენი იყო გადმოხრილი – ლარი ტრიალებიდა, ნებისმიერი ქართველი გადადიოდა ცხინვალის რეგიონში და იქიდან რუსეთშიც მიდიოდა. ქართულ-ოსურ სოფლებს შორის იყო ვაჭრობა, მიმოსვლა, შერეული ქორწინებები. ნდობა იყო აღდგენილი, ცხინვალში უგვევებელი დაბარაკი ისმოდა. პერსპექტივა არსებობდა.

აფხაზეთის მიმართულებითაც საჭიროა ერგნეთის ბაზრობის მსგავსი რამ, რომ რადაცით დავაინტერესოთ. რა თქმა უნდა, უკანონობა, იარაღი და ნარკოტიკები არ უნდა იყოს, მაგრამ ნარკოტიკების შემოტანის გამო ბაზრობა არ უნდა დაიკეტოს.

ექსპერტი კონფლიქტოდოვი პაატა ზაქარიაშვილი. გაზეთი „რეზონანსი“, 2008 წლის 23 მარტი.

## შესახებ 11. ადგილობრივი მცხოვრები ერგნეთის ბაზრობის შესახებ

მიმაჩნია, რომ ერგნეთის ბაზრობის დახურვა იყო დანაშაული და არა შეცდომა. რამდენი ხალხი იყო დასაქმებული? ეს აუცილებელი იყო ჩვენი ხალხის ხელახალი ურთიერთობისა და დამეგზობრებისათვის. მოშალეს იმ მოტივით, რომ კორუფციას ვებრძიოთ. კორუფციას ისე უნდა ებრძოლო, რომ ხალხი უმუშევარი დატოვო?

ინტერვიუ ერგნეთიდან დევნილ შალვა კახრაძესთან, 82 წლის, ჩაწერა ზურაბ ლაოშვილმა, 2008 წლის 25 აგვისტო.

## შესახებ 12. ქართველი უურნალისტები ერგნეთის ბაზრობის დახურვის შედეგების შესახებ

თითქოს მნელია იმსჯელო ახლა ამ თემაზე, მაგრამ ერგნეთის ბაზრობის ფენომენი ქართულ-ოსური პირდაპირი ურთიერთობებისათვის, თუმცადა ცუდი ფორმებით, მაგრამ უადრესად მომგებიანი იყო. იმის მაგივრად, რომ ამ ურთიერთობებისათვის ლეგიტიმური ხასიათი მიეცათ, ერგნეთის ბაზრობის დაკეტვამ ქართულ-ოსური ურთიერთობების წყვეტა გამოიწვია.

რამაზ აბაიშვილი, გაზეთი „ლანჩხუთი“, 2009 წლის 24 იანვარი.

## დაგვალება 4

დაიყავით მოვაჭრეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჯგუფებად.

- გააანალიზეთ წყაროები 9-12 და ჩამოაყალიბეთ ჯგუფში შეთანხმებული მოსაზრება ერგნეთის ბაზრობის არსებობის ან დახურვის მიზანშეწინილობის შესახებ.
- ხელისუფლებაში რომ იყო, რას მოიმოქმედებდი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე?

**განვაზოგადებელი კითხვა:** რამდენად შეიძლებოდა, რომ ერგნეთის ბაზრობის მსგავსი ადგილი ყოფილიყო კონფლიქტში მონაწილე მხარეების, ერთდროულად, გამოიშველი და გამაერთიანებელი?

## 3. დუხობორები საქართველოში სამცხე-ჯავახეთი, სოფელი გორელოვკა

**საკვანძო პითხება:** როგორ შეძლეს დუხობორების\* თვითმყოფადობის შენარჩუნება XX საუკუნის საქართველოში?

### შესახებ 1. საქართველოში დუხობორების დასახლების ისტორია.

XVIII საუკუნის მიწურულს მეფის რუსეთში რელიგიური სექტები იდევნებოდა. მითნევდნენ, რომ სექტის მიმდევრები, ჯარში სამსახურსა და გადასახადებზე უარის თქმით, არყვენ სახელმწიფოს საფუძველს, რის გამოც მათ წარუდგინეს ულტიმატუმი: ან მიეღოთ მართლმადიდებლობა, ან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებულიყვნენ.

1839 -1845 წლებში დუხობორები დასახლებულები იყვნენ საქართველოს ორ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. აქ მათ გარკვეული შეღავაოები მიიღეს: გათავისუფლდნენ რელიგიური დევნისაგან, გადასახადებისა და სამხედრო სამსახურისაგან. ჯავახეთში სულ 495 ოჯახი, 4097 დუხობორის შემადგენლობით, დასახლდა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები დუხობორები მისდევდნენ ცხენების მოშენებას, მეცხვარეობას, ყველის წარმოებას. დუხობორების მეურნეობები საფერხე და ჩორთით მოსიარულე ცხენების მსხვილი მიმწოდებლები გახდნენ.

ალა ბეჭედცვა. დუხობორის ქვეყანა, გამომცემელი – საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“, თბილისი, 2007, გვ. 100, [http://www.ecmicaucasmus.org/upload/publications/working\\_paper\\_35\\_rus.pdf](http://www.ecmicaucasmus.org/upload/publications/working_paper_35_rus.pdf) (რუსულ ენაზე).

### დაგენერა 1:

1. წყარო 1-ის მიხედვით:

- ა) დაასახელე სამცხე-ჯავახეთში დუხობორების გადასახლების მიზეზები.
- ბ) ჩამოთვალე დუხობორებისათვის ტრადიციული მეურნეობის დარგები. გაიხსენე სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული პირობები და ახსენი, რატომ მისდევდნენ ისინი, მირითადად, მესაქონლეობას.

### შესახებ 2. დუხობორები კოლექტივიზაციის წლებში

საბჭოთა კოლექტივიზაციის პროცესში, დუხობორებისათვის ტრადიციული დისკიპლინის წყალობით, მათი კოლმეურნეობები მაღლე ყველის მწარმოებელ ყველაზე მომგებიან მეურნეობებად გადაიქცა.

ჰედვიგ ლომი, დუხობორები საქართველოში: მიწის მყდომადებლობის და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების საკითხის კვლევა ნინოწმინდის რაიონში. ევროპული ცენტრი უმცირესობების საკითხებში, სამუშაო მოხსენება 35, ნოემბერი, 2006, გვ. 5 (რუსულ ენაზე).

### დაგენერა 2:

დაასახელე, XX საუკუნის რომელი წლები იგულისხმება წყაროში 2?

\* დუხობორები – ეთნიკური რუსები, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში, კავკასიასა და კანადაში. სიტყვა „დუხობორი“ ნიშავს „სულისხვის მებრძოლს“. მართლმადიდებლური სექტია, რომელიც 1780-იან წლებში წარმოშვა. უარს ამბობენ რელიგიურ სიმბოლიკაში კალვინიზმი, სასულიერო პირებზე. მათივის დმერთი ყველა ადამიანშია.


### შეკვეთ 3. დუხობორების სკოლა სოფელ გორელოვგაში



გორელოვგაში არსებული რუსული სკოლა აშენებულია ცნობილი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის შემოწირულობით.

აღა ბუკეტი, გასახლებული ნაშრომი, გვ. 100.

### შეკვეთ 4. დუხობორების რელიგიური ტრადიციები



როდესაც ჩვენი წინაპრები გორელოვგაში დამკიდრდნენ, მათ დააარსეს კალმიკოვების სახლი ანუ „ობოლთა თავშესაფარი“, სადაც ხანშიშესული დუხობორები და ობლები ცხოვროდნენ და სადაც ისინი რელიგიურ რიტუალებს აღასრულებდნენ.

1930 წლიდან დაიწყო რელიგიის დენა, მაგრამ მორწმუნები ფარულად იკრიბებოდნენ საკვირაო დოცებაზე. ჩვენი სულიერი ტრადიციის საფუძველია ფსალმუნები და თავის დახრა.

დუხობორების რელიგიური სიმბოლოებია: პური, მარილი და დოქი წყლით, რომლებსაც ფსალმუნის კითხვისას მაგიდაზე დგამენ.

ინტერვიუ ლიუბოვ დემინოვასთან, 53 წლის, ჩაიწერა სედა მელქუმიანმა, 2010 წლის 5 მარტი.

### დაგვაჭრა 3:

1. განსაზღვრე, წყაროების 1–4 მიხედვით, რა იყო დუხობორების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვანი: მეურნეობა, ენა, რელიგია თუ კიდევ სხვა?
2. გაიხსენე და ჩამოთვალე, XX საუკუნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები. შეიცვალა თუ არა დუხობორების ცხოვრება მათ ფონზე? დაასაბუთე შენი მოსაზრება.


## შეკვეთი 5. დუბობორების განსახლება საქართველოში XX საუკუნის ბოლოს



### დავალება 4:

1. მონახე რუკაზე დუბობორების განსახლების ადგილები. დაასახელე, გორელოვების გარდა, კიდევ სად ცხოვრობენ ისინი?

## შეკვეთი 6. დუბობორების რაოდენობა საქართველოში



პედაგიგ ლომი, დუბობორები საქართველოში: მიწის მფლობელობის და ეთნოსთა შერისი ურთიერთობების საკითხების კვლევა ნინო მინდის რაიონში, ევროპული ცენტრი უმცირესობების საკითხებში, სამუშაო მოხსენება №35, ნოემბერი, 2006 წელი; ადა ბეჭედულება, ქვეყანა დუბობორია, გამომცემული – სართა შერისო კულტურულ-საგანმანათლებლო კაგშირი „რუსული კლუბი“, ობილისი, 2007 (რუს.).

## შესაბამისობის მოსახლეობის სტატისტიკა ნინოწმინდის რაიონში 1990-2010 წლებში

წელი	1990	1995	2000	2002	2006	2010
გორელოვანი	1667	883	586	599	432	193
ორლოვანი	387	195	132	125	101	
სპასოვანი	332	63	49	46	19	
ეფრემოვანი	227	29	19	18	18	
სამება	327	13	10	10	8	
ნინოწმინდა	150	133		58		
როდიონოვანი	300			7	5	
სულ	3531	1316	796	816	767	193

მონაცემები მოგვაწოდებს აღგილობრივი თემის წევრებმა (ავტ.). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს არ გააჩნია ცალკეული მონაცემები ეროვნული უმცირობებების შესახებ სოფლებში, გარდა 2002 წლისა.

### დაგალება 5:

ჩამოაყალიბე წერტილების 6 და 7 მიხედვით, კითხვები, რომლებიც გიჩნდება სტატისტიკურ მონაცემებში ასახულ ტენდენციებთან დაკავშირებით.

**განვითარებაზე კითხვა:** რა უწყობდა ხელს მცირერიცხოვანი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობის შენარჩუნებას?

## 4. „კავკასიური ეზო“ სოფელ ბარალეთი

**საკვანძო კითხვა:** რამდენად იყო სოფელი ბარალეთი XX საუკუნის საქართველოში „კავკასიური ეზოს“ მაგალითი?

### შპარტ 1. საქართველოს მოქალაქეთა უფლებების შესახებ

მუხლი 38. საქართველოს მოქალაქეები თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, პულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ”.

საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

### დავალება 1:

1. ხაზი გაუსვი კონსტიტუციის მუხლში იმ სიტყვებს, რომლებიც მიუთითებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თანაბარ უფლებებზე საქართველოში.

### შპარტ 2. სოფელ ბარალეთის მცხოვრები თავისი სოფლის შესახებ

– მოგვიყენოთ, როგორი იყო სოფლის ცხოვრება თქვენი ახალგაზრდობის დროს?  
 – ბარალეთი ძალიან ძველი სოფელია. ეს ერთ-ერთი სოფელია ახალქალაქის რაიონში შერეული მოსახლეობით: აქ ოდიოგან, გვერდიგვერდ ცხოვრობენ სომხები და ქართველები. სოფელი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. სოფლის მცხოვრებლები მიწათმოქმედებას მისდევდნენ. სახლებს, ძირითადად, ერთსართულიანს – ქვისგან აშენებდნენ. წყალი მდინარეში იმდენად სუფთა იყო, რომ მას დასალევად იყენებდნენ. მდინარეზე ოთხი წისქვილი იყო აშენებული.

– სოფლის მცხოვრებლები განსხვავდებოდნენ სარწმუნოებით?  
 – დიახ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ერთად ცხოვრებას. დაბალი სახლების ფონზე ამაყად იდგა ქართული და სომხური ეკლესიები, როგორც მშვიდობისა და სიყვარულის, სიკეთისა და კეთილშობილების გარანტია. ეკლესიებზე დღემდე შემორჩა წარწერები ქართულ და სომხურ ენებზე. მამა ბარსების და მამა პეტრეს (ხმალაძის) საფლავის ქვები ეკლესიებთან ამ დრომდე ინახება.

– ალპათ, სოფელი გაყოფილი იყო ქართულ და სომხურ ნაწილებად?  
 – არა, ქართველები და სომხები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. ისინი აღნიშნავენ შობას და აღდგომას, ხოლო აღდგომიდან მე-40 დღეს ამაღლებას.


– ბოლო ხანს თუ შეიცვალა ურთიერთობები სოფელში?  
 – ქართველებსა და სომხებს შორის? არა. ვერავინ გაიხსენებს ერთაშორის კონფლიქტებს და დაძაბულობას. ჩვენი სოფელი თრი ხალხის ტრადიციებისა და რელიგიის ურთიერთპატივისცემის ცოცხალი მაგალითია.

ინტერვიუ სოფელ ბარალეთის მცხოვრებთან სიღვა მაკარიანთან, 55 წლის, ჩაიწერა სედა მედკუმიანმა, 2009 წლის 15 ივნისი.

## დაგალება 2:

1. ამოწერე ინტერვიუდან ის ფაქტები, რომლებიც, შენი აზრით, სოფელ ბარალეთში ქართველებისა და სომხების მშვიდობიან თანაცხოვრებაზე მეტყველებს.
2. აირჩიე ერთი ფრაზა, რომელიც მათ მშვიდობიან თანაარსებობას ახასიათებს.
3. განიხილეთ, თქვენი შეხედულებების მსგავსება და განსხვავება.

## შეარო 3. ბარალეთის ძეგლები



- ა) ბარალეთის სომხური ეკლესია, ბ) ბარალეთის ქართული ეკლესია, გ) ბარალეთის სამხავიანი ბაზილიკა, XI ს. ქვა-ჯვარი

## დაგალება 3:

1. დააკვირდი ბარალეთის სომხური და ქართული ეკლესიების ფოტოსურათებს. რა მსგავსებას ხედავ მათ შორის და რით შეგიძლია ამის ახსნა?
2. იპოვე ინტერვიუში ინფორმაცია წყაროს 3 გ დასასაოაურებლად.
3. მოაწყეთ დისკუსია: რა თამაშობს მთავარ როლს სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებაში – საკანონმდებლო გარანტიები თუ ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრებისას შეძენილი გამოცდილება?

**ბანმაზობადებელი პითხება:** რას ნიშნავს „გაგებასიური ეზო“ და რატომ მი-იჩნევენ მას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ურთიერთპატივისცემის სიმბოლოდ?

## 5. ცხინვალი 1990-იანი წლების დასაწყისამდე – ერთიანობა მრავალფეროვნებაში

**საკვანძო პიტიგა:** ოოგორ ცხინვლობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხინვალში 1990-იანი წლების დასაწყისამდე?

### ღყარო 1. ცხინვალში ებრაელების დასახლების შესახებ

ისტორიული ზაქარია ჭიჭინაძე (1853-1931) მიუთიოებს, რომ „ცხინვალში ებრაელები იმ დროიდან დასახლდნენ, როცა ქართლში მოვიდნენ. ებრაელები ძველადგან ცხინვალს უფრო ვაჭრობის მხრით მოკიდებიან. ცხინვალში ქართველ ებრაელთა რიცხვი დიდი იყო.

მიხეილ ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, გამომცემლობა „სტალინირი“, 1961, გვ. 92.

### ღყარო 2. ქართულ-ოსური სკოლის ისტორია

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალის ინტელიგენციამ დაიწყო თანხის შეგროვება სკოლის შენობის შესაძენად. საქველმოქმედო საქმიანობას სათავეში ჩაუდგნენ ეფემია მაჩაბელი და ქეთევან შურული. ეს შენობა ებრაელების უბანში, საკოლმეურნეო ბაზართან შეიძინეს. მასში ორკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა. სწავლის სურვილი ასმა მოსწავლე გამოოქვა. კლასების ნაკლებობის გამო 82 ბავშვი მიიღეს. სწავლა 1881 წელს დაიწყო. ეს შენობა შემდგომში გაჭირვებულთა საცხოვრებელ ბინებად გაუნაწილებიათ. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შენობა კვლავ სკოლას დაეთმო. ერთხანს ქალთა ქართული საშუალო სკოლა იყო, მერე მე-4 საშუალო სკოლა, რომელიც 1990 წლამდე უკანქციონირებდა.

მიხეილ ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, გამომცემლობა „ირისთონი“, 1986, გვ. 157.

### ღყარო 3. ცხინვალის ქართულ-ოსური სკოლის შენობა



\* სტალინირი – დღევანდელი ცხინვალის სახელწოდება 1934-1961 წლებში.

## შპარტ 4. ქართულ-ოსური სკოლის პედაგოგები



სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის პედაგოგები, დაჯილდოვებული ორდენებითა და მედლებით. ბევრს მინიჭებული პქრონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

## შპარტ 5. კულტურული ცხოვრების შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1980-იანი წლების ბოლოს

ა) ოლქში არის სულ 109 კლუბი, ოსური და ქართული დრამატული ოეატრები, სამეცნიერო-კვლევეთი ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სამხატვრო სასწავლებელი, სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სასწავლებელი, პროფტექნიკუმი და ტექნიკური სასწავლებლები, სამხატვრო გალერეა, სახელმწიფო მუზეუმი (მხარეობის ცოდნების).

„ქართველი და ოხო ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, საზოგადება „ცოდნა“, თბილისი, 1991, გვ. 130.

ბ) გამოდიოდა ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, რომელსაც 52 ოანამშრომელი ემსახურებოდა. აქ მეგობრულად მუშაობდნენ ქართველები, ოსები, სომხები, ებრაელები. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მეუღლები ქართველები ან ოსები ჰყავდათ. გამოდიოდა გაზეთები „სოვეტონ ირისინი“, „სოვეტსკაია ოსეტია“, ყოველთვიური ჟურნალი „ფიდიუაგი“.

იქვე, გვ. 131.

### დაგანლება 1:

წარმოიდგინე, რომ ხარ კვლევითი ჯგუფის წევრი, პროექტის ფარგლებში. შენი მიზანია იპოვო პასუხი კითხვაზე: რა აკავშირებდა ერთმანეთოან ადამიანებს, ცხინვალში მშვიდობიანი ცხოვრებისას?

უკვე მოძიებული გაქვს წყაროები 1-5.

- დააზუსტე, რა ინფორმაცია მოიპოვება წყაროებში 1-5 ქალაქ ცხინვალის მოსახლეობის ეროვნულ მრავალფეროვნებაზე?
- იმსჯელე, რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?
- მონახე ინფორმაცია, რომ ებრაელები ცალკე ცხოვრობდნენ და ივარაუდე, იყო თუ არა ეს დამახასიათებელი სხვა ეროვნებების წარმომადგენლებისათვის?
- გამოთქვი მოსაზრება კულტურული ცხოვრების როლზე ქალაქისა და რეგიონის მოსახლეობის მშვიდობიან თანაარსებობაში.

## წყარო 6. ცხინვალის მცხოვრებლების მოგონებები სხვადასხვა ეროვნების მეზობლებთან ურთიერთობის შესახებ

ა) XX საუკუნის 70-იან წლებში ცხინვალიდან ისრაელში თითქმის ყველა ებრაელი წავიდა. მათი სასაფლაოს მიმედავი არავინ დარჩა. მე და ჩემი მეზობელი ნინა ბუზალაძე ყოველ კვირას მივდიოდით იქ და ჩვენი მეზობელი ებრაელების საფლავებს ვუვლიდით. ახლა კი მთლიანად არის განაღგურებული როგორც ქართველების, ასევე ებრაელებისა და ოსების საფლავები. თმი ყველაფერს ანადგურებს...

ეთერ დათაშვილი, 75 წლის, ცხინვალიდან დევნილი.

ბ) ადრე, სანამ ცხინვალში ვცხოვობდით, ჩემს 11 წლის ბიჭუნას სასწრაფო ოპერატორი დასჭირდა. აუცილებელი იყო მისი გადაყვანა თბილისში, რის საშუალებაც იმჟამად არ გვქონდა. ჩვენი გაჭირვების შესახებ შეიტყო თხმა მეზობელმა ზაურ ფილიევმა, რომელმაც დაუყოვნებლივ შემომთავაზა დახმარება ფულით და თავისი მანქანით თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიგვიყვანა. ჩემი შვილის გადარჩენას სწორედ მას ვუმადლი.

რეგაზე კახნიაშვილი, 62 წლის, ხოველ აეხვის მცხოვრები, ამჟამად დევნილი.

გ) ცხინვალი ლამაზი და პატარა ქალაქი იყო, თითქმის ყველა ერთმანეთს სცნობდა. ჩვენ შორის არ იყო ეთნიკური დაპირისპირება. მახსენდება ჩემი მეზობელი ზემა ბოგაევა, რომელმაც სახლის პირობებში ლუდის გამოხდა მასწავლა.

ეთერ ცოტნიაშვილი, 66 წლის, ცხინვალიდან დევნილი.

დ) მახსენდება, პატარა ვიყავი და ჩემი ოჯახი გერის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავში წავიდა. დედამ ხაბიზგინები დააცხო. წავიყვანეთ ცხვარი, სანოლები წავიდეთ და წავედით. მეზობლებთან ერთად გავშალეთ სუფრა. ჩვენ შორის ქართველებიც იყვნენ, თუმცა, მაშინ ეროვნებას არავინ აქცევდა ყურადღებას. სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ერთ სკოლაში (ქართულ და ოსურ სექტორებზე) ვსწავლობდით და მეგობარიც ბევრი გვევავდა: ებრაელები, ქართველები, სომხები. ახლა კი გული მტკივა. პოლიტიკური დაძაბულობის გამო, ბევრმა მიატოვა საცხოვრებელი, თუმცა, ჩემს ამხანაგებთან კავშირი დღესაც არ გამიშვებია. ზოგიც ინტერნეტის საშუალებით მოვნახე.

ანუკლა ხუგავე, 54 წლის, ცხინვალიდან დევნილი.  
ინტერვიუები ჩაიწერა ნონა ჭილდაძემ 2009 წლის ივნისში.

### დაგალება 2:

პროექტზე მუშაობის მეორე ეტაპზე შენი ჯგუფის წევრებმა რამდენიმე ინტერვიუ აიღეს (წყარო 6).

1. შეისწავლეთ ისინი და დაახარისხეთ ახალი ინფორმაცია შემდეგი კითხვების მიხედვით:

- ვინ მოგცათ ინტერვიუ, მათი ასაკი?
- ამ მოგონებების მიხედვით, რა ყოფილა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
- რა ფაქტები მოწმობს მათ ყოველდღიურ მშვიდობიან ცხოვრებას?
- ტექსტებიდან შეარჩიეთ ამ ინტერვიუების საერთო საოურო.

2. წეაროების 1-6 საფუძველზე ჯგუფებში განიხილეთ, რა ფაქტორები უწყობდა ხელს ცხინვალის მოსახლეობის მშვიდობიან თანაარსებობას?
3. წარმოადგინეთ თქვენი მუშაობის შედეგები პრეზენტაციის, საგაზეოო სტატიის, ადგილობრივი ტელეარხის ჟურნალისტთან ინტერვიუს ან რადიოგადაცემაში გამოსვლის სახით (აირჩიეთ ერთ-ერთი).

**განვაზღვადებელი პირისა:** რა აერთიანებდა ცხინვალის მცხოვრებლებს 1990-იანი წლების დასაწყისამდე?

## 6. რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს?

**საპრანძო კითხვა:** რატომ მიიღეს მონაწილეობა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა?

**შესახებ** 1. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო 1956 წლის 9 მარტის მოვლენების მიზეზის შესახებ

... 1956 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე იოსევბ სტალინის პიროვნების კულტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი... სტალინის კრიტიკის დროს ხაზი ესმებოდა მის ქართველობას... თითქოს სტალინის მიერ განხორციელებულ რეპრესიებში მნიშვნელოვან როლს ქართული ფენომენი ასრულებდა. ასეთი უეცარი და ასეთი მკვეთრი შემობრუნება ახალგაზრდებისათვის გაუგებარი გახდა. სტალინის კრიტიკას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფად აღიქვამდა. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტაციები... 5 მარტს კი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ დედაქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აუბა მხარი. საპროტესტო მოძრაობა მოედო მოედო საქართველოს...

თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას....

საქართველოს ისტორია, XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაქულტეტის სტუდენტებისათვის, თბ., 2003, გვ. 181-182.

**შესახებ** 2. ოფიციალური განცხადება 9 მარტს დანიშნული მიტინგების შესახებ

დღეს, 9 მარტს, რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლები დღის 1 საათზე გაიმართება ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები.

განცხადება გაზირში „კომუნისტი“, 1956 წელი, 9 მარტი, №58.

**შესახებ** 3. 9 მარტის მოვლენების მონაწილეთა მოგონებები

ა) გაიხსენეთ ოუნდაც ხალხით გაჭედილი ლენინის [დდ. თავისუფლების – რედ.] მოედანი, როცა ტრიბუნიდან მოწოდება გაისმა – პარტიულებო, შევფიცოთ სტალინს ერთგულებაო, როგორ გაწიოთლდა მოედანი პარტბილეთების შუქით. გაიხსენეთ, სხვადასხვა ერის წარმომადგენლოთა ერთად ყოფნა და ერთსულოვნება თბილისის იმ მშეოთვარე დღეებში.

თენციზ ბუბნიძე. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიიდან, კრებულში:  
„9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ“, თბ., 2001, გვ. 91.

ბ) ...გარდა იმისა, რომ ხალხით დატვირთული საბარგო მანქანები ზედიზედ მიღიან და მოდიან, ყველა მანქანა გაბმულად უკრავს საყვირს... მოელი ქალაქი გარეთ არის გამოსული. ამას ემატება საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ასობით და ათასობით ჩამოსული ადამიანი... სშირად ვხვდები გუნდ-გუნდად მდგარ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ისინი ერთად შეჰყარა საერთო ინტერესმა, ან ზოგად კავკასიური დამცირების გრძნობამ.

ა. წერეთელი, 9 მარტის მონაწილის დღიურებიდან. თბ., 1994, გვ. 20.

გ) შვიდი წლის ვიწავი, როცა 1956 წლის 9 მარტის ამბები მოხდა. ვცხოვრობდი ძერ-ჯინსკის ქუჩის №22-ში, იტალიურ ეზოში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ებრაელები, ქურთები... ჩვენი ეზო მთავრობის სახლის მოპირდაპირე მხარეს იყო. როცა ტანკები რუსთაველზე გადიოდნენ, ჩვენ ეს ყველაფერი გვესმოდა და ქუჩაში ყველა მეზობელი გამოვედით. ჯარისკაცებმა არ ჩაგვიშვეს რუსთაველის გამზირზე. რუსთაველიდან ისმოდა სროლის და ყვირილის ხმა. დემონსტრაციები ცენტრალური ტელეგრაფისაკენ მიდიოდნენ. სამი ბიჭი ჩვენი ეზოდან უკან არ დაბრუნებულა. მშობლებმა სად არ მიმართეს, მაგრამ პასუხს ვერ იღებდნენ. მათ საერთოდ ვერ გაიგეს, სად დაკრძალეს ისინი. ამ სამიდან ერთი იქო სომები – სერგო, ქართველი – ზურაბი და ერთიც ებრაელი, რომლის სახელი აღარ მასხოვს.

ინტერვიუ ჯულიუს ატოიანთან, 61 წლის,  
ჩაიწერა ელენე ბოდაველმა, 2010 წლის 24 იანვარი.

### დაგალება 1:

- დაახასიათე, რა ტიპის არის წყაროები 1-3?
- წყაროებიდან 1-3 გამოყავი ყველა მოვლენა, რომელიც 1956 წლის 9 მარტის არის დაკავშირებული.
- შენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამგლოვიარო მიტინგის შესახებ განცხადება ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნდა?
- ჩამოთვალე, საქართველოში ტრადიციულად მცხოვრები რომელი ეთნიკური ჯგუფები იგულისხმება დოკუმენტში ნახსენები სტუდენტებისა და დედაქალაქის მოსახლეობაში?

### შესრულებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოდან

...1956 წლის მარტში... თბილისის დემონსტრაციები და მიტინგები საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თყიციალური კურსის დაგმობად მიიჩნია. მოსკოვში შეშინდნენ, რომ მოძრაობა უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა. ნიკიტა ხრუშჩივმა საქართველოს დასჯა გადაწყიტა. 1956 წლის 9 მარტს თბილისში არმიამ სამხედრო ტექნიკის გამოყენებით უმოწყალოდ დახვრიტა მშიდობიანი დემონსტრაცია.

განხაძე, მ., გურული, ვ., საქართველოს ისტორია IX კლასი, თბ., 2004, გვ. 132.

### შესრულებული 1956 წლის 10 მარტის საგაზეთო სტატიების ძირითადი სათაურები:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრობა საბჭოოში“; „პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილება მოქმედების საბრძოლო პროცესში“; „აღვკვეთოთ ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში“ (გაზეთი „კომუნისტი“ № 59). „ი. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთვის“; „მარშალი ჭუდა გაემგზავრა თბილისიდან“; „საქართველოს მშრომელები პატივს სცემენ ი. სტალინის ხსოვნას“; „ფოტოპარადი ჩვენს ქვეყანაში“; „დიდი პორიზონტები“ (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №30).

### დაგალება 2:

- გაანალიზე ინფორმაცია და გამოიტანე დასკვნა იმ დროს პრესის როლზე.
- ახსენი, როგორ შეეძლოთ გაეგოთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, რაც თბილისში მოხდა? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

## შესახებ შესახებ 6. მონაცემები დაღუპულთა შესახებ

### 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა სიიდან

თენიზ შანიძე (ეროვნებით ქართველი) – 16 წლის, რკინიგზის №1 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მოსკოვის უცხო ენათა (ფრანგული ენა) აურსების მსმენელი (დაუსწრებელი).

გულიოგო სვანი (ეროვნებით ქართველი) – 19 წლის, სტუდენტი.

ლევან ხანგულოვი (ეროვნებით სომეხი) – 16 წლის, მე-8 კლასის მოსწავლე.

კიაზმა ჭანტურიძე (ეროვნებით ქართველი) – 16 წლის, მე-9 კლასის მოსწავლე.

იუზა წერეთელი (ეროვნებით ქართველი) – 18 წლის,

გურამ ტუნიევი (ეროვნებით ოსი) – 20 წლის, მე-11 კლასის მოსწავლე. იყო კარგი სპორტსმენი.

კოტე ბაჯიაშვილი (ეროვნებით ქართველი) – 26 წლის

ბორის ზარგარიანი (ეროვნებით სომეხი) – 20 წლის, მუშაობდა 31-ე საავიაციო ქარხა-ნაში ზეინკლად.

(უნდა აღინიშნოს, რომ პირველად წყაროში არ არის მითითებული დაღუპულთა ეროვნება – ავტ.).

ვეფხუაძე გ., 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ. თბ., 2001, გვ. 77-81.

## შესახებ 7. 9 მარტის მიტინგი და დემონსტრაცია

ა)



ბ)



### დაგენერაცია 3:

- ჩამოაყალიბე ინფორმაცია, რომელიც წეაროებიდან 6 და 7 მთველე.
- ივარაუდე ახალგაზრდების ამ მოვლენებში მონაწილეობის მოტივი.
- ახსენი, რატომ იყო მიუღებელი სტალინის შეურაცხყოფა 1950-იანი წლების საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილისთვის?

**განვითარებადებელი პიონერი:** რაზე მეტყველებს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებში?

## 7. 1989 წლის 9 აპრილი

**საკვანძო პითხება:** როგორ ვიძრმოდით ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის?

### შესახებ 1. ოფიციალური ინფორმაცია მიტინგების შესახებ

... აფხაზეთის ამბებით გამოწვეული ბუნებრივი შეშფოთება უკიდურესი მიმართულების გაერთიანებებმა გამოიყენეს საერთო ვითარების გასამწვავებლად თბილისში, სადაც რამდენიმე დღეა, ანტისაბჭოური ხასიათის უსანქციო მიტინგები და დემონსტრაციები ეწყობა... რესპუბლიკის მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე ყოველდღიურად თავს იყრის ათასობით ადამიანი... ავრცელებენ ყოველგვარ დეზინფორმაციას, მიტინგის მონაწილეებს მოუწოდებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ, უწესრიგობისაკენ...

გა ზეთი „კომუნისტი“, № 83, 1989 წ. 9 აპრილი.

### შესახებ 2. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო 9 აპრილის მოვლენების შესახებ

... საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეაშფოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, რომელმაც სულ უცრო გამოკვეთილი ანტისაბჭოთა ხასიათი მიიღო. თბილისში მიმდინარე მოვლენებს შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა სხვა რესპუბლიკებზე... მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება თბილისში მიტინგების ძალით ადგვეთის შესახებ. 1989 წლის 9 აპრილს გამოენისას თბილისში, მთავრობის სახლის წინ, სპეცდანიშნულების რაზმა მომწამდავი გაზისა და მესანგრეთა ნიჩების გამოყენებით დაარბია მშვიდობიანი მომიტინგები.

ვაჩაძე, მ., გურული, ვ., საქართველოს ისტორია, IX კლასი, თბ., 2004, გვ. 133.

### შესახებ 3. 9 აპრილის ტრაგედიის ისტორიიდან

9 აპრილის ტრაგედიამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ფართო საზოგადოებაში. ჩვენი მშრომელებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები ითხოვენ სინათლე მოქანოს სინამდვილეს, შევისწავლოთ და გამოვამზებულოთ ის მიზეზები, რამაც დღეს უბედურებამდე მიგვიყვანა.

საქართველოს მთავრობამ ...აღნიშნა, რომ გასულ დღე-დამეში დაისახა თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში სიტუაციის სტაბილიზაციის ტენდენცია... უნდა გავაკტიუროთ ბრძოლა ექსტრემისტულად განწყობილ პირებთან, მოპიკებებთან, მოხულიგნო ელემენტებთან...

გა ზეთი „კომუნისტი“, № 85, 1989 წ. 12 აპრილი.

### დაგალება 1:

შეადარე ერთმანეთს გაზეთისა და სახელმძღვანელოს ინფორმაცია 9 აპრილის შესახებ. გააკეთე ამის შემდეგ დასკვნა.

### შესახებ 4. მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ქართველ ხალხთან ვართ!

ამ ტრაგიკულ და გლოვის დღეებში ჩვენ, არაქართული ეროვნების წარმომადგენლები, მტკიცედ ვაცხადებთ: ცრუობენ ისინი, ვინც ამბობს, თითქოს საქართველოში აღმოცენებულიყოს ანტირუსული განწყობილება... ვიდაც-ვიდაცები ავრცელებენ ცილისმწამებლურ ხმებს საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად... ვიდაცებს მართლაც

სურთ გრძელდებოდეს კრიზისული მდგომარეობა, შედღი ჩამოაგდონ ეროვნებათა შორის, მაგრამ ხალხის უმრავლესობა ამას ადჟიტოლებით გმობს. საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით გვიჩვენებს ჭეშმარიტ სტუმარობისა. მსოფლიოს ვერც ერთი ხალხი ვერ დაიკვეხნის, იმდენ ეროვნებას შეეფარებინოს თავი ერთ მუჭა მიწაზე, რამდენიც ქართველმა ხალხმა შეიფარა... ზოგიერთი ჩვენგანი, შერეული ქორწინების შვილები, აქ გავჩნდით, ზოგნი ახლა ჩამოვიდნენ, მაგრამ ჩვენ სიამაყიო ვაცხადებთ, რომ ვართ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მოქალაქენი... ჩვენ მივმათავო ყველა მოქალაქეს, ყველა ეროვნების შვილს მოწოდებით: შევმჭიდროვდეთ, რათა შევუმსუბუქოთ ქართველ ხალხს თავს დატეხილი უბედურება...

ხელს აწერენ: ვ. დომუხოვსკი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი; ი. როიტმანი, ი. კოგალიშვი, ქ. გურევიშვილი – ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; ლ. იუდინი – ამავე ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომელი; გ. კრისტენი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი „<sup>9</sup> აპრილი“, თბ., 1990, გვ. 130.

### დაგანება 2:

- დაადგინე წყაროს ტიპი. რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან დოკუმენტის ავტორები?
- რა არის მიმართვის მირითადი გზავნილი? რა არის მისი თავისებურება?

### შესახებ 5. 1989 წლის 9 აპრილი



ა) დარბევის წინ



ბ) დარბევის შემდეგ

### დაგანება 3:

ადადგინე, წყაროს 5 ა, ბ, გ მიხედვით, 9 აპრილის ისტორიული მოვლენები.



გ) ხსოვნის დღე

**განვითარებადებელი პიტჩება:** როგორ შეიძლება გახდეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების გამაერთიანებელი?

## 8. თბილისის მელაორენა\*

(XX საუკუნის თბილისის თეატრალური ცხოვრება)

**საკვანძო კითხვა:** როგორ გამოხატავდა თეატრალური ცხოვრება XX საუკუნის თბილისის მრავალეროვან იქრსახეს?

### შესახვა 1. ცოტა რამ თბილისის თეატრების ისტორიიდან

- 1845 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა თბილისში გახსნა რუსული თეატრი, რომელსაც 1934 წელს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელი მიენიჭა.
- XX საუკუნეში ამ თეატრში მოღვაწეობდნენ გიორგი ტოვსტონოვი, კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, გიზო ჟორდანია და სხვა ცნობილი რეჟისორები. თეატრის ლიტერატურული ხელმძღვანელი იყო გრიგოლ რობაქიძე, სპექტაკლებისთვის მუსიკას წერდა ზაქარია ფალიაშვილი, დეკორაციებს ქმნიდნენ ელენე ახვლედიანი და ლადო გუდიაშვილი...
- 1850 წლის 2 იანვარს თბილისში, გიმნაზიის პატარა დარბაზში დადგმულ გიორგი ერისთავის პიესაში „გაყრა“ ქართველ მსახიობებთან ერთად თამაშობდა სომეხი მსახიობი გ. შანშიანი. სპექტაკლს მრავლად პყავდა როგორც ქართველი, ასევე, სომეხი მაყურებელი.
- 1858 წელს თბილისში სომხური თეატრი დაარსდა. ეს ფაქტი გევორქ ჩმშკიანის სახელს უკავშირდება. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მოღვაწეობდა თბილისელი, წარმოშობით სომეხი, მწერალი გაბრიელ სუნდუკიანი, რომელიც წერდა: „მე ვშრომობდი ორი ჩემი სამშობლის, თანაბრად ძვირფასი ერის ქართველთა და სომეხთა სცენისათვის“.
- 1872 წელს მეიდანზე, მეტეხის ციხის პირდაპირ, ბარებბეგოვის ქარგასლის სარდაფში, აზერბაიჯანელი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივით და მონაწილეობით, პირველად დაიდგა კომედია „არაბეთის ხანის ვეზირი“, მირზა ფათალი ახუნდოვის პიესის „ლენკორანის ხანის ვეზირის თავგადასავლის“ მიხედვით.

ვასილ კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2001, გვ.59; სურენ ავჩიანი, ქართულ სომხური თეატრალური ურთიერთობები, თბ., 1960, გვ.75.

გ. ბაბუნაშვილი, უქტომბრის რევოლუცია და ქართული ხელოვნება, ქურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, №10, გვ. 12.

\* მელაორენა – ბერძნულად „ცეკვა-სიმღერით შექმას“ ნიშავს; ბერძნულ მითოლოგიაში ზექსისა და მნემოსინას ასეუდი – ერთ-ერთი ცხრა მუზიდან, ტრაგედიისა და სასცენო ხელოვნების მფარველი ქალამქერთი. გამოისახებოდა ვაზის ფოთლებით მორთული, დაფნის გვირგვინით, ტრაგიკული ნიღბით, კომბლით ხელში; 2) სასცენო ხელოვნების სიმბოლო.

**ໝວດການ** 2. ກාරຕුෂලි ແරුමාආංශුලි ສාධනගාදගොඩීස ອຸງອිშා (XX ສາງුදුන් ແລະ ສາງුදුව්) ໃຫ້



### ¶ 3. აზერბაიჯანული თეატრის შესახებ



აზერბაიჯანული ოქატრის სპექტაკლის  
აფიშა, რომელშიც ქალების როლს  
მამაკაცები ასრულებდნენ\*

ბის სახელმწიფო აზერბაიჯანული ოქატრის სტატუსი მიენიჭა. დასი ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქება და სოფელებში.

აღნერის ბინეროვიდლი, საუბრები თეატრზე, ბაქო, 2009, გვ. 14.

\* მუსლიმური სარწმუნოების მიხედვით, ქალებს თვატრში მსახიობობა ეკრალებოდათ, ამიტომ ქალების როლს ქალის ტანისარმალში გადაეცელოთ კაცები თამაშითდონ.

## შესახვები 4. რუსთაველის თეატრის ისტორია

1920 წლის 27 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართულ თეატრს გადაეცა იუსტიციის სახლის ყველა დარბაზი და მეორე სართული. ეს იყო ამჟამინდელი რუსთაველის თეატრის შენობა, სადაც წარმოდგენებს მართავდა, აგრეთვე, რუსული თეატრი „ტარტო“ და სომხური დრამა. დღევბი ასე განაწილდა: კვირა სადამო, სამუშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი – ქართულ დრამას; ორშაბათი, პარასკევი და კვირა დილა – რუსულ თეატრს, ოთხშაბათი – სომხურ თეატრს.



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი  
– ქართულ დრამას; ორშაბათი, პარასკევი და კვირა დილა – რუსულ თეატრს, ოთხშაბათი – სომხურ თეატრს.

ვახილო კიკნაძე, დასახელებული ნაშრომი გვ. 458.

## შესახვები 5. სომხური თეატრის შესახებ



თბილისის სომხური თეატრი

განსახიერებაა ქართველ და სომები ხალხთა მეგობრული ურთიერთობისა.

სურებ აგჩიანი, დასახელებული ნაშრომი გვ. 79.

საქართველოში მცხოვრებ სომები დრამატურგებს, რომლებიც ქართულად წერდნენ, თავიანთი წვლილი შექმნდათ ქართული თეატრის წარმატების საქმეში. ასეთი იყო გორელი სომები ზურაბ ანტონივი, რომლის ლიტერატურულ-დრამატურგიული შემოქმედება ქართულ სცენაზე გაიფრინა. სომხურ თეატრში აქტიურად მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მსახიობი ვახო აბაშიძე. მისი შემოქმედება ცოცხალი

## შპარტ 6. ინტერნაციონალური სპექტაკლები

ა) ჩვენს თეატრში სუნდუკიანის „პეპოში“ ეფემიას როდს ქართულად თამაშობდა მსახიობი მედეა ჩახავა, დანარჩენი დასი კი მთლიანად სომხურად თამაშობდა. იყო პირიქითაც – რუსთაველის თეატრის სცენაზე სპექტაკლ „პეპოში“ რუსთაველის დასი თამაშობდა ქართულად, ხოლო პეპოს როდს სომხურ ენაზე ასრულებდა საქართველოს სახალხო არტისტი არტემ ლუსინიანი. ასეთი გასკლები ჩვენი თეატრისათვის დიდი ზეიმი იყო. ამ სპექტაკლებზე ორივე თეატრში ქართველი და სომეხი მაყურვებელი ერთად დადიოდა.

*ინტერვიუ საქართველოს დამსახურებულ არტისტისტან რობერტ ოვანესიანთან,  
ჩაიწერა ნანა სოლოდაშვილმა, 2009 წლის 20 სექტემბერი.*

ბ) XX საუკუნის 50-იან წლებში სოხუმში ვიყავით გასტროლებზე. სოხუმის თეატრის სცენაზე ვითამაშეთ შექსპირის „ოტელო“. პირველი მოქმედება ითამაშა რუსთაველის თეატრის ქართულმა დასმა ქართულ ენაზე, მეორე მოქმედება – თბილისის სომხური თეატრის დასმა სომხურ ენაზე, ხოლო მესამე მოქმედება – აფხაზეთის დასმა აფხაზურ ენაზე. სპექტაკლს მაყურებელიც მრავალეროვანი პერსონალი და ყველასგან მხოლოდ სიობო და სიხარული იგრძნობოდა. ჩემთვის საამაყოა, რომ სომხური თეატრის სცენაზე ილია ჭავჭავაძის „გლობანის ნამბობში“ აკაკი ვასაძის პარტნიორი ვიყავი: იგი მამის როდს თამაშობდა, მე – თამროს. ეს უდიდესი ბედნიერება იყო.

*ინტერვიუ მსახიობ სერიკ შექოიანთან, ჩაიწერა ნანა სოლოდაშვილმა,  
2009 წლის 24 სექტემბერი.*

### დაგალება 1:

შექმენით 5 ჯგუფი და მოამზადეთ სტატია, წყაროების 1-6 მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თბილისური გაზეთისათვის.

თითოეული ჯგუფი წერს

- რუსული თეატრის
- ქართული თეატრის
- სომხური თეატრის
- აზერბაიჯანული თეატრის
- გაზეთის კორესპონდენტის



სახელით.

**განაზღადებელი კითხვა:** როგორ ემსახურებოდა „თბილისის მელპომენა“ თანაცხოვრებას მრავალკულტურულ ქალაქში?

## 9. ედემის ბაზი „სამხრეთის ციმბირში“

**საკვანძო პიტიგა:** როგორი ურთიერთობა იყო საქართველოში ჩამოსახლებულ რუსებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის XX საუკუნის დასაწყისში?

### შეკვეთი 1. საგარეჯოს რაიონის მოსახლეობა



### დავალება 1:

1. შეადარე მონაცემები. რა ცვლილებები მოხდა საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში XX საუკუნის დასაწყისიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე?
2. ივარაუდე, რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი?

## შესრულებული მუნიციპალიტეტის გადმოსახლების ისტორია

თავად მალხაზ ანდრონიკაშვილს, სახელმწიფო ბანკიდან აღებული ვალის გადაუხდელობის გამო, 1908 წელს აუქციონით გაეყიდა 13 ათასი დესეტინა მიწა ახლანდელი ბოგდანოვკის, არაშენდისა და კაჭრეთის მიდამოებში.

1909 წელს გადატაკებული, უმიწოდესი რუსი გლეხების 120 კომლი დონისპირეთიდან მინდოო ოლეში ჩამოსახლდა - ახლანდელი სოფ. ბოგდანოვკის ტერიტორიაზე. ახალმოშენებმა სოფელს ბოგდანოვკა უწოდეს, რადგან რუსეთის ხელისუფალთაგან მუქთად ჩაიგდეს ბარაქიანი ქართული მიწა. ისინი ამბობდნენ: ეს სიკეთე დმერომა მოგვცა - „ბოგ დალ“-ო. მათ მაგალითზე დიდმალი რუსი უმიწაწყლო გლეხობა მოაწყდა აქაურობას და ასე გაჩნდა ხუტორები: „მაკაევკა,“ „ალანდარა,“ „მეორე ალანდარა,“ „გვოზდევევკა,“ „სალდატსკი ხუტორი“ და „ზელიონოვე პოლე“. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ახალმოშენები ამ ხუტორებიდან აიყარნენ და ისევ სამშობლოში დაბრუნდნენ. მხოლოდ ბოგდანოვკა დარჩა დღემდე.

ინტერვიუ საგარეჯოს მცხოვრები ალექსანდრე ელევრდაშვილთან, 82 წლის,  
ჩაიწერა ქოთვანი ქვლივიძემ, 2009 წლის 12 ივნისი.

## შესრულებული ბოგდანოვკის რუსული სკოლის შესახებ

ლეონტი ვასილის ძე ზუბაშევსკის ინიციატივით, სოფელში რუსული სკოლა გაიხსნა. თანდათან სკოლაში ქართველი ბავშვებიც მომრავლდნენ. მათ რუსულ ენაზე სწავლა უჭირდათ. ქართველმა მშობლებმა სკოლაში ქართული სექტორის გახსნაც მოითხოვეს. სოფლის მასწავლებლის ქოთვან კუტიბაშვილისა და მისი მეუღლის რევაზ ორგელაშვილის დიდი მონდომებით, 1966 წელს სოფლის რუსულ სკოლაში ქართული სექტორიც გაიხსნა.

ბოგდანოვკაში მეზობელი სოფლებიდან: შიბლიანიდან, ვერხვიანიდან, ყანდაურიდან, კაკაბეთიდან, ჭერმიდან ქართველები ჩამოსახლდნენ. თანდათან სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართული გახდა. რუსი და ბერძენი მცხოვრებნიც საუკეთესოდ ფლობენ ქართულ ენას. სკოლაში რუსულ ენაზე სწავლის მოთხოვნა უკვე ნაკლები იყო. შედეგად, სოფლის რუსული სკოლა გაუქმდა.

ინტერვიუ სოფ. ბოგდანოვკის მცხოვრებ ივანე უშაკოვთან, 82 წლის,  
ჩაიწერა ქოთვანი ქვლივიძემ, 2009 წლის 10 ივნისი.

## რუსი ახალმოსახლეების ცხოვრების შესახებ

ა) 61 წლის ვერა სტეფანეს ახულ შირინა: წინათ ამ სოფელს მალხაზოვკა ერქვა, 1940 წლიდან კი კრასნოგორკა ჰქვია. ჩემი წინაპრები აქ პირველი პირველი მსოფლიო ომის წინ სარატოვის მხარიდან გადმოსახლეს. მიზეზი ჩვენი მრწამსი იყო – მალაკნები ვართ. სოფელში ადრე ბაპტისტი მალაკნებიც იყვნენ. ისინი წყლით ნათლობას იღებდნენ. ჩვენ, მალაკნები, სიტყვით ვიდებოთ ნათლობას. მალაკნებს ეკლესია არ გვაქვს. „სამლოცველო სახლი“ ყოფილი სკოლის შენობაში გვქონდა. საბჭოთა პერიოდში აქ კლუბი გახსნეს, მალაკნებს სხვა, ცალკე მდგომი შენობა მისცეს, შემოღობეს. ახლა სოფელში სულ ორი მოხუცი ქალიდა დარჩა, ვინც „სამლოცველო სახლში“ დადის და ბიბლიას კითხულობს.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე კრასნოგორკა სუფთა რუსული სოფელი იყო. მხოლოდ რუსები ვცხოვოდით. პოლიტიკური ვითარების არევის შემდეგ, განსაკუთრებით, მხედრიონის თარეშის პერიოდში, სოფელი დაცარიელდა – ზოგი თბილის-

ში ან რუსთავში გადასახლდა, ზოგიც რუსეთში წავიდა. მალაკნებს დიდი ოჯახები გვქონდა: თითო ტჯახში 10 შვილი მაინც იზრდებოდა. დედაჩემს, შირინა ნადეჟდა ანდრეევნას, 7 შვილი, 37 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი პყავდა. ახლა ბიძაშვილები ასზე მეტნი ვართ. გაფანტულები ვართ რუსეთსა და საქართველოს შორის. აქ მცხოვრებმა რუსებმა ქართული საერთოდ არ იციან. არ იყო ამის აუცილებლობა.

ბ) 81 წლის ანასტასია გლუშკოვა: მამაჩემს ქართველები ძალიან უყვარდა. მეც ძალიან მიყვარს ქართველები. კარგად, ძალიან კარგად ვცხოვრობდით ერთად. XX საუკუნის 90-იან წლებში მთელ საქართველოში განუკითხაობა რომ იყო, რუსებს გვაშინებდნენ: წადით აქედან, თორებ ქართველები დაგხოცავენო. ბევრს შეეშინდა, წავიდა რუსეთში. ჩვენ არსად წავსულვართ. რუსები სახლებს რომ პყიდდნენ, რამდენიმე სახლი ვიყიდე ჩემი შვილებისათვის, რომ არსად წასულიყვნენ.

რუსები აქ კარგად ვცხოვრობდით. მწველავად ვმუშაობდი. 10 შვილი გავზარდე, უამრავი ჯილდოც მაქვს მიღებული: 1979 წელს, როგორც გამარჯვებულს, პრემიად 100 კილოგრამი ხორცი გამომიწერეს, დამსვეს თვითმფრინავზე და მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამიშვეს 9 დღით. ქურნალმა „კრესტიანკამ“ ყდაზე ჩემი სურათიც დაბეჭდა. ნამდვილად ბედნიერი ცხოვრება მქონდა. მდიდარიც ვიყავი – ყველა ჩემს შვილს ძვირფასი ლოგინი და ხალიჩები მივეცი.

ინტერვიუ ხოუ. კრასნოგორკის მცხოვრებლებთან  
ჩაიწერა ქთულა ქვლივიძემ, 2009 წლის 24 ივნისი.

#### ტყარო 5. სოფ. კრასნოგორკის მალაკნების საოჯახო ყოფა



## დაგალება 2:

1. გაარკვიე, წყაროების 2 და 4 მიხედვით, რა იყო დღევანდელი საგარეჯოს რაიონის სოფელ ბოგდანოვკასა და მეზობელ სოფლებში რუსული მოსახლეობის ჩამოსახლების მიზეზები?
2. წყაროებიდან 3 და 4 მიღებული ინფორმაციის მიხედვით, განსაზღვრე როგორ წარიმართა რუსი ახალმოსახლეების ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან? მოიტანე მაგალითები.
3. იპოვე არგუმენტები, მიიჩნევდა თუ არა საგარეჯოს რაიონის რუსი მოსახლეობა „სამხრეთის ციმბირს“ თავის სამშობლოდ?
4. წყაროების 2-5 მიხედვით, ისაუბრეთ მაღაკნების ცხოვრების წესისა და ტრადიციების შესახებ.

**განმაზობარებელი პირები:** რატომ ითვლებოდა საქართველო ანუ „სამხრეთის ციმბირი“ ედემის ბალად?

## 10. შერეული ქორწინებები საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში

**საპარამო კითხვა:** რომელმა პოლიტიკურმა პროცესებმა იქონია გავლენა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაზე XX საუკუნის მეორე ნახევარში?

### შეკვეთ 1. საქართველოს მოსახლეობის შესახებ მეორე მსოფლიო ომის დროს

მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევდა პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებს ევაკუირებული ბავშვების მოწყობასა და აღზრდაში. 1942 წელს პატრონაჟზე აყვანილ იქნა 2340, ხოლო შვილად 320 ბავშვი [...]

...მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეივსო ბუნებრივი ნამატით და მტრის მიერ დროებით ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებული მოსახლეობით, რომლის ნაწილი საქართველოში დამკვიდრდა, ომის წლებში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა [...]

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VIII, თბ., 1980, გვ. 232, 271.

### შეკვეთ 2. ქართული მხატვრული ფილმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შერეული ოჯახის შესახებ

ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მოგვითხობს მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთიდან საქართველოში ევაკუირებული რუსი გოგონას გლაფირა ოგურცოვასა და ქართველი მოქანდაკის – აგული ერისთავის სიყვარულისა და ოჯახური ცხოვრების ამბავს.



- ა) აგული ერისთავის მამა პიპინია გაგონ-ბარაკიდან სახლში მიაცილებს სარძლოს.
- ბ) აგული, პიპინია და აგულის ოთხი ვაჟი ულოცავს დედას მეხუთე ვაჟის გაჩენას.

კადრები ქართული მხატვრული ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რეჟისორი გ. შენგელაია, 1968 წ.

### დაგალება 1:

1. ივარაუდე, რა იქთ ფილმის შექმნის იდეა?
2. მონახე საერთო წყაროებში 1-2 მოტანილ მაგალითებში.
3. დაასკვენი, რომელი ისტორიული მოვლენები ახდენდა გავლენას შერეული ქორწინებების ზრდაზე საქართველოში?

### შესახებ 3. ოჯახების (შინამეურნეობების) განაწილება ეროვნების მიხედვით (სადაც ყველა წევრი ერთი ეროვნებისაა)

(სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები)


	ეროვნება	1979	1989	2002
1	ქართველი	750430	817875	837535
2	აფხაზი	14985	16590	92
3	ოსი	29736	28533	4875
4	სომები	84234	74253	49229
5	რუსი	70104	56326	8018
6	აზერბ.	44325	56668	60623
7	ბერძენი	17533	17916	2918
8	სხვა	12935	14226	8092

შენიშვნა: 2002 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის საყოველოათ აღწერა არ ჩატარებულა.

### შესახებ 4. ოჯახები (შინამეურნეობები), სადაც წევრები სხვადასხვა ეროვნებისაა




(სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები)

	1979 წ.	1989 წ.	2002 წ.
კველა ოჯახი	1150836	1243677	1040515
ერთი ეროვნების	1030716	1092349	971384
შერეული	120120	151328	69131



### დაგალება 2:


გამოიანგარიშე შერეულ ქორწინებათა პროცენტული მაჩვენებელი



\* შინამეურნეობა – ასე უწოდებენ ოფიციალურ დოკუმენტებში ოჯახს.

**ტყარო 5.** შერეული ოჯახები ქართველის მონაწილეობით (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები)

შინამეურნეობები, სადაც წევრები სხვადასხვა ეროვნებისაა




1. ქართველი და რუსი
2. ქართველი და აფხაზი
3. ქართველი და სომები
4. ქართველი და თხი
5. ქართველი და აზერბაიჯანელი
6. ქართველი და ბერძენი
7. ქართველი და სხვ.
8. ქართველის გარეშე

**დაგალება 3:**

1. წყაროების 3-5 მიხედვით, დაადგინე რა ცვლილებები მოხდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში.
2. შეადარე შერეული ქორწინების სტატისტიკაში არსებული ცვლილებები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის იმდროინდელ მონაცემებს.
3. გადანომრე შერეული ოჯახები მათი რაოდენობის მიხედვით




**ტყარო 6. შერეული ოჯახები (შინამეურნეობები) ქალაქად და სოფლად**

(სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები)



**დაგალება 4:**

გამოიანგარიშე სოფლად და ქალაქად მცხოვრები შერეული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი



## დაგენერაცია 5:

იმსჯელეთ, რატომ არის ქალაქში მეტი შერეული ოჯახი, ვიდრე სოფელში?

## ტყარო 7. კითხვარი-ინტერვიუ

1. სახელი, გვარი
2. ეროვნება
3. დაბადების ადგილი და წელი
4. განათლება
5. მეუღლის ეროვნება
6. სად გაიცანით თქვენი მეუღლე?
7. როდის იქორწინეთ?
8. რა წესით შესრულდა ქორწინება?
9. სად ცხოვრობთ ამჟამად?

10. გვავთ თუ არა შეილები?
11. რა ენაზე ლაპარაკობთ ოჯახში?
12. იციან თუ არა თქვენმა შეილებმა თქვენი მშობლიური ენა?
13. შეგქმნიათ ოჯახში პრობლემები თქვენი არაქართველობის გამო?
14. საზოგადოების მხრიდან?
15. მიიჩნევთ თუ არა საქართველოს თქვენს სამშობლოდ?

1. ირინა ხალდევევა
2. რუსი
3. ხაშური, 1933 წ.
4. უძალდები
5. ქართველი, თენიაზ ბარნაველი
6. მეუღლე გავიცანი თბილისში
7. ოთხი წლის შემდეგ
8. ხელი მოვაწერეთ
9. თბილისში
10. შეილები გვეავს
11. ქართულად და რუსულად
12. შეილებმა რუსული კარგად იციან
13. არანაირი, ჩვენს შეილსაც რუსი ცოლი პყავს
14. არა
15. საქართველო ჩემი სამშობლოა

1. მახნურ აშუროვა
2. აზერბაიჯანელი
3. ბოლნისის რ-ნი, სოფ. დარბაზი, 1943 წ.
4. უძალდები, რუსული ენის პედაგოგი
5. ქართველი, გიორგი ვალიშვილი
6. მეუღლე გავიცანი ქ. კასპში, სეროლაში
7. ძალიან ძალე, იმავე წელს
8. ხელი მოვაწერეთ
9. ვცხოვრობთ თბილისში
10. ორი ასეული და ერთი ვაჟი
11. ოჯახში ვლაპარაკობთ ქართულად და აზერბაიჯანელად
12. ორივე ენა კარგად იციან
13. არახოდებ
14. არა, განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობ მეზობლებისგან
15. რა თქმა უნდა

ინტერვიუ ჩაიწერებს ნ. მოლაშვილმა და ნ. ნაბიგეამ, 2009 წლის 8 და 16 ოქტომბერი.

## დაგენერაცია 6:


1. აირჩიე პასუხებიდან ერთ-ერთი ფრაზა ამ ინტერვიუების დასასათაურებლად.
2. გაიხსენე საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიიდან ცნობილი შერეული (დინასტიური) ქორწინებები?
3. აირჩიე ინტერვიუდან ის კითხვები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგანია და დასაბუთებელი შენი არჩევანი.
4. ინტერვიუს საფუძველზე განსაზღვრე, რა არის შერეული ოჯახის ყველაზე რთული პრობლემა და შესთავაზე მისი გადაჭრის შენეული გზები.

**განვითარებადებაზე კითხვა:** რა ისტორიული მოვლენები ახდენდა გავლენას შერეული ქორწინებების დინამიკაზე?

## 11. მრთი ქუჩა მარნეულში

**საპგანო კითხება:** როგორი იყო სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის თანაცხოვრების ტრადიციები მარნეულში XX საუკუნის ბოლოს?

### ტყარო 1. მარნეულის რაიონი XX საუკუნის ბოლოს



### დაგენერაცია 1:

1. განსაზღვრე, რომელ რაიონებს და უცხო ქვეყნებს ესაზღვრება მარნეულის რაიონი?
2. რა გავლენას ახდენს რაიონის ამგვარი მდებარეობა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნებათაშორის ურთიერთობებზე?

### შეკვეთი 2. მარნეულის რაიონის მოსახლეობა

ეთნიკური შემადგენლობა	1979	1989	2002
აზერბაიჯანელები	72965/72,6%	91923/76,3%	98245/79%
ქართველები	?	?	9503 / 8%
სომხები	?	?	9329 / 7,9%
ბერძნები	?	?	396 / 0,3%
რუსები	?	?	523 / 0,4%
სხვა	?	?	112 / 0,1%

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

### დაგვალება 2:

1. გაიხსენე, რა ცვლილებები მოხდა საქართველოში 1980-90-იან წლებში?
2. დაალაგე ეს ცვლილებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.
3. შეისწავლე ცხრილი და ივარაუდე, რა იყო მარნეულის რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების მიზეზები.

### შეკვეთი 3. პირველი ეკლესია და პირველი მეჩეთი მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე



დავით აღმაშენებლის ეკლესია (1999-2000)




მეჩეთი (1998-2000)

### დაგვალება 3:

ახსენი, რა პროცესებზე მეტყველებს ამ საკულტო ნაგებობების მშენებლობის თარიღები?

## ტყარო 4. ქართულ-აზერბაიჯანული ოჯახის ტრადიციები



ლიგიური დღესასწაულები. მაგალითად, ჩვენ ვზეიმობთ „ნოვრუზ-ბაირამ“, რომელიც გაზაფხულის მოსვლის სიმბოლოა. დღესასწაულამდე 4 კვირით ადრე ყოველ ოჯახში თევზე ყრიან ხორბალს და სველ დოლბანდს აყარებენ, რომ გაღვივდეს და გაუშვას ფესვები, შემდეგ ამოდის პირველი მწვანე აღმონაცენი – გაზაფხულის მაუწყებელი. 20 და 21 მარტს ხორბალს სახელწოდებით „სემენი“ კრავებ წითელი ბაფთით, ამზადებენ ტრადიციულ ფლავს, „სემენი“ გარშემო ყრიან თხილს და ტკბილეულს და ანოებენ იმდენ სანთელს, რამდენი კაციც არის ოჯახში. ყმაწვილები და გოგონები აგდებენ კარებქვეშ ქუდებს და ჩასაფრებულები ელოდებიან, როცა მათ ქუდებს ტკბილეულით აავსებენ. საღამოთი კი იკრიბებიან დიდი კოცონის გარშემო, მღერიან, ცეკვავენ, ეგუძებიან გაზაფხულს. როცა კოცონი ბეჭებას იწყებს, ახტებიან მას.

ჩვენ ერთად ავღნიშნავთ საერო და ოჯახურ დღესასწაულებს – მუსლიმურს და ქრისტიანულს. სუფრაზე ტრადიციული ქართული და აზერბაიჯანული კერძებია, ვმდგრით, ვცეკვავთ ერთად.

ინტერვიუ მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებ, ქართველ მარიამ არტემის ასულ  
თარხნიშვილზე დაქორწინებულ, მამედ აბდულა თადლი მამედოვთან,  
ჩაიწერეს ნარგის ნაბიჯვამ და ელიურა ალიევამ, 2009 წლის 5 აპრილი.

### დაგალება 4:

1. შენი აზრით, მამედოვების ოჯახში ნოვრუზ-ბაირამს რელიგიური დღესასწაულის მნიშვნელობით ზეიმობენ, თუ მას უფრო საოჯახო დღესასწაულის მნიშვნელობა აქვს?
2. მოძებნე წყაროში 4 შენი მოსაზრების დამადასტურებელი სიტყვები.

## შესრულებული ტემატიკური მუნიციპალიტეტი



– თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით, ქმარი - მაჟმადიანი. რა რწმენას მის-  
დევენ თქვენი შვილები?

– სამთავე შვილი მაჟმადიანებად  
აღვხარდეთ.

– აღნიშნავთ თუ არა ქრისტიან-  
ულ და მუსლიმურ დღესასწაულებს?

– დიახ, აღვნიშნავთ. ერთ-ერ-  
თი ყველაზე დიდი ქრისტიანუ-  
ლი დღესასწაულია – აღდგომის  
დღესასწაული, ანუ ქრისტეს ნა-  
თელი კვირადღე. ის განეკუთვნე-  
ბა ეგრეთ წოდებულ გარდამავალ

დღესასწაულებს და აღინიშნება პირველ კვირადღეს გაზაფხულის სავსე მოვარის შემდეგ, რომელიც გაზაფხულის ბუნიაობის შემდეგ დგება. აღდგომისთვის მზადება იწყება დიდი მარხვის პირველი დღეებიდან. ყოველ ოჯახში თევზებზე თესავენ ხორ-  
ბალს, რომელიც დღესასწაულისთვის აღმონაცენდება. დღესასწაულზე დებავენ კვერ-  
ცხებს, აცხობენ პასკას, მიდიან ეპლესიაში.

სანამ ვაჟი მუსლიმ ცოლს მოიყვანდა, ჩვენ უფრო აღდგომას ავღნიშნავდით, ახლა  
კი ავღნიშნავთ „ნოვრუზ-ბაირამს“.

*ინტერვიუ მარნეულ ში მცხოვრებ აზერბაიჯანელ აიათ ისმაილიშვილის შემაილოვნებელი გათხოვილ, წაკისის მკვიდრთან ბერძენ მარია პორფირიადისთან,  
ჩაიწერეს ნარგიზ ნაბიეგაძ და ელიურა ალიევაძ, 2009 წლის 6 აპრილი.*

### დაგვალება 5:

1. გააანალიზე წერო 5:
  - ახსენი, რით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ იმ ოჯახში, სადაც ყველა მამ-  
აკაცი მუსლიმია, აღნიშნავდნენ აღდგომას?
  - განიხილე, რა რელიგიური ტრადიციები ჩამოყალიბდა ამ ოჯახში?
2. წეროებში 4 და 5 მოცემული ფოტოსურაობის მიხედვით, შეადარე, რა არის  
საერთო ამ ორი რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციაში?

**განვაზოგადებელი პითხება:** რა არის მარნეულ ში სხვადასხვა ეთნიკური  
თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანი?

## 12. ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“ ჩაქვეში

**საპარმო პითხება:** რატომ ეძახიან ჩაქვს ხალხთა „ჭიანჭველების ბუდეს“?

### შეკვეთი 1. უცხოელი მეცნიერი კავკასიის მოსახლეობის შესახებ

კავკასიის მხარე მეცნიერული თვალსაზრისით უდავოდ დედამიწის უშესანიშნავეს კუთხედ უნდა ვცნოთ. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ევროპისა და აზიის შესაყარზე, ...ეთნოგრაფიულმა და ისტორიულმა ნიშანდობლივმა თავისებურებებმა [...] შეუძლებელია ინტერესი არ აღგვიძრას [...] ძველი ქვეყნის ადამიანთა რასები, აზიიდან ევროპისაკენ რომ მიედინებოდნენ, კავკასიაზე ან მის გვერდით ჩაიქროლებდნენ და აქ ტოვებდნენ თავიანთ ახალშენებს, რომლებიც შემდეგ ერთმანეთსა და ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებოდნენ და უამრავ ცალკეულ ეროვნებას ქმნიდნენ. სწორედ ამიტომ ეწოდა კავკასიის ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“.

კ.რიტერი, მიწისმფლობელებთა ისტორია, წიგნში: დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მუზეუმისა და აჭარაში, თბილისი, 1864, გვ. 1.

### შეკვეთი 2. როგორ იქმნებოდა ჩაქვი

ა) სოფელ ჩაქვში წვიმისაგან თავი შევაფარეთ ფლეთილი ქვის დიდ ორსართულიან სახლს, რომელიც კრამიტით იყო დახურული, როგორც საუკეთესო სახლების უმეტესობა. [...] ეს სახლი ეკუთვნიდა აგილობრივ მემამულეს ხუსეინ-ბეგ ბეჯან-ოდლის ანუ ბეჯანიშვილს [...] სახლის გვერდით იყო მდიდარი და საკმაოდ ვრცელი ჩელტიკის, ანუ ბრინჯის ყანა, რომელიც ხუსეინ-ბეგს წლიურად 300 ქისა შემოსავალს აძლევს.

დიმიტრი ბაქრაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 18.

ბ) რუსეთის საიმპერატორო ოჯახს მოელს იმპერიაში დიდმალი მამულები ჰქონდა მფლობელობაში, რომლის მართვისთვის შექმნილი იყო სპეციალური საუფლისტულო უწყება. ... XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საუფლისტულო უწყების მოხელეების არჩევანი ჩაქვის ხეობაზე შეჩერდა, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. ხეობის საერთო ფართობი 16378 დესეტინას აღწევდა, სადაც 205 კომლი ცხოვრობდა. მოელს ოლქში ჩაქვის ხეობა ნაყოფიერი მიწებით გაცილებით მდიდარი იყო, ხოლო მოსახლეობა – შედარებით მცირე.

ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობები საქართველო საქართველოში თხმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი, 2001, გვ. 119.

გ) საუფლისტულო უწყება ჩაქვში მამულების შეძენას 1894 წელს შეუდგა. ჯერ კ.წ. სახაზინო მიწები დაისაკუთრა, შემდეგ მუნიციპალიტეტი მიტოვებულ მიწებს დაეპატრონა.

ქცევა, ფ.130, ა.1.ს.184.

დ) ჩაქვში 1951 წლიდან ვცხოვრობ. აქ აღრე ჭაობი იყო. გავრცელებული იყო მალირია. თავდაპირებელი და, ამ ტერიტორიებზე (ოლონდ უფრო შემადლებულ ადგილებზე) რუსმა მაღალჩინოსნებმა აგარაკები აიშენეს. მახსოვს რამდენიმე გვარი – ვორონცოვი, პოპვი, სოლოვიოვი, სოლოვცოვი და ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი კრასნოვი. სწორედ მათ ჩამოიყანეს ჩინელები დათ ჯინჯაოს ხელმძღვანელობით. იგი ჩაქვში 1926 წლამდე ცხოვრობდა. მისმა შვილმა მეუდღედ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ზაქარია თუშმალიშვილის ქალიშვილი შეირთო. მუშახელი მიმდებარე სოფლებიდან ჩამოჰყავდათ, შემდეგ უბავ დაიწყეს სხვადასხვა ჯუ-

რის ადამიანების ჩამოსახლება. გაჭირვებული ადამიანები სიხარულით მოდიოდნენ და ასრულებდნენ უმძიმეს სამუშაოს, ოღონდ ლუგმა-პური ჰქონოდათ. ხალხი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და სამუშაოც სეზონური ხასიათის იყო. შემდეგ, ნაწილი მუდმივად დასახლდა... ასე დავსახლდით ერთად...

ინტერვიუ ჩაქვის მცხოვრებთან გახტანგ კუტურისტთან, 83 წლის, ჩაიწერა მადონა მიქელაძემ, 2009 წლის 22 დეკემბერი.

### **შესახებ**

ჩაქვში 1949 წლიდან ვცხოვრობ. აქ 14 ეროვნების ადამიანები იყვნენ დასახლებული: ქართველები (ქრისტიანები და მუსლიმები), რუსები, ბერძნები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ბულგარელები, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, უზბეკები, ჩეჩენები, ოსები, მოლდოველები... ჩაქვში ხალხი მასობრივად 1930-იან წლებში ჩამოასახლეს, როცა რუსეთში საშინელი შიმშილი იყო. საბჭოთა პერიოდში აქ ქალთა კოლონია\* იყო. ის შენობა დღესაც შემორჩენილია. სწორედ მათ ამუშავებდნენ ჭაობის ამოსაშრობად და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. დრო გადიოდა. ხალხი თანდათან საერთო საცხოვრებლებიდან ბინებში გადაიყვანეს. მათ საკუთარი მეურნეობებიც მოიწყვეს. 1960-იანი წლებიდან უკვე კერძო სახლებიც გაჩნდა.

ინტერვიუ ჩაქვის მცხოვრებთან, მეორე მსოფლიო ომის კეტერანთან, 88 წლის აკაკი ბეჭვაისთან, ჩაიწერა მადონა მიქელაძემ, 2009 წლის 22 დეკემბერი.

### **შესახებ**



### **„გამომყევი, გოგო ცოლად...!“, ჩაქვი, 1965 წ.**



\* კოლონია – ქალთა სასჯელადსრულებითი დაწესებულება.

## ტყარო 6. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ჩაქვის მოსახლეობის შესახებ

2009 წლის აღწერით, მოსახლეობის რაოდენობა ჩაქვში 10 567 ადამიანს შეადგენს. მათგან დაახლოებით 2500-ზე მეტი მაცხოვრებელი სხვა ეროვნებისაა. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასე გამოიყერება: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ბულგარელები, ჩეხები, აზერბაიჯანელები, თურქები, მოლდოველები, ლატვიელები, ლიტველები.

**ჩაქვის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2009 წლის 10 აპრილი.**

### დაგალება 1:

1. წყაროებში 2 (ა, ბ, გ, დ) და 3 მოცემულ ინფორმაციაში ხაზი გაუსვი საკვანძო სიტყვებს, რომლებიც ხსნის XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაქვში მოსახლეობის ჩასახლების მიზეზებს.
2. ახსენი, მიუხედავად სირთულეებისა, რატომ გადაწყვიტეს ჩაქვში დროებით ჩასახლებულმა ადამიანებმა იქ დარჩენა?
3. წყაროების 1-6 და მიხედვით, რომელ ყველაზე საინტერესო ფაქტებს გამოიყენებდი ჩაქვის შესახებ ნარკევების – „მე თავს უცხოდ არ მივიჩნევ“ დაწერისას?

## ტყარო 7. ჩაქვში ტურიზმის განვითარებისა და მისი შედეგების შესახებ

ა) ტურიზმი მოსახლეობის ახალ ტალღას უქრის სათავეს: აქ უამრავი ადამიანი ჩამოდის; სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა რელიგიის. ნაწილი უძრავ ქონებას იძენს და სახლდება, ზოგი სეზონურად, ზოგი კი მუდმივად. ჩაქვის მოსახლეობის ჭრელი შემადგენლობა არ შემცირებულა, პირიქით, უფრო „გაჭრელდა“. დაქმატენ თურქები, ჩინელები, არაბები და სხვა. თუმცა ჩინელები აქ ადრეც ცხოვრობდნენ...

ბ) მშვიდობიანი თანაცხოვრება, თავისთვის ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს, მაშასადამე, მოსახლეობის კკონომიკურ გაძლიერებას. ეს ორი ფაქტორი ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთის დაკარგვა მეორეს განადგურებას იწვევს.

**ინტერვიუ ჩაქვის მცხოვრებ ისტორიეთს ი. გორგილაძესთან, ჩაიწერა მადონა მიქელაძემ, 2009 წლის 15 დეკემბერი.**

### დაგალება 2:

1. წყარო 7-ის მიხედვით, განსაზღვრე, რა არის ავტორისათვის მთავარი სხვადასხვა ეროვნების ადამიანების თანაცხოვრებაში?

### შესახებ შესახებ 8. ჩაქველები თავიანთი დასახლების შესახებ

- ა) კ. ტოროსიანი, 74 წლის: ჩაქვში არასოდეს მომხდარა კონფლიქტი ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე. ჩვენ არ გვქონია იმის შეგრძნება, რომ განსხვავებულები ვართ ერთმანეთისაგან. ერთად ვცხოვრობდით ე.წ. ბარაკებში (მაშინ კერძო სახლები ან ასეთი საცხოვრებელი კორპუსები არ იყო) და ჭირსა და ლხინს ერთმანეთს ვუზიარებდით.
- ბ) ო. ჭალალიძე, 63 წლის: მე არ მახსოვს დაპირისპირების არც ერთი ფაქტი. ჩვენ არ ვართ კონფლიქტურები. მეორეც, ყველას ერთნაირად გვიჰირდა. აქ ჩამოსული ყველა ადამიანი თანასწორი იყო გაჭირვებისა და მაღარიით სიკვდილის წინაშე. ვის ეცალა განსხვავების მოძებნისასოვის?
- გ) ი. ფიოდოროვი, 40 წლის: თავს არ ვგრძნობ უცხოდ და თუ მინდა ჩაქვიდან წასვლა, ეს მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარე, მაგრამ არა სამუდამოდ!!! 1990-იან წლებში, როცა დაიხურა ჩაის ფაბრიკები, უუნქციონირება შეწყვიტა ჩაისა და ციტრუსების მეურნეობამ, ჩაქვი მასიურად დატოვეს რუსებმა, ბერძნებმა, სომხებმა და ა.შ. იციო, რამდენი დაბრუნდა უკან? ბევრი. იციო, რატომ? მათ ვერსად ვერ იპოვეს ის სითბო, მეგობრობა და ურთიერთობადგომა, როგორიც ჩვენთან ვიციო.

ინტერვიუ ჩაქველებთან, ჩაიწერა მაღონა მიქელაძემ, 2009 წლის 5 მარტი.

### დაგაჭება 3:

- წეაროში 8 (ა, ბ, გ) იპოვე ფრაზა, რომელსაც გამოიყენებდი ჩაქვზე სტატიის სათურად.

**განმაზობარებელი პითხბა:** რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მრავალეთნიკურ ქალაქში?

## 13. უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში

**საპანძო პითხება:** ოოგორ ცხოვრობდნენ უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში?


**შეარო 1.** უდიების განსახლება საბჭოთა კავშირში 1989 წლის აღწერის მიხედვით



**შეარო 2.** უდიების რაოდენობა სსრკ-ში 1989 წლისათვის

აზერბაიჯანი	6125	თურქეთი	32
რუსეთი	1102	ტაჯიკეთი	31
საქართველო	793	მოლდავეთი	16
ყაზახეთი	366	ბელორუსია	15
უკრაინა	109	ლატვია	15
უზბეკეთი	46	ეირგიზეთი	2

### შეკვეთ 3. უდიების განსახლება საბჭოთა კავშირში XX საუკუნეში



დიაგრამა შედგენილია სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე წიგნიდან „ეთნოსები საქართველოში“, ობილისი, 2008, გვ. 210–211.

### შეკვეთ 4. უდიების შესახებ

ა) 1920-1922 წლებში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის საშინელი ომი, ხოცა-ჟღერდა დაიწყო. მამამ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, უდი ხალხი მოარიდა იქაურობას და, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, საქართველოში ჩამოასახლა. მათ შორის იყვნენ სომხები და ერთი გერმანულ-უკრაინული ოჯახი.

ინგერვიუ ლეილა ზინოვის ახულ სილიკაშვილთან, 81 წლის, ჩაიწერა 6. აგასაშვილმა, 2009 წლის 4 ივნისი.

ბ) უდი ხალხი კომპაქტურად დასახლებულია მხოლოდ სამ სოფელში, რომელთაგან ორი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს – გართაშენი და ნიჯი, ხოლო ერთი საქართველოში – ზინობიანი (ყვარლის რაიონი). უდმა ხალხმა, მიუხედავად მრავალი ჭირ-ვარამისა, ქრისტიანული რწმენა და მშობლიური ენა დღემდე შემოინახა.

კვეთი ჯეორანიშვილი, უდიური ენა, თბ., 1971, გვ. 3.

### დაგანვითარება 1:

1. წყაროების 1, 2 დახმარებით:
  - გაარკვიე, საბჭოთა კავშირის რომელ რესპუბლიკებში არ ცხოვრობდნენ უდიები?
  - დაასახელე, რომელ რესპუბლიკაში ცხოვრობს ყველაზე მეტი უდი და ახსენი, შენი აზრით, რატომ?
2. წყარო 3-ის მიხედვით:
  - დაადგინე უდიების რაოდენობის ცვლილების ტენდენცია საბჭოთა კავშირსა და საქართველოში;
  - ივარაუდე ამ ტენდენციების მიზეზები.

**შესახებ 5.** უდი საზოგადო მოღვაწის ზ. სილიკაშვილის 1924 წლის 22 აპრილის მიმართვა განათლების სახალხო კომისარს:

საჩქაროდ და საყურადღებოდ განათლების  
სახალხო კომისარს (სტილი დაცულია)  
ასლი საქართველოს:

1. ადმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტს
2. სახალხო კომისართა საბჭოს
3. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
4. ახალგაზრდათა კომპაგნიის ცენტრალურ კომიტეტს
5. პროფესიული კავშირის პრეზიდიუმს
6. ბავშვთა თავშესაფარის კომიტეტს და
7. განეო „კომუნისტის“ რედაქციას

უდიების ახალ სოფელში დაარსდეს ახალი ტიპის სასოფლო სკოლა შვიდწლები, მსგავსად გერმანული სასოფლო სკოლისა, საცა სასოფლო სკოლაში მოსწავლე ისწავლის შვიდ წელს, დღეში კი იმეცადინებს შვიდ საათს. სამ საათს სწავლობს ზოგად საგნებს – საზოგადოდ განათლებისას, ოთხ საათს კი ფიზიკურად შრომას და ვარჯიშობს სკოლის საზოგადოდ მოწყობილ ფერმაში, ბოსტანში, ვენახში, საფუტკრეში და სხვა.



უდი საზოგადო მოღვაწე  
ზ. სილიკაშვილი

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი ფ. 300, ად1 17106, გვ. 56.

### დაგალება 2:

იმსჯელე, წყარო 5-ის მიხედვით, როგორი პირობები შეიქმნა საქართველოში 1920-იან წლებში უდი ახალგაზრდობის განვითარებისათვის, მათი გადასახლების შემდეგ?

**შესახებ 6. უდიების წარმომადგენლები**



XX საუკუნის 30-იანი წლები, ძმები ბექანიშვილები. მარცხნივ, ექიმი მიხეილი, მარჯვნივ მეწარმე, აგურ-კერამიკის ქარხნის დირექტორი, შალვა, შუაში დიპლომატი, გრიშა, სპარსების ბალტიისპირეთის ქაუენების განყოფილების გამგე.

ე. ხეშემაშვილი, ვინ არიან უდიები, თბ., 2002, გვ. 94


### დაგალება 3:

იმსჯელე, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი, რომ უდიები საზოგადოების აქტიური წევრები გამხდარიყვნენ?

## შესახებ

### შესახებ 7. უდიური დამწერლობისა და ენის შესახებ

#### ა. ალბანური\* დამწერლობის ნიმუში



ინტერვიუების პროცესის ზე აღმოჩენის და განვითარების მიზანისას, ჩაიტარების დროის გარემონტინაციის მიზანისას, გამოიყენოს სწავლების თანამედროვე საშუალებები და უდიური ენის სწავლების კურსი შეადგინონ.

#### ბ. უდიური ენის პრობლემა

დღეს-დღეობით სოფელ ზინობიანში თორქეთის არავინ საუბრობს უდიურად. ყველა ლაპარაკობს ქართულად, რადგან ყოველ ოჯახში არის ქართველი რძალი ან ქართველი სიძე. ასე დროთა განმავლობაში უდიური ენა დაიკარგება. ამიტომ საჭიროა, რომ ადამიანებმა, რომლებიც კარგად ფლობენ ენას, გამოიყენონ სწავლების თანამედროვე საშუალებები და უდიური ენის სწავლების კურსი შეადგინონ.

ინტერვიუ დეილა ალექსანდრეს ას. სილიკა შეიძლოთან, 72 წლის, ჩაიტარების აღასა შეიძლომა, 2009 წლის 7 ივნისი.

#### დაგალება 4:

იმსჯელეთ, რა გზით ახერხებენ უდიები თვითმყოფადობის შენარჩუნებას?

### შესახებ 8. საგნები, რომლებსაც უდიები თანამედროვე სკოლაში სწავლობენ

№	საგანი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	ჯამი
1	ქართული	?	?			7	8	9	8	9	42
2	მათემატიკა	5	6			4	4	4	4	4	31
3	რუსული ენა					3	3	3	3	3	15
	ინგლისური ენა			1	1	5	6	6	4	4	27
4	ისტორია					2	2	3	3	4	14
	გეოგრაფია					1	2	3	3	3	9
	სამოქალაქო								2	2	
5	ფიზიკა								2	2	4
	ქიმია										
	ბიოლოგია										
6	ფიზ.აღ.ზრდა										
	სელოვნება										
	მუსიკა										
	შრომა										
7	ისტორია										
	უდიური ენა										
	რელიგიის ისტორია და კულტურა										

#### დაგალება 5:

1. გაეცანი წყაროს 8. რა ენებს სწავლობენ სოფელ ზინობიანის თანამედროვე სკოლაში? გააკეთე დასკვნა სააორბრივი ბადის შედარების საფუძველზე.
2. იმსჯელეთ, რამდენად ხელს უწყობს ასეთი განათლება იმას, რომ უდი მოზარდი თანამედროვე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდეს?

**ბანაზოგადებელი კითხვა:** რა ფაქტორებს შეუძლია მცირერიცხოვანი ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეუწყობა?

\* სინას მთაზე აღმოჩენილი ხელნაწერის საფუძველზე, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ალბანური და უდიური დამწერლობა ერთი და იგივეა.

## 14. ქისტები XX საუკუნის საქართველოში

**საკვანძო პითხება:** როგორ აღიქვამს ქისტებს თანამედროვე ქართული საზოგადოება?

**ფიარო 1.** სანში შესული ქისტი მამაკაცები



**ფიარო 2.** ქისტი მწერალი საკუთარი ხალხის შესახებ

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებამდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ პანკისში ცხოვრობდა ჩეჩენური წარმოშობის ხალხი, რომელიც მამა-პაპურ ადათ-წესებს მისდევს. აქეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მენტალიტები, გამოირჩევა გამოყენებითი სტუმარ-მასპინძლობით, მაღალ-მორალური და ზნეობრივი ეტიკეტით. ამ ხალხის წარმომადგენლებს პანკისში ეწერებათ ქისტი. მაგრამ ასეთი ეროვნება საქართველოშიც და საბჭოთა კავშირშიც არსად ფიქსირდება. მოსახლეობის აღწერისას, ეროვნების გრაფაში ქისტი იწერებოდა, მშობლიური ენა – ქართული, ამიტომ ქართველებად აღიწერებოდნენ. სკოლაში ვაჟა-ფშაველას პოემების პერსონაჟი ქისტები ისე აღიქმებოდნენ ქართველი მოსწავლეების შეგნებაში, როგორც ქართველი. არც მუსლიმური აღმსარებლობა იწვევდა გაუცხოებას, რადგან ქართველთა ზოგიერთი ტომიც (ინგილოები, ფერეიდნელები, აჭარლები) ისლამს აღიარებდნენ. ორასწლიანმა ცხოვრებამ საქართველოში, ქართულმა კულტურამ ისეთი ძლიერი ზეგავლენა იქონია ჩეჩენურ ტომზე, რომ ჩამოყალიბდა ჩეჩენურ-ქართული ეთნოსი, რომელიც თავისში ატარებდა როგორც ქართულ, ისე ჩეჩენურ კულტურას.

ხახო ხანგომები, ქისტები (ისტორიულ-პოპულარული ნარკვევი),  
თბ., 2005, გვ. 9-10.

### მუნიციპალიტეტი კართველი ქისტების შესახებ

არც ჩვენ ვართ ფანატიკოსი ქრისტიანები და არც ქისტები არიან ფანატიკოსი მუსლიმანები. ჩვენ ყველანი მაინც წარმართო მოიულები ვართ. ქისტებში ნადირობის დროს არ მახსოვეს ვინმეს უარი ეთქვას ქართული დვინის დალეგაზე. პანკისელ ქისტებზე ხომ ზედმეტია საუბარი. ქართველებისადმი გულით მინდობილი, მეტწილად, ქართული ცხოვრების წესს არიან ნაზიარებნი.

ჯერ კიდევ მთაში ცხოვრების დროს ერთი ზნისა და ხასიათის ხალხს, ბევრი რამ ჰქონდა საერთო. პანკისში ჩამოსახლების შემდეგ კი ბევრი რამ შეიოვგისეს ბარის ქართველებისაგან და განსხვავებულიც ბევრი აღარაფერი დარჩა იმდენად, რომ ისინი შესაძლებელია საქართველოს ერთ ტომადაც მოვიხსენიოთ. როგორც ამას ეთნოგრაფები ვარაუდობენ, უხსოვარ დროს გაყრილი მათი გზები თითქმის შეერთდა.

ინტერვიუ მწერალ ბესიკ ხარანაულთან,  
ჩაიწერა ლ. მარგოშვილმა, 2009 წლის 27 ოქტომბერი.

#### დაგაჭიბა 1:

1. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით დაახასიათე ქისტები: ა) რელიგიური; ბ) ეთნიკური; გ) ტერიტორიული ნიშნების მიხედვით.
2. სასკოლო პროგრამიდან დაასახელე ვაჟა-ფშაველას პოემები, რომელთა პერსონაჟები ქისტები არიან.
3. განიხილე ქისტებისა და ხევსურების საერთო წეს-ჩვეულებები ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით.
4. იპოვე წყაროებში 2 და 3 ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ქისტებისა და ქართველების საერთო წეს-ჩვეულებებს.

### მუნიციპალიტეტი კისტების სარწმუნოების შესახებ

ა) პანკისის ხეობაში მცხოვრები დუისელები ამჟამად მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ. ქრისტიანულ ჩვეულებას, რომელიც გამაჰმადიანებამდე ჰქონდათ და აღიარებდნენ მაინც კიდევ არ სომობენ.

დღემდე დიდ დღესასწაულად აქვთ დარჩენილი „ნიჯუაი“, „ოოდუა“ და „სინიი“, რომლებიც ეთანხმება ქრისტიანულ დღესასწაულებს: შობას, აღდგომასა და ნათლის-დება-წყალკურთხევას.

ინფორმაცია მათე ალბუთაშვილის წიგნიდან, „პანკისის ხეობა“, თბ., 2005.

ბ) მინარეთი დუისში და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია ჯოვოლოში (პანგისის ხეობა)



გ) ინტერვიუ პანგისის ხეობის სოფელ ჯოვოლოში მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის მომვლელ ლადო ცხადაძესთან

- ბატონო ლადო, თქვენ ქართული წარმოშობის ბრძანდებით. გვითხარით თქვენს შესახებ, რამდენი ხანია პანგისში ცხოვრობთ?

– მართალია, ჩემი წინაპრები იმერეთიდან არიან და წარმოშობით ქართველი ვარ. ჩემი დიდი პაპა ბიჭია ცხადაძე თერჯოლის რაიონიდან ყოფილა. მას კაცი შემოაკვდა და იძულებული გახდა იმერეთი დაგეტოგებინა და კახეთში გადმოსულიყო. ასმეტაში მიწები შეიძინა, მაგრანელი ქალიც შეირთო და აქ დასახლდა. ეყოლა ორი ვაჟი შვილი არჩილი და ვასო და სამი ქალი შვილი. ორივე ბიჭმა სასულიერო განათლება მიიღო. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ვასო განაწესეს ჯოვოლოს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში და მათე ალბუთაშვილთან ერთად დიაკვნად მსახურობდა. ჩვენც სწორედ მისი შთამომავლები ვართ.

- დღეს თქვენ რომელი აღმსარებლობის ხართ?

– მე წინაპრების რელიგია შენარჩუნებული მაქვს და ქრისტიანი ვარ. მეუღლე ქისტი მყავს და მუსლიმია. ოთხი შვილი მყავს თრი მათგანი ქრისტიანია, ორი კი მუსლიმი.

- საინტერესოა, ოჯახში რომელ რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავთ?

– ყველა დღესასწაული მიხარია და მათი აღნიშვნაც მსიამოვნებს. როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ დღესასწაულებს აღვნიშნავთ.

ჩემი რელიგიის გამო არავის შევუწუხებივარ. მუსლიმები დუისიდან, ჯოფოლოდან ჩემთან ხშირად სახლში მოსულან, ერთად გვიქმიყია, გვიმეგობრია. არც აქედან წასვლის სურვილი გამჩენია როდისმე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს იმერელ ნაოესავებს მივაგენიო და იქ ჩვენი დიდი პაპის ოდა – სახლიც ძველებური სახით შენარჩუნებული დაგვხვდა. მე აქაურ ხალხს კარგად შევუწყევ.

დ) ინტერვიუ ჯოფოლოში მცხოვრებ, იმერელი დიაკვანის ვახო ცხადაძის შთამომავალთან ვახტანგ ცხადაძესთან

### ● ბატონ ვახტანგ, წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.

– მე ვარ იმერული წარმოშობის კაცი, მყავს მეუღლე და ხუთი შვილი, ხუთივეს მივაღებინე უმაღლესი განათლება, სამმა მათგანმა ჯავახიშვილის უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. ახლა ვარ 79 წლის. პანკისში ჩემი პაპა მოვიდა პირველად, დიაკვანად მოდვაწეობდა ჯოფოლოს ეკლესიაში, შეირთო ქისტი ქალი და მეც მისი შთამომავალი ვარ.

### ● თქვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, თქვენ რა ადმსარებლობის ხართ?

– მე მუსულმანი ვარ. ჩემი ხუთივე შვილიც მუსლიმია, კაცს ერთი რჯულის უნდა სწამდეს. ან უნდა იყოს ქრისტიანულად მონათლული ან მუსულმურად. მე ჩემი სურვილით მივიღე ისლამი, ძალით მიღებული რწმენა რწმენა არ არის.

### ● ოჯახში რომელი რელიგიის დღესასწაულებს აღნიშნავთ?

– ისლამურ დღესასწაულებს, ისე კი, რა თქმა უნდა. ადდგომის დროს შეიძლება რამე კერძი, საჭმელი დამზადდეს.

### ● დღევანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობთ, ქართველი ხართ, თუ ქისტი?

– მართალია იმერელი ვარ მოდგმით, მაგრამ ამჟამად ქისტი ვარ. პასპორტში კი მიწერია ქართველი, მაგრამ ლაპარაკი, ზნეზეულება, ადათ-წესები, ყველანაირი მიქვემდიცევა, გაოხოვ-გამოთხვება ყველაფერი მაპმადიანური წესის მიხედვით გვაქვს.

ამ ხალხმა უნდა დამკრძალოს და დამასაფლავოს.

ინტერვიუ ჩაიწერა ლ. მარგოშვილმა, 2009 წლის 15 თებერვალი.

## დაგაჭრა 2:

1. ახსენი, წყარო 4-ის საფუძველზე, რას ეფუძნება ქრისტიანებისა და მუსლიმების ურთიერთობა სოფელ ჯოფოლოში?
- ა) შეადარე წყარო 4-ის ინტერვიუები და დაადგინე რა ნაოესაური კავშირია ლადო და ვახტანგ ცხადაძეებს შორის?
- ბ) რით ახსენი პანკისელი ქისტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას – შეინარჩუნონ წინაპართა სარწმუნოება ან პირიქით, მიიღონ ახალი სარწმუნოება?
2. ჩამოაყალიბე კავკასიის ხალხების საერთო წეს-ჩვეულებებისა და მენტალიტების ჩამოყალიბების მიზეზები.

**განვაზობადებელი პილება:** ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სიჭრელე – კავკასიური კულტურის სიმდიდრეა თუ პრობლემების წყარო?

## 15. მსპანელი ბების ისტორია

**საკვანძო კითხვა:** რატომ იქცა საქართველო სამშობლოდ ესპანეთიდან ევაკუირებული ბავშვებისათვის?

### შეკვეთ 1. გიკიპედია ფრანცისკო ფრანკოს შესახებ

1936 წლის 18 ივნისს ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი. მსხვილი ქალაქების უმრავლესობაში სახალხო ფრონტის წინააღმდეგ სამხედროებმა ფრანკოს მეთაურობით მოაწყეს ამბოხება, შედეგად „სწრაფი გამარჯვება“ ვერ განხორციელდა. ორივე მხარემ დაიწყო „არასწორ მხარეს მოხვედრილი“ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგების დახვრეტა.

გიკიპედია, ფრანცისკო ფრანკო

### შეკვეთ 2. ქართული პრესა ესპანეთის მოვლენების შესახებ

გერმანელი და იტალიელი ფაშისტები ესპანეთში შევიდნენ ესპანელი ფაშისტების დასახმარებლად.

გაზეთი „კომუნისტი“, აგვისტო, 1936 წ.

### დაგალება 1:

ხაზი გაუსვი წყაროებში 1 და 2 იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებმაც ფრანკოს რეჟიმის მოწინააღმდეგების სამშობლოს დატოვება აიძულა.

### შეკვეთ 3. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ესპანეთის მოვლენების შესახებ

მთელ მსოფლიოში გაჩაღდა ესპანელ რესპუბლიკელთა სოლიდარობის მოძრაობა. სხვ კავშირმა ესპანეთის რესპუბლიკას აღმოუჩინა მრავალმხრივი დახმარება. იცავდა ესპანელი ხალხის ინტერესებს „ერთა ლიგაში“, გზავნიდა ესპანეთში საკვებ პროდუქტებს, ასევე სხვადასხვა სახის შეიარაღებას. ესპანეთში იბრძოდა 2000-ზე მეტი საბჭოთა მოხალისე, ძირითადად ტანკისტები და მფრინავები.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, გ.10, გვ.504, ხვევი 1500.

### შეკვეთ 4. სკპ(ბ) ცკის\* პოლიტბიუროს დადგენილება, ოქმი №51, 1937, 5 აგვისტო:

მივიღოთ ასტურიელი [ესპანეთის ერთ-ერთი რეგიონი – რედ.] ბავშვები – 1000 ადამიანი. ბავშვების მიღების თრგანიზაცია დაევალოს ამხ. ექოგებ\*\*.

ი.ა. ხელისა

### შეკვეთ 5. სსრკ სახელმწიფოს 1937 წლის 16 სექტემბრის დადგენილება

1. ესპანელი ბავშვების განთავსების, აღზრდისა და სწავლების, ადმინისტრაციულ-სამეურნეო მომსახურების მოელი სამუშაო დაეკისროს სახელმწიფოს, სახელმწიფის პირადი პასუხისმგებლობით
2. სამედიცინო მომსახურება დაწესებულებებისა, სადაც იმყოფებიან ესპანელი ბავშვები, დაევალოს სსრ კავშირის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს
3. არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა ესპანელი ბავშვების ადგილსამყოფელი, რომელიც არ შეგსაბამება სასწავლო მიზნებს, შეიცვალოს ამისათვის განკუთვნილი დაწესებულებებით.

სსრკ-ის ნარკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი

### დაგალება 2:

განსაზღვრე, წყაროების 3-5 მიხედვით, რა დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი რესპუბლიკურ ესპანეთს, რა იყო ამ დახმარების მიზეზები და მიზნები?

\* სკპ(ბ) ცკ – საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევკიებისა) ცენტრალური კომიტეტი.

\*\* ნიკოლოზ გეორგი – საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

## შპარტ 6. ესპანელი ბავშვებისა და პედაგოგების ერთ-ერთი პირგელი ნაკადი საერთაშორისო პიონერთა ბანაკში (არტეკი, უკრაინა)



ლუის ფერნანდესი, პირველ რიგში მარცხნიდან მეოთხე მოგვიანებით იგი ცხოვრილდა და მოღვაწეობდა საქართველოში.

### დაგალება 3:

ივარაუდე, წყარო 6-ის მიხედვით, როგორ გრძნობდნენ ესპანელი ბავშვები თავს საბჭოთა კავშირში.

## შპარტ 7. ესპანელი ბებიის თავგადასაგალი

დედახემის დედა, ტერეზა საგარსასუ გარმენდია, დაიბადა ესპანეთში. მისი მამა ნიკასიო საგარსასუ გერ „პილაიოს“ კაპიტანი იყო. მას მჭიდრო პაგშირი ჰქონდა კომუნისტურ დაჯგუფებასთან. 1936 წელს იგი ურანკისტებმა დახვრიტეს, ხოლო დედა – ხოსეფინა გარმენდია, დვოის წყალობით, გადარჩა. მას სამი შვილი დარჩა. 1937 წელს დაიწყო ესპანეთიდან ბავშვების გვაკუაცია. ბებიახემი და მისი და-მა ჯერ საფრანგეთში, ხოლო იქიდან გემით „ფელიქს ქერუინსკით“ ლენინგრადში აღმოჩნდნენ. შეორე მსოფლიო ომის დროს ბავშვები ლენინგრადის ბლოკადაში მოყვნენ. ბლოკადის შემდეგ ბავშვების ნაწილი ტაშკენტში გადაიყვანეს. აქ ერთი წელი მათ საფეიქრო საქმეს ასწავლიდნენ. ამ პერიოდში თბილისში გაისხნა სართავ-სატრიკოტაური კომბინატი. ბებიახემი, მისი და-მა და სხვა ესპანელები, დახლოებით 40-50-მდე ახალგაზრდა, კომბინატში სამუშაოდ გაგზავნეს. კონბინატში ბებიახემმა გაიცნო პაპახემი – გაიოზ ალექსანდრეს ქედალიაშვილი. მათ შეუდლება გადაწყვიტეს.

ბებიახემის სიტყვებიდან ვიცი, რომ ის მოხვდა არახეულებრივ ქართულ ტრადიციულ ოჯახში, სადაც მას დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვდნენ. აქ ისწავლა მან ქართული ენა და სიყვარული სამშობლოს მიმართ. ის თავის სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევდა და სულ ამბობდა: „ნეტავ ყველა ქართველს ისე უყარდეს საქართველო, როგორც მე“.


1952 წელს ესპანეთის რადიომ გამოაცხადა საბჭოთა კავშირში გადაყვანილი ცოცხლად გადარჩენილი ესპანელი ბავშვების გვარები. ხოზეფინა გარმენდიამ მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ მისი სამივე შვილი გადარჩა. მას შემდეგ შვილების ძებნა დაიწყო და მხოლოდ 1967 წელს შეძლო მათვის ხმის მიწვდენა.

ინტერვიუ ანუკი მაჩაიძესთან, ტერეზა საგარსასუ გარმენდიას შვილიშვილთან, ჩაიწერა ნაირა მამუკელაშვილმა, 2010 წლის 20 მაისი.

### დაგალება 4:

1. ახსენი, წყაროების 1-7 საფუძველზე, როგორ მოხვდნენ ტერეზა საგარსასუ გარმენდია და მისი თანამემამულებები საქართველოში?
2. შეადგინე ყველა იმ მოვლენის ქრონოლოგიური ცხრილი, რომლებიც ტერეზა საგარსასუ გარმენდიას ბედს შეეხო.
3. ჩამოწერე ის უარყოფითი და დადებითი მოვლენები, რომლებმაც ტერეზას ბედი განსაზღვრა.

**გრანტ 8. ბავშვების ეგაპუაცია ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში 1937 წელს**



**დაგენერაცია 5:**

მიუთითე რუკაზე ტერეზა საგარსასე გარმენდიასა და მისი ოანამემამულების  
მარშრუტის ძირითადი პუნქტები.

### შესარჩო 9. „ქართველი ესპანელები“

სართავ-სატრიკოტაური კომბინატში ბევრი ესპანელი მუშაობდა. უმრავლესობამ შერეული ოჯახი შექმნა. საქართველოში კარგად ცნობილი მომდევრალი ხოსე სუარესი ერთ-ერთი ასეთი შერეული ესპანურ-ქართული ოჯახის შვილია. იგი ქართულ ფილმშიც იყო გადაღებული ანსამბლ „მზიურის“ ბავშვებთან ერთად. როდესაც კომბინატში რაიმე ღონისძიება იმართებოდა, ესპანელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. დარიო სუარესსა და ლუის ფერნანდესს ვოკალური დუეტი ჰქონდათ ჩამოყალიბებული და ესპანურ სიმღერებს ასრულებდნენ. ქართულ ფილმში – „ლიმილის ბიჭები“ – ერთ-ერთ გვიზოდში მათი სიმღერა „ბანდერა როხა“ ქდერს. ლუის ფერნანდესი მხატვარი იყო. იგი კომბინატის კულტურის სახლში ბავშვებს ხატვას ასწავლიდა, მისი ადსაზღვრელები ხშირად გამოფენებსაც მართავდნენ. ამავე დროს, იგი მულტიპლიკაციონური იყო. მისი შექმნილია ცნობილი მულტიპლიკაციური ფილმი „ო, მოდა, მოდა“. ტერეზა საგარსასუ, რომელიც ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრი იყო და უშუალო კონტაქტი ჰქონდა ესპანეთის კომპარტიის ლიდერთან დოლორეს იბარურისთან, ესპანურ საოვისტომოს ხელმძღვანელობდა. „ქართველი ესპანელები“, როგორც მათ უწოდებდნენ, ხშირად იკრიბებოდნენ ოჯახებთან ერთად.

ინტერვიუ ლამარა ჭანჭალეიშვილთან, სართავ-სატრიკოტაური კომბინატის ერთ-ერთ თანამშრომელთან, ჩაიწერა ნაირა მამუკელაშვილმა, 2009 წლის 1 სექტემბერი.

### შესარჩო 10. ტერეზა საგარსასუ ესპანური საოვისტომოს შეკრუბაზე



### შესარჩო 11. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

2008 წლის აგვისტოში, როდესაც რეუსულ-ქართული კონფლიქტი დაიწყო, ტელეყონზე დამირეკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესპანური ენის პროფესორმა ადელა მარტინესმა. მან მითხრა, რომ ესპანეთის საელჩოს გადაწყვეტილებით საქართველოში მცხოვრები ყველა ესპანელი თავისი მემკვიდრეებით, სარკიზის ოკითმფრინავით საფრანგეთში, ხოლო იქიდან ესპანეთში უნდა გადაეყვანათ. საათნახევარში უკვე აეროპორტში ვიყავით, ხოლო ორ საათში პარიზში. თვენახევარი ბილბაოში გცხოვრობდით. ესპანეთის მთავრობა ყველანაირ პირობებს გვთავაზობდა, გვაძლევდნენ ბინას, გვინიშნავდნენ დიდ პენსიებს. დედაქემი დაუინებით მოითხოვდა საქართველოში დაბრუნებას. მისი არგუმენტები იყო: ვერასოდეს ვერ ვუდალატებ იმ ხალხის სულს, ვინც მიმიღო, გამზარდა და პოროვნებად ჩამომაყალიბა. საქართველო ჩემთვის მეორე კი არა, პირველი სამშობლოა. 2008 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე საქართველოში ვიყავით, ხოლო 2009 წლის 30 ივნისს დედა გარდაიცვალა.

ინტერვიუ მარინა ლალიაშვილთან, ტერეზა საგარსასუს ქალიშვილთან, ჩაიწერა ნაირა მამუკელაშვილმა, 2010 წლის 5 მაისი.

### დაგანება 6:

- დასახელე, წყაროების 7, 9, 10-ის მიხედვით, რა საქმიანობას ეწეოდნენ ტერეზა საგარსასუ და მისი თანამემამულები საქართველოში?
- ახსენი, წყაროების 7-11 მიხედვით, რატომ თვლიდა ტერეზა საგარსასუ საქართველოს თავის სამშობლოდ?

**განვაზოგადებელი პითხება:** რომელ ისტორიულ მოვლენებს შეუძლია გავლენის მოხდენა ცალკეული ადამიანების ბედზე?

## 16. ეთნოკონფლიქტები და გავშვებები

**საკვანძო კითხება:** 1990-იანი წლების რა ისტორიულმა მოვლენებმა იქონია გავლენა ბავშვების ცხოვრების პირობებზე საქართველოში?

**ფიარო 1.** დაარქვი სახელი!



სურ. 1



სურ. 2

**დაგალება 1:**

1. განიხილე ფოტოსურათებზე გამოსახული ბავშვების ცხოვრების ყველა დეტალი.
2. მოიფიქრე ფოტოსურათების სათაურები.

## საქართველოს კონფლიქტის რეგიონებიდან დევნილი ბავშვების ბედი

### ა) ოქონი, ოსი, 17 წლის

ექვს წლამდე ოჯახში ვიზუდებოდი. სამაჩაბლოში ეთნოკონფლიქტის შემდეგ სახლი დაგვეწვა. მამა კონფლიქტის დროს დამეღუპა. მალე დედაც მომიკვდა. მერე ქუჩაში აღმოვჩნდი. ერთმა ქალმა ამიყვანა შვილად და მზრდიდა. მას ზაირა დედას ვეძახი. ის რომ არა, ახლა ქუჩაში ვიქნებოდი.

### ბ) გასო, რუსი, 11 წლის

აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ მშობლებს ავცდი, ბავშვთა სახლში მიმიყვანეს, მოგვიანებით გაირკვა, რომ დედახემი, წარმოშობით რუსი, რუსეთში გამგზავრებულა, მამახემმა კი სხვა ცოლო შეირთო. ბავშვთა სახლს ვერ შევეგუე და გავიპარე. ამჟამად ქუჩაში ვცხოვრობ ამხანაგებთან ერთად. ერთ მიტოვებულ სახლში ვათევ დამეს. იქ დენი და გათბობა არ არის. სფულს ბაზრობაზე ვშოულობ. ხან ტვირთს ვეზიდები, ხანაც ვქურდობ.

### გ) ანა, ქართველი, 16 წლის

რვა წლის ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი იძულებული იყო თავისი საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. მამახემი ქართველია, დედა კი აფხაზი მყავს. როდესაც დედამ მამას თავის ნაოესავებთან გადასვლა შესთავაზა, მამამ უარი განაცხადა და სხვა ლტოლვილებთან ერთად უმბიმესი გზით თბილისში ჩამოსვლა მოგვიხდა. სანამ ბინას მოგვცემდნენ, თბილისში რადაც მიტოვებულ შენობაში მოგვიხდა ცხოვრება, სადაც შუქიც კი არ იყო. მამას დიდხანს არ ჰქონდა მუდმივი სამუშაო, დედა კი ფიქრობდა, რომ რადგან ეროვნებით აფხაზია, საქართველოში მას სამუშაოს არავინ მისცემს და არც უცდია მისი მოძებნა. მასხავს ერთხანს იმდენად გაგვიჭირდა, რომ სასკოლო წიგნებიც კი ვერ მიყიდეს და მოელი თვე უწიგნოდ დავდიოდი სკოლაში. ჩემი ასაკის ნაცნობებიც არ გვყავდა თბილისში, რომ წიგნები ვინმეს ეთხოვებინა.

გაზეთი „ალია“, 2005 წელი, 23-25 ივნისი

### დ) ნინო, ქართველი, 12 წლის

მამა აფხაზეთის ომში დამეღუპა. დედა საბერძნეთში გაემგზავრა სამუშაოს საძებნელად. ავადმყოფ ბებიასთან ერთად მარტო ვცხოვრობ. ვპატრონობ მას. ოჯახში ყველაფერს მე ვაკეთებ. როდესაც ბებია ცუდად არის, დამეებსაც ვათენებ. ამის გამო სკოლასაც ხშირად ვაცდებ.

ინტერვიუ ჩაიწერა მ. ჯორგალიძემ, 2009 წლის 6 მაისი.

## დაგვალება 2.

1. წევაროში 2 ა, ბ, გ, დ:
  - საზოგადოებრივი განადაღებებს, რომლებიც ამ ბავშვების მდგომარეობის მიზეზე გეტიფიცირებს.
  - განიხილე ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება.
2. იმსჯელე შემდეგ საკითხებზე:
  - რა არის საერთო ამ მოზარდების ბიოგრაფიაში?
  - როგორ შეიძლება დაეხმაროს საზოგადოება და სახელმწიფო ეთნოკონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს?

### შესახებ 3. ბავშვთა სოფელის\* მცხოვრებლების ისტორია

#### ა) მანანა, 9 წლის

ომში მამის გარდაცვალების შემდეგ უკვე 6 წელია, რაც ბავშვთა სოფელში ვცხოვობ. აქ დედამ 3 წლის ასაკში მომიყვანა. ოთხი და მყავს. ისინი ჩემზე უფროსები არიან და დედასთან ცხოვრობენ. დედა ხშირად მაკითხავს. ბავშვთა სოფელში ჩემთან ერთად ერთ ოჯახში ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები. სკოლაში ერთად დავდივართ. ჩემი საყვარელი საგანია მათემატიკა. თვისუფალ დროს ვთამაშობ, ვერთობი, ხან ტელევიზორს ვუყურებ.

#### ბ) გიორგი, 12 წლის

6 წლის ვიყავი, როდესაც ბაბუამ ბავშვთა სოფელში მომიყვანა. მშობლები გარდაცვლილი მყავს, ბაბუაც გარდამეცვალა და ახლა დეიდა მაკითხავს ხოლმე. აქ, ოჯახში შვიდნი ვცხოვრობთ: სამი და, სამი მმა და დედა. ნამდვილი დაძმა არ მყავს. დავდივარ სკოლაში. ყველაზე მეტად მათემატიკა მიყვარს. როცა თვისუფალი დრო მაქვს, ხან კომპიუტერს ვთამაშობ, ხან ფეხბურთს და ტენისს. მინდა მომავალში არქიტექტორი გავხდე. ვაწყობთ სხვადასხვა დონისძიებებს. ბავშვთა სოფელში მოდიან სტუმრები სხვადასხვა ქავენებიდან და აგრეთვე ქართული კომპანიებიდან. ძალიან ქმაყოფილი ვარ აქ ცხოვრებით.

ინტერვიუ ჩაიწერა მ. კირვალიძემ, 2009 წლის 17 აპრილი.

#### დაგალება 3:

- დაასახელე, წერო 3-ის მიხედვით, ვინ დაეხმარა დაზარალებულ ბავშვებს?
- ახსენი, რატომ უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოება მოზარდი თაობის პრობლემების გადაწყვეტილ?
- განიხილეთ საკითხი, ვინ უნდა იზრუნოს დაზარალებულ მოზარდებზე:
  - სახელმწიფომ;
  - საზოგადოებამ.
  - იმოვეთ არგუმენტები წეროში 3.

### შესახებ 4. კანონები ბავშვის უფლებების შესახებ

#### ა) „ბავშვის უფლებათა კონვენცია”

##### მუხლი 20

ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს ანდა მისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სარგებლობებს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით;

##### მუხლი 6, 24, 26, 31

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა ბავშვს აქვს: განვითარების, სოციალური უსაფრთხოების, საცხოვრებლის, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, განათლების, ინფორმირებულობის, თამაშის, დასვენების, ძალების აღდგენის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

\* ბავშვთა სოფელი – საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში 1989 წელს დაარსდა. 2011 წლისთვის 2 ბავშვთა სოფელი ფუნქციონირებდა.

## მუხლი 27

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ბავშვის უფლებას უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

**ბ) საქართველოს კონსტიტუცია, თავი II – საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლება**

## მუხლი 35

ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებელში მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

**გ) კანონი ზოგადი განათლების შესახებ**

## მუხლი 3

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო დირექტულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- ბ) მოსწავლის გონიერივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა...

## მუხლი 22

სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გრძელდება 12 წლის განმავლობაში.

**დაპალება 4:**

1. შეუსაბამე წყაროებში 1, 2, 3 მითითებული მაგალითები იმ დოკუმენტებს, რომელიც წყაროში 4 (ა, ბ, გ) არის მოცემული.
2. დაადგინე ამ უფლებებიდან, რომელი ხორციელდებოდა ეთნოკონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით?

**განვაზოგადებალი კითხვა:** რა გავლენა იქონია 1990-იანი წლების ეთნოკონფლიქტებმა საქართველოში ბავშვების ბედზე?

## 17. „გაყოფილი ლუკმა“

**საკვანძო პიტიგა:** როგორ ცხოვრობდნენ ერთად ქართველები და უკრაინელები საქართველოში 1930-40-იან წლებში?

### ყურადღიანი შესახებ

1932 წელი უკრაინაში საოცრად გვალვიანი იყო. ყველაფერი განადგურდა, რასაც მომდევნო წელს ენით აუწერები შიმშილობა მოჰყევა. შიმშილს შეეწირა ათასობით უკრაინელის სიცოცხლე. მან იმსხვერპლა ჩემი 28 წლის დედაც, სხვა ახლობლები. ადამიანები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები და შიმშილისაგან ხსნის გზა სხვაგან ექტენათ. ბევრი მათგანი მაშინ საქართველოში ჩამოვიდა, მათ შორის, ჩვენც – მამაჩვენი და სამი მცირებულოვანი ბავშვი. ნიკოლაევიდან თბილმავალმა ფოთში ჩამოგვიყვანა. შიმშილისაგან დაოსებულებს სიარული არ შეგვეძლო, გემიდან საკაციო გადმოგვიყვანეს. ქართველებმა დაგაყენეს ფეხზე, უპანასტნელ ლუბმას გვიყოფდნენ, ბინაც მიგვიჩინეს.

უკრაინელი უკრაინელი მიხეილ გლუშჩენკოს ნამბობი. გაზეთი „თბილისი“, 1990 წ., 8 მაისი.

### მეორე მსოფლიო ომის დროს ევაკუაციის შესახებ

საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდისათვის საგრძნობლად გაიზარდა, ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული უკრაინისა თუ ცენტრალური რუსეთის რაიონებიდან დატოლვილი მოსახლეობის ხარჯზე. საქართველომ შეიკედლა ფრონტისპირა ზონიდან ევაკუირებული მრავალი საბავშვო სახლი. ქართულმა ოჯახებმა იშვილეს უპატრონოდ დარჩენილი რუსი, უკრაინელი, ბელორუსი თუ სხვა ეროვნების ასეულობით მოზარდი.

ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 176.

### სახელმწიფოს ღონისძიებები ფრონტისპირა ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ

სსრ კავშირ-გერმანიას შორის ომის დაწყებიდან ახლო ხანებში ფაშისტების სამხედრო წარმატებებმა აუცილებელი გახადა ფრონტისპირა ზონიდან მოსახლეობის, სამრეწველო საწარმოების, ზოგიერთი დაწესებულების, მზა პროდუქციის, ნედლეულისა და სხვა ფასეულობათა ევაკუაცია აღმოსავლეთის რაიონებში.

1941 წლის 24 ივნისს, საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახელმსაბჭოს დადგენილებით, შეიქმნა ევაკუაციის საბჭო ლ. კაგანოვიჩის თავმჯდომარეობით. იმავე წლის 26 სექტემბერს ევაკუაციის საბჭოსთან ჩამოყალიბდა მოსახლეობის ევაკუაციის სამართველო. შესაბამისად, საქართველოს სახელმსაბჭოსთან დაარსდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ევაკუირებული მოსახლეობის დახმარების მუდმივი კომისია, სპეციალური საევაკუაციო სამართველო და სხვა ადგილობრივი სტრუქტურები. 1942 წლის ნოემბერში შეიქმნა საქართველოში ევაკუირებული ოჯახების დაბინავების მთავრობის კომისია.

გ. კუპატაძე, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება საქართველოში საბჭოთა კავშირის დიდი სამაულო ომის პერიოდში.

1941-1945 წწ., თბ., 1978, გვ. 14-17, 68.

### ევაკუირებულების ცხოვრების შესახებ

ომი რომ დაიწყო 6 წლის ვიწავი. დედა უკრაინელი მყავდა, მამა – რუსი, ამიტომ პატარაობიდანვე ვიცოდი რუსულიცა და უკრაინულიც. მამაჩემი 1941 წლის ივნისიდანვე ფრონტზე იმყოფებოდა. როცა ჩემი სოფლიდან მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელ-

და მე და დედახემი ჩვენთვის სრულიად უცხო გარემოში, საქართველოში ჩამოვედით და მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში აღმოვჩნდით.

დედა მალე ჩაება აქაური კოლმეურნეობის მუშაობაში. მე მაშინ სასკოლო ასაკი არ მქონდა, სოფელში კი საბავშვო ბაღი ჯერაც არ არსებობდა, რის გამოც, ხშირად, იმ ოჯახში მოხუც ბებია ანიკოსთან ვრჩებოდი, რომელმაც ჩვენ შეგვიკედდა.

მე ქართული არ მესმოდა, ბებიას – ჩემი ენა. მეზობლად ჩემი ასაგის გოგო ცხოვ-  
რობდა, სათამაშოდ გადმოდიოდა, მაგრამ ერთმანეთს ბევრს ვერაფერს ვაგბინებდიო  
და უფრო მეტად გაძუტულებივით ვიყავით. ჩვენი ურთიერთობის ენა, სანამ სალაპა-  
რაკო ქართულს ვისწავლიდი, დიმილი იყო.

ინტერვიუ თბილისის მცხოვრებ გენადი პეტრენკოსთან, 75 წლის, პეტრენკო, ჩაიცერა ოთარ ჯანელიძემ, 2010 წლის 8 იანვარი.

### ଫ୍ୟାର୍ମ 5. ନେଚାପୁର୍ଣ୍ଣପଦ୍ଧତିକୁ ଜୀବନଶୀଳ

ქ. ფოთმა ომის დროს ათასობით ევაგუირებული მიიღო, ძირითადად, ოდესიდან, სევასტოპოლიდან, ნიკოლაევიდან და სხვ. ქალაქი პატარა იყო. ყველას დაბინავება სახ- ელმწიფო ნაგებობებში შეუძლებელი აღმოჩნდა და ხელმძღვანელობამ მიმართა კერძო სახლების მფლობელთ, შეეკედლებინათ ეს ადამიანები. ისინი დიდი გულისხმიერებით გამოიქმაურნენ ამ თხოვნას. ქალაქში არ დარჩენილა არც ერთი, თვით პატარა ხის სახლიც კი, სადაც არ ჩაესახლებინათ ევაგუირებულნი. პატარა სამოთახიან სახ- ლში, ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სამხედრო მოსამსახურის პავლე შევჩენკოს ოჯახი. გცხოვრობდით სიმჭიდროვეში, მაგრამ როგორც ერთი ოჯახი.

ექიმ გენერა ჯობაგას მოგონებიდან: ქურნალი „Русский клуб,“ Тб., 2008, №5, გვ. 12.

ଲୋଗୋଟିପ୍ ୧:

1. ამოწერე წყაროებიდან 1-5 ის სიტყვები/ფრაზები, რომლებიც ასახავს 1930-40-იან წლებში უკრაინელთა საქართველოში მიგრაციის მიზეზებს.
  2. ხაზი გაუსვი წყაროებში 1-5 ფრაზებს, რომლებიც გამოხატავს ქართული მოსახლეობის დამოკიდებულებას ევაკუირებული უკრაინელების მიმართ.
  3. აირჩიე ერთი რომელიმე ფრაზა, რომლითაც შეიძლება ამ სამუშაო ფურცლის დასათაურება.
  4. შეავსე ცხრილი იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც წყაროებიდან 1-5 მიიღო.

## ՊՄԱՐԹ 6. ծագմաբնիս լաւագացություն

....1942 թվուն եռամբրուսատցուն սայարտակալութիւն օյց 4452 լաւագացություն աղքա՛րութիւնուն է ծագմաբնի ծագմաբնութիւնուն. պահանջանաւու, ըստ մասնակցութան և նաուսազեծութան ըրտագ, սայարտակալութիւն լաւագացություն ծագմաբնի բարութանաւու առջեր մասնաւ աղքա՛րություն աղքա՛րություն ծագմաբնի բարութանաւու ըստ 1941-1942 թվականի կարույց կյալական 50 դասուն ցանկեան լաւագացություն ծագմաբնիսատցուն.

Դ. Հայաբնի, լաւագացություն նախամատ, թի. 98.

## ՊՄԱՐԹ 7. սայարտակալութ սբաժութական լաւագացութական մոնակացման 1941-1942 թվականի սայարտակալութիւն լաւագացություն սամեցրութ մոսամսակարգութա առջանութեան թյառեան լաւագացութական

№	տարութական	սամեցրութ մոսամսակարգութա առջանութեան թյառեան լաւագացություն լաւագացություն օյցնեց սայարտակալութիւն (առանձին)		
		պրոնցիսակարգ կալակեան	պրոնցիսակարգ եռական	նշան
1	1941 թ. դեկտեմբրուսատցուն	25	5	30
2	1942 թ. 1 օգոստուսատցուն	27	7	34
3	1942 թ. 1 տցիւրցակալուսատցուն	31	11	42
4	1942 թ. 1 մարտուսատցուն	32	11	43
5	1942 թ. 1 ապրիլուսատցուն	32	11	43
6	1942 թ. 1 մայիսսատցուն	28	9	37
7	1942 թ. 1 օցնուսատցուն	25	7	32
8	1942 թ. 1 ացուստուսատցուն	24	7	31

Սայարտակալութ շակեցակա օեցուրուս եակալմիոցա արյուն, պանցո 334, աճաթ. 2, եայթ. №45, պանց. 44, 46, 60, 77, 82, 98, 115.

## ՊՄԱՐԹ 8. մոսակալութիւն լաւագացութական պրոնցիսակարգութիւն, 1941 թ.



<http://rtemes.livejournal.com/11661>.

<http://www.yk.kz/news/show/4475>

Ձ. Առաջնութական պատճեան

1. Ձառնութական պատճեան լաւագացություն իամացութ 1942 թվուն 1 ացուստուսատցուն սայարտակալութիւն?

2. Օցարական լաւագացութիւն 6-8 մոեցակա ըստ գագլական մոսակալութիւն լաւագացութական մասնական սայարտակալութ մոսակալութիւն լաւագացութական պատճեան?

3. Առաջնութական պատճեան լաւագացութական պատճեան լաւագացութական պատճեան լաւագացութական պատճեան?

**შეარტ 9.** უკრაინიდან ევაკუირებულთა განსახლება საქართველოში 1941-1945 წლებში



**დაგენერაცია 3:**

- რუკის მიხედვით დაადგინე:
  - საქართველოს რომელ ქალაქებში იყრიდა თავს უკრაინიდან ევაკუირებული მოსახლეობა?
  - რომელ პუნქტებში დაასახლეს ევაკუირებული ოჯახები?
  - ბავშვთა რომელ სახლებში დააბინავეს ევაკუირებული ბავშვები, დაადგინეთ ამ დაწესებულებების რაოდენობა;
- დაწერე მოკლე წერილი ფოთში ევაკუირებული შენი უკრაინელი თანატოლის სახელით, რომლის გაგზავნა მას თავის მეგობრებთან ან ნაოესავებთან სურს.
- გაარკვიე, ცხოვრობენ თუ არა შენს მშობლიურ ქალაქში ან სოფელში ევაკუირებული უკრაინელების შოთამომავლები.

**განვითარებაში კითხვა:** რა არის სამუშაო ფურცლის სათაურის გზავნილი?

## 18. მუდმივად სამშობლოს პიპაში (მასხატი და დაკორტირებულები)

**საკვადო შეპითხება:** რატომ „ეძებენ“ დღემდე დეპორტირებული მესხები თავიანთ სამშობლოს?

### დაგვალება 1:

დაიყავით სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი – სახელმწიფო სტრუქტურები და საერთაშორისო ორგანიზაციები.  
მეორე ჯგუფი – დეპორტირებული მესხები  
მესამე ჯგუფი – საქართველოს საზოგადოება  
გაეცანით თქვენი ჯგუფისთვის განკუთვნილი წყაროების პაკეტს და მოაწყეთ მრგვა-  
ლი მაგიდა-დისკუსია თემაზე: „დეპორტირებული მესხები სამშობლოს მუდმივ მიებაში“.

### შეაროები ჯგუფისათვის 1. სახელმწიფო სტრუქტურები და სამრთაშორისო ორგანიზაციები

#### შეარო 1.1. დეპორტაციის შესახებ

საქართველოს სსრ-ის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობს თურქები მოსახ-  
ლეობა. წლების განმავლობაში, ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც  
ნათესაურ კავშირშია თურქთის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან, ამჟღავნებს  
ემიგრაციულ განწყობას, ეწევა კონტრაბანდას და თანამშრომლობს თურქთის დაზვერვ-  
ასთან აგენტების გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების შექმნისათვის.

საქართველოს სსრ მონაკვეთზე სსრკ-ის საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით,  
საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მიზანშეწონილად მი-  
იჩნევს გადაასახლოს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის  
რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოდან  
თურქების, ქურთების და ხემშილების 16700 ოჯახი, სულ 86 000 სული ფაზახეთის, უ-  
ბეკეთისა და ყირგიზეთის სსრ-ში.

ლ. ბერიას\* წერილი სტალინს,  
№789/6, 24 ივლისი, 1944 წელი.

\* ლაგრენტი ბერია – სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

### შესარღვა 12. საბჭოთა კავშირის დროს გამოცემული ბრძანებულებები

თარიღი	ორგანო	მარეგულირებელი აქტი	შენიშვნა
1956 წ. 28 აპრილი	სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულება №135/142, მუხლი 2.	„სპეცგადასახლებასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნა ყირიმელი თათრების, ბალკარების, თურქების – სსრკ-ის მოქალაქეები, ქურთების, ხემშილებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც გადასახლებულნი იყვნენ დიდი სამამულო ომის დროს“.	
1987 წ. 8 დეკემბერი	საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება №600	„1987-1988 წლებში საქართველოს სსრ-ში მესხთა იმ ოჯახების თრგანიზებული ჩამოსახლების შესახებ, რომელთაც სურვილი აქვთ მუდმივად საცხოვრებლად ჩამოვიდნენ საქართველოში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან“	
1991 წ. 7 მარტი	სსრკ-ის უზენაესი საბჭოს დადგენილება, მუხლი 2	საკანონმდებლო აქტების გაუქმების შესახებ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 14 ნოემბრის დეკლარაციის – „იძულებით გადასახლებული ხალხების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული აქტების, უკანონოდ და დანაშაულებრივად ცნობისა და ხალხების უფლებებით უზრუნველყოფის შესახებ“ – საფუძველზე.	გაუქმდეს: 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულება, მუხლი 2;

<http://reksin.ru/news/news040406.shtml.html>; <http://kpd.nvtsk.ru/bib/tm/4-07-03.htm>;  
<http://www.cidct.org.ua/uk/publications/deport2/235.html> (თარგმანი რესულიდან).

### შესარღვა 13. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელებული ღონისძიებები

თარიღი	ორგანო	მარეგულირებელი აქტი	შენიშვნა
18 მაისი, 1993 წ.	საქართველოს მთავრის ე.შევარდნაძის განკარგულება №106		თბილისში, დეპორტირებული მესხების შთამომავლებისათვის, შეიქმნა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ადაპტაციის ცენტრი.
1994 წ.			დაარსდა რეპატრიაციის სამსახური, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა.
დეკემბერი, 1996 წ.	საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ბრძანებულება	„საქართველოში დეპორტირებული და რეპატრირებული მესხების სამართლებრივი და სოციალური პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“	... სამცხე-ჯავახეთიდან ... გასახლებული ქართველების ეთნოციდი, განხორციელდა მათი დეპორტაციის გზით სსრკ-ში მაშინ არსებული რეჟიმის მიერ, რადგან საქართველოს სსრ-ს არ ჰქონდა რეალური სუვერენიტეტი. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო მიზნად ისახავს დასახლებული მოსახლეობის გათელიდან უფლებების რეაბილიტაციას მათი რეპატრაციისა და ეთნოციდის შედეგების ოანდათანობითი აღმოფხვრის გზით.

[http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st\\_19\\_mamulija.shtml](http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_19_mamulija.shtml)

### ღყარო 14. საქართველოს გალდებულებები ევროსაბჭოს მიმართ

- 1999 წ. 27 იანვარი – ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოსაზრება №209 გალდებულებები:
  - II. e:
  - მიღებულ იქნას სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებს დეპორტირებული მესხები მოსახლეობის რეპატრიაციასა და ინტეგრაციას (გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში);
  - დაიწყოს რეპატრიაციის და ინტეგრაციის პროცესი (გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში);
  - დასრულდეს მესხები მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესი (გაწევრიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში).
- 1999 წ. 27 აპრილი – საქართველო გაწევრიანდა ევროპის საბჭოში;

<http://www.msa.gov.ge>  
<http://www.portal.coe.ge>

### ღყარო 15. კანონი რეპატრიაციის შესახებ

**მუხლი 1.** ამ კანონის მიზანია ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა. ამ კანონით დადგენილი რეპატრიაციის სისტემა ეფუძნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, დირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს და ითვალისწინებს ეტაპობრივ რეპატრიაციას.

**მუხლი 3.** რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისი განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირები

**მუხლი 8.** რეპატრიანტის სტატუსის მინიჭება

**მუხლი 9.** საქართველოს მოქალაქეობის მიღება რეპატრიანტის სტატუსის საფუძველზე

**მუხლი 10.** რეპატრიანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა.

საქართველოს კანონი. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ №5261 – რს

(2007 წლის 11 ივლისი)

## შეაროვნი ჯგუფისათვის 2. დეკორტირებელი მასხაი

### შეარო 2.1. მესხების მოგონებები

ა) ეს მოხდა 1944 წლის 15 ნოემბერს. ჯარისკაცები შემოიჭრნენ ჩვენს სახლში დილის 3 საათზე და გვიპრანეს გავყოლოდით ისე, რომ ძლივს მოვასწარით ტანკსაცმლის ჩატარა. ჩვენ მოგვათავსეს სატვირთო ვაგონებში გმგზავრობდით 40 დღის განმავლობაში საჭმლისა და ობილი ტანკსაცმლის გარეშე. მახსოვს, ხალხი ბალახს ჭამდა, რომ გადარჩენილიყო. ბევრი დაიღუპა შიმშილისა და დაავადებებისაგან. მე ვნახე როგორ ისროდნენ ჯარისკაცები გვამებს პირდაპირ ვაგონებიდან. დღემდე ვერ განვთავისუფლდი იმ დღეების კოშმარებისაგან.

ოსმან მეცნიერებულება, [http://www.osce.org/photos/show\\_photos.php](http://www.osce.org/photos/show_photos.php)

ბ) [შეა აზიაში] გადასახლებულ მესხებში დაწესებული იყო კომენდანტის საათი. ჩვენ არ გვქონდა უფლება, რომ გადავსულიყავით ერთი სოფლიდან მეორეში. ყოველ სადამოს უფროსები ხელს აწერდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებაში. [ასე იყო 1956 წლამდე]

კამილა ნურიტდინოვა (გოჩაძე), წიგნიდან „მესხები – უსამშობლო ადამიანები“, თბ., 2008, გვ. 203, მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა.

გ) 1956 წელს მოიხსნა სპეცგადასახლების რეჟიმი და მესხები ფიქრობდნენ, რომ მოვიდა განთავისუფლება ...ხელისუფლება, აძლევდა რა პასპორტებს ყოფილ სპეცგადასახლებულებს, თვითნებურად უცვლიდა მესხების ქართულ გვარებს, მათ პასპორტებში უწერდა სხვადასხვა ეროვნებას. ასე მაგალითად, მამაქემი, ლატიფშახ ბარათაშვილი, ჩაწერილი იქნა როგორც აზერბაიჯანელი, ჩემ მმას მარატს, რომელიც დაიბადა დეპორტაციაში, მიანიჭეს „უსბეკების“ ეროვნება. იყვნენ „თურქები“, „თათრები“ და თვით „კავკასიელიც“ კი. არაერთი მცდელობის შემდეგ მამაქემმა მოახერხა, ჩემთვის, ერთადერთისათვის ჩვენი დიდი ოჯახიდან, როდესაც დავიბადე დეპორტაციაში, ჩაეწერა „ქართველი“.

კლარა ბარათაშვილი, <http://georgia.kavkaz-uzel.ru/articles/16599>

დ) 1956 წელს მოიხსნეს საკომენდანტო მეთვალყურეობა. 1957 წელს ჩვენ წამოვედით უზბეკეთიდან ... მატარებლით თურქმენეთამდე, იქიდან – ბაქოში. იქ არ გავჩერებულებართ – პირდაპირ საქართველოში. თუმცა ჩვენთვის არ იყო ნებადართული საქართველოში შესვლა, ჩვენ მაინც წავედით, იქნებ გაგვმართლებოდა .... თბილისიდან წავედით მახარაძეში, ჩაის კოლმეურნეობაში... ზუგდიდშიც ვცხოვრილდით. მეგრელებმა კარგად მიგიდეს. მესხეთში კვლავ არ შეიძლებოდა და ჩვენ წავედით აზერბაიჯანში, კიროვაბადში... 1988 წელს შრომის სახელმწიფო კომიტეტმა დაიწყო მესხებისაგან განცხადებების შეგროვება, რომლებსაც სურდათ მესხეთში გადასახლება და ჩვენ, ბერიძეების ოჯახი, მარატ ბარათაშვილისა და აბუზარ საფაროვის ოჯახები ვიყავით პირველი მერცხლები, რომლებიც დავსახლდით მესხეთში... ჩვენ ვიყიდეთ სახლი ჩვენს მშობლიურ სოფელ მუგარეთში...

აზო ბერიძე, წიგნიდან „მესხები – უსამშობლო ადამიანები“, თბ., 2008, გვ. 243, მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა.

### შეარო 2.2. ფერდანის ტრაგედია

ა) 1989 წლის ივნისში, ფერდანის დაბლობში (უზბეკეთი) მცხოვრები გადასახლებული მაჰმადიანი მესხები მასიური ხოცვა-ელეტის მსხვერპლი გახდნენ. საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ცენტრალურ რუსეთში დაახლოებით 17 ათასი ადამიანის

[„ოურქი-მესხების“] ევაკუაცია განხორციელდა... ნახევარი წლის შემდეგ დეპორტირებულები იძულებულები გახდნენ საკუთარი უსაფრთხოების მიზნით უზბეკეთის სხვა რაიონებიც დაეტოვებინათ, რადგან კონფლიქტი ეროვნული ნიშნით გრძელდებოდა.... გადასახლება მიმდინარეობდა ძირითადად აზერბაიჯანსა და რუსეთში, მცირე ნაწილი გადავიდა უკრაინასა და ყაზახეთში.

საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება,  
2005; [http://www.parliament.ge/files/1005\\_15713\\_452804\\_turqi-mesxebi-TEXT.pdf](http://www.parliament.ge/files/1005_15713_452804_turqi-mesxebi-TEXT.pdf)

ბ) ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ყველაფერი დაიწყო ჩხებით უზბეკებსა და ოურქ-მესხებს შორის, რომლის დროსაც დაიღუპა ახალგაზრდა უზბეკი... ფერდანიდან ევაკუაციამდე დაზარალებული ოურქების ოჯახები გაჰყავდათ სამხედრო პოლიგონზე ქალაქებარეთ, სადაც მათ დარბევებისაგან იცავდნენ.

ბ)



უზბეკეთში მცხოვრები მესხეთიდან დეპორტირებულები. ფერდანის სამხედრო პოლიგონზე – რუსეთში გამგზავრებამდე.


ალექსანდრ თხიმოვი, „ფერდანის მოგონებები“ 20 წლის შემდეგ.  
უგავეთიდოვ იხტორია? 09.06.2009 (თარგმანი რუსულიდან).  
<http://www.ferghana.ru/article.php?id=6197>

### დეპორტირებული მესხების მდგომარეობა კრასნოდარის მხარეში (რუსეთი)

კრასნოდარის მხარეში 1989 [ფერდანის ტრაგედიის შემდეგ-რედ.] წლიდან ფაქტობრივად ცხოვრობს 15 ათასი დეპორტირებული მესხები, მათგან მხოლოდ 4000 აქვს მოქალაქეობა [...] მათ არ შეუძლიათ მუდმივ სამსახურში მუშაობა, მათი ქორწინება ოფიციალურად არ რეგისტრირდება და კანონიერი საფუძველი არ გააჩნია; სრულად მოკლებული არიან სოციალურ დაცვას (არ ეძლევათ პენსია და დახმარება) და სამედიცინო დაზღვევის სისტემას [...] მათ არ შეუძლიათ რეფერენდუმში და არჩევნების არცერთ დონეზე მონაწილეობის მიღება [...] ზოგიერთ სკოლაში არსებობს სეგრეგაციის პრობლემა: დენიდების შეილებს ერთ კლასში იღებენ და მათ შედარებით დაბალი დონის განათლებას აძლევენ. მშობლიური ენის სწავლებაზე საერთოდ საუბარიც არაა [...]

საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, 2005;  
[http://www.parliament.ge/files/1005\\_15713\\_452804\\_turqi-mesxebi-TEXT.pdf](http://www.parliament.ge/files/1005_15713_452804_turqi-mesxebi-TEXT.pdf)

**შეარტ 2.4.** მესხეთის მოსახლეობის დეპორტაცია და რეპატრიაცია.



**შეარტ 2.5.** საქართველოში დაბრუნებული მესხები



- 1980–1990-იანი წლებიდან საქართველოში 2 000-მდე რეპატრიანტი მესხია შემოსული:
  - თბილისში (8 ოჯახი)
  - ხაშურის რაიონში (3 ოჯახი)
  - გორის რაიონის სოფელ წითელუბანში (5 ოჯახი)
  - სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მე-9 უბანში (30 ოჯახი)
  - ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში (32 ოჯახი)
  - სამცხე-ჯავახეთში (50 ოჯახი /165 კაცი: ახალციხე 38, ადიგენი 12, აბასთუმანი 12)
- 2010 წლის იანვრისთვის საქართველოს ოპეპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შესულია რეპატრირებულთა 841 განცხადება:
  - აზერბაიჯანიდან – 5348
  - ოუკეთიდან – 118
  - რუსეთიდან – 62
  - სხვადასხვა ქვეყნიდან – 313

## ტყაროები პატივისათვის 3. საქართველოს საზოგადოება

### **ტყარო 3.1. ქართველი ინტელიგენციის მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძისადმი, 1979 წ. თებერვალი**

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ქართველი საზოგადოების სახელით ვაცხადებთ, რომ მესხების ოურქად წოდებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია და ამ სისულეებს ბოლო უნდა მოედოს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 30 მაისის და 1974 წლის 9 იანვრის ბრძანებებით, ამ საწყალი ხალხის დაბრუნება უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაინც ფერხდება. გადასახლებულმა მესხებმა საბჭოთა მთავრობას რამდენიმეჯერ მიმართეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მოსკოვში ჩასულებს მუდამ თბილისში აბრუნებდნენ. უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენი თხოვნა გაითვალისწინოთ და ჩვენი დვიძლი ძმების დასაბრუნებლად ყველაფერი იღონოთ.

ხელს აწერენ: გიორგი ჩიტაია, სერგი ჯიქია, ვახტანგ ბერიძე, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, პაატა გუგუშვილი, გიორგი მელიქშვილი, ოთარ ჯაფარიძე, გურამ მამულია, ზურაბ ცინცაძე, რევაზ ჯაფარიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ ასათიანი, კამილაცორინთელი, აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი, რევაზ ინანიშვილი, უჩა ჯაფარიძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, რევაზ თაბუკაშვილი, დავით თორაძე...

გიგა ქამუშაძე, იანეთში რეპატრირებული მოსახლეობის ოურქული გეტეკველების თავისებურებანი, დისერტაცია, თბილისი, 2006, გვ.23-24.

### **ტყარო 3.2. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების მოსაზრება მესხების დეპორტაციაზე**

ა) 1944 წელს დანაშაული ჩაიდინეს ადამიანების, და არა ეთნოსის მიმართ. რაც შეეხება დეპორტირებულთა მოთხოვნას საქართველოში ჩამოსახლებაზე, მინდა ხაზგასმით ადგნიშნო, ამის უფლებამოსილება მათ არა აქვთ. ერთადერთი, რისი მოთხოვნაც ლოგო-კურია, ეს არის წინაპაროთ კერძო საქუთრებაზე მემკვიდრეობის პრინციპის დაცვა, რაც უნდა შეფასდეს და მატერიალური კომპენსაციის სახით აუნაზღაურდეს დეპორტირებულთა შთამომავლობას. საქართველოს უფლება აქვს დეპორტირებულთა ის ნაწილი შემოიყვანოს, რომელიც მას საიმედოდ მიაჩნია. ჩვენი არჩევანი უპირობოდ მათზე უნდა შეჩერდეს, ვინც თავს ქართველად ადიარებს. ისეთი ადამიანების ჩამოსახლება, ვინც თავს ოურქად მიიჩნევს, საქართველოს სიკვდილს ნიშნავს. მათ უნდა შევასწავლოთ ენა, ჩვენს ისტორიასა და კულტურას ვაზიაროთ, მოვახდინოთ ქართული ეთნოსის სხეულში მათი ინტეგრირება. ევროსაბჭოს რეკომენდაცია – 2012 წლამდე საქართველოში მაჰმადიანი მოსახლეობის მთლიანად შემოსახლებაზე, მიუღებელია.

ნოდარ ნათაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გ.წ. თურქი მესხები, გახ. „დილის გაზეთი“, 20 თქმითებური, 2003; <http://www.sapikhvno.org/viewtopic.php?t=2115>.

ბ) ისტორიამ ისინი „დამნაშავებად“ ცნო იმის გამო, რომ ისინი ცხოვრობდნენ ჯერ რესეპ-თურქეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე, ხოლო ქართველმა ხალხმა, რომელიც მოკლებული იყო რეალურ სუვერენიტეტს, ვერ შეძლო მათი დაცვა...

ქართველი ერის ეთნიკური მშენებლობის გზაზე მესხების პრობლემა წარმოადგენს ჩვენს არცოუ იოლ მემკვიდრეობას. ამ მემკვიდრეობის გააზრება და მასზე ზრუნვა – არის ისტორიული პასუხისმგებლობა იმ თაობისა, რომელიც გაუძღვება XXI საუკუნეში განახლებულ საქართველოს. ამაში მდგრადმარეობს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის არსი დეპორტირებილი და საქართველოში რეპატრირებული მესხების მიმართ...

გურამ მამულია, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია დეპორტირებული და საქართველოში რეპატრირებული მესხების მიმართ. ისტორია და თანამედროვეობა.

[http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st\\_19\\_mamulija.shtml](http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_19_mamulija.shtml)

გ) მუსლიმი მესხები, ჩვენს მსგავსად, იყვნენ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები და ისინი არასამართლიანად, ბარბაროსულიად გაასახლეს სამშობლოდან 1944 წელს [...] მათთვის უარის თქმა რეაბილიტაციაზე, რეპატრიაციაზე არა მარტო უპანობა და უსამათლობაა, არამედ წარმოადგენს იმ დანაშაულის ახალ დაკანონებას, რომელიც ჩაიდინეს სტალინმა და ბერიამ და რომელიც მორალური თვალსაზრისით უფრო მძიმე დანაშაულია, რადგან ახლა მას სხადის არა მარტო ხელისუფლება, არამედ ხალხი, ის ადამიანები, რომლებიც, უეჭველია, თავის თავს მიიჩნევენ დემოკრატიული, ქრისტიანებად, ადამიანის უფლებების დამცველებად და ა.შ. ... თუ სახელმწიფო, ხალხი სრულად გაიაზრებს ამ პრობლემას და იზრუნებს დაბრუნებულებზე, კერძოდ, მათი ადაპტაციის პროცესზე, მათ უსაფრთხოებაზე და ა.შ., ეს იმუშავებს საქართველოს სასარგებლოდ.

ნაირა გელაშვილი, მწერალი, „კავკასიური სახლის“ დირექტორი, გაზეთი „ახალი თაობა“, №35, 31.10-2.11. 2000.

### შესრულებული მუსაზრება დეპორტირებული მესხების საკითხზე

1944 წელს ქვემო ქართლის მკვიდრი არც ერთი აზერბაიჯანელი და არც ერთი მაჟმადიანი აჭარელი არ გაუსახლებიათ. თათართა, ანუ „ოურქ მესხთა“, წინაპრების გადასახლებას რელიგიური და ეთნიკური საფუძველი არ ჰქონია. უბრალოდ, ესოდენ დესტრუქციული ძალის საზღვარზე დატოვება თვით საბჭოთა კავშირის სოვეტაც კი საფრთხეს წარმოადგენდა. სომხებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში მათი დაბინავება უმჯობესად გამოიწვევს კონფლიქტს.

სვიმონ მასხარაშვილი, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 7 მაისი, 2007.

### შესრულებული მედია დეპორტირებული მესხების შესახებ

„მშობლიურ სოფლებში უნდა დავბრუნდეთ“, რეპორტაჟი იანეთის მეცხრე უბნიდან

1975 წელს დაბრუნებულ მესხთა ნაწილი სამტრედიაში დასახლდა. მაშინ ყირგიზეთიდან, ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან რამდენიმე ოჯახი საკუთარი სურვილით ერთდროულად გადმოსახლდა. კომუნისტებმა ისინი პირუტყვის მოსაშენებელ კომპლექსში სამუშაოდ კომპაქტურად დაასახლა. 26 სახლისგან შემდგარ სოფელში, რომელსაც შემდეგ იანეთის მეცხრე უბანი ეწოდა, 30 მაჟმადიანი მესხი თჯახებით შესახლდა.

უკვე წლებია, დასახლებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს. ამ დასახლების შესახებ მეზობელ სამტრედიაშიც კი ბევრს არაფერი სმენია. მეცხრე უბანში ქართულად მხოლოდ მოზარდები საუბრობენ. 29 წლის განმავლობაში აქ არცერთი შერეული ოჯახი არ შექმნილა.

მესხების საარსებო საშუალება მეცხოველეობა და სოფლის მეურნეობა. თითოეული ოჯახი, სადაც მინიმუმ რვა წევრი ცხოვრობს, პექტარზე მეტ მიწის ფართობს ამუშავებს. პყავს ათობით ცხვარი, ძროხა, ქათამი.

„ცუდად არ ვცხოვრობთ, მაგრამ აქ მაინც ვერ დავრჩები. როგორც კი საშუალება მომეცემა, ჩემს მშობლიურ სოფელში, ვარსანში დავბრუნდები. იქ უნდა მოვკვდე, იქ უნდა დავიმარხო“, – აცხადებს მალხაზ ბახტაძე.

სხვაგვარად ფიქრობენ მეცხრე უბანში მცხოვრები ახალგაზრდები.

„არ მინდა ახალციხეში ცხოვრება. აქ მირჩვენია. ჩემი მშობლებიც აპირებენ მესხეთში წასვლას, მაგრამ არ გავყები მათ“, – ამბობს მეცხრე კლასის მოსწავლე გაგი ჭინჭარაძე.

თამაზა უჩიძე, სამტრედია, გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, 2004.

[http://www.regions.ge/2&newsid=391&year=2009&position=news\\_main&q=samtredia](http://www.regions.ge/2&newsid=391&year=2009&position=news_main&q=samtredia)

**ბანაზობადებელი კითხვა:** რატომ გაასახლა სახელმწიფომ საქართველოდან, ხოლო შემდეგ დაბრუნდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი?

## 19. რუსთავი – „ორმოცი ძმის“ ქალაქი


**საკვანძო შეპირება:** საიდან წარმოიშვა რუსთავის ზედმეტსახელი „ორმოცი ძმის“ ქალაქი?

### ყვარლი 1. რუსთავში რუსების გადასახლების შესახებ

მამაჩემი, ივან მიხეიელის ძე ოვადოვსკი, ხერსონიდან იყო. იგი ჯერ სევასტოპოლიში მუშაობდა, ხოლო სამამულო ომის დაწყებისას – ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხაში. მას, როგორც გამოცდილ საეციალისტს მისცეს „ბრონი“\* და ამიტომ ფრონტზე არ წაუგვანიათ. 1944 წლის თებერვალში მამა, ისე რომ მისოვის არც კი უკითხავთ, სურდა თუ არა, სამუშაოდ გადაიყვანეს რუსთავში, რუსთავის მეტალურგიული ქარხის მშენებლობაზე. მე ამ დროს ათი წლის ვიუავი, ჩემი უმცროსი და – თამარა კი სამის. თავდაპირველად, მხოლოდ მამა ჩავიდა. მოგვიანებით, ეს მალიან კარგად მახსოვეს, 11 ივნისს, ჩვენც – დედა, ბებია, ჩემი და და მე – ჩაგვიყვანეს ეშელონით რუსთავში. მაშინ რუსთავი ტრიალი მინდორი იყო, მხოლოდ კარგები და სამი ბარაკის ტიპის სახლი იდგა. ჩვენ ერთ-ერთ სახლში მოგვცეს ერთი პატარა ოთახი, რადგან მამა დანიშნეს ცენტრალური სამშენებლო ლაბორატორიის განყოფილების უფროსად. ჩვენს წინ კარვებში, ასევე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან გადმოყვანილი ოჯახები ცხოვრობდნენ, ყოველგვარ პირობებს მოკლებულნი. გარდაბანსა და რუსთავს შორის იყო დასახლება, რომელსაც „როზა ლუქსემბურგს“ ეძახდნენ. იქ გერმანელები ცხოვრობდნენ, რომლებიც ომის დროს გაასახლეს. მოგვიანებით, მათ მიერ დატოვებულ ერთ-ერთ სახლში ჩვენ შეგვასახლეს. ნოემბერში გავაგრძელებ სწავლა რუსულ სკოლაში, რომელიც მაშინ ერთადერთი იყო და სადაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ოჯახების ბავშვები სწავლობდნენ. სკოლაში გვასწავლიდნენ ქართულს.

ინტერვიუ ქალაქ რუსთავის მეციდრთან ზორა ოვადოვსკაიასთან,  
ჩაიწერა ცირა ჩიკვაიძემ, 2009 წლის 29 მაისი.

### ყვარლი 2. რუსთავის №1 სკოლის 1951-1952 წლის კურსდამთავრებულთა სია



\* ბრონი – განკარგულება, რომლითაც თავისუფლდებოდნენ თმში გაწვევიდან.

\*\* Н.с. – ნოშავების სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრებას.

### ФУАРТ 3. რუსთავის №1 სკოლის მოსწავლეები

ა) 1951-1952 წლის ქურსდამთავრებულთა ფოტო



დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): თა-  
მარა საფრონოვა – რუსი; იური ტიშა-  
ვი – რუსი; ვიქტორ ლიაგინი – რუსი;  
მარია ნიკოლაევა – რუსი, დუხაბორი;  
ტოლიქ როტენბერგი – გერმანელი ებრა-  
ელი; ზოია თვადოგსკაია – რუსი; სხე-  
დაბ (მარცხნიდან მარჯვნივ): ლიუდმილა  
ბერეგოვა – ყაზანელი თაორი; თამარა  
ჩუბა – უკრაინელი; გიორგი ლუარსაბის-  
ძე – ქართველი, გეოგრაფიის მასწავლე-  
ბელი; ისაი ალექსის-ძე სკრინიკოვი –  
რუსი, მათემატიკის მასწავლებელი, კლა-  
სის დამრიგებელი; იური ფიოდორის ძე  
– უძრაინელი, ფიზიკის მასწავლებელი;  
მარია ალექსის ასული ტიბიცავა – თხი,  
ლიტერატურის მასწავლებელი.

ბ) ზოია თვადოგსკაიას მოწმობა ოთხი კლასის დამთავრების შესახებ



ვოტოები ზოია თვადოგსკაიას არქივიდან.

### ФУАრТ 4. რუსთავის რუსული სკოლის შენობა და აბრა



## ვართ 5. რუსთავის №1 სკოლის დაარსების ისტორია

1943 წელს საქართველოს სხვადასვა კუთხიდან ჩამოსულთათვის პირველი სკოლა გაიხსნა. მისი სრული დასახელება იყო გარაის (ახლანდელი გარდაბნის) რაიონი, სოფ. რუსთავის რუსული არასრული საშუალო სკოლა.

სკოლა განთავსებული იყო ბარაკის ტიპის შენობაში, რომლის საერთო ფართს წარმოადგენდა 58 მ² და სამი საკლასო ოთახით შემოიფარგლებოდა.

ქართველ ბავშვთა რაოდენობის ზრდის გამო 1946-1947 სასწავლო წელს ფუნქციონირება დაიწყო ქართველმა კლასმა, ხოლო 1948 წელს ამავე სკოლაში პირველად გაიხსნა ქართული არასრული საშუალო სკოლა, რომლის დირექტორადაც დაინიშნა ქადაგი ზარქუა.

[www.rustavi.ge](http://www.rustavi.ge)

რუსთავის პირველი საშუალო სკოლა, (19 აგვისტო, 2009 წელი).

## ვართ 6. მრავალეროვანი რუსთავის შესახებ

მე ვიყავი №1 სკოლის დირექტორი 1969-87 წლებში. ჩვენს სკოლაში, თუ არ ვაჭარბებ, ოცდაოთოხმეტი ეროვნების, დაახლოებით, 1 400 მოსწავლე სწავლიდა. იყო ძალიან მეგობრული განწყობა არა მარტო ჩვენს სკოლაში, არამედ მოელს ქალაქში. რუსთავი ისეთი ინტერნაციონალური იყო, რომ მას „ორმოცი ძმის“ ქალაქს ეძახდნენ.

ინტერვიუ ქალაქ რუსთავის მკაფიორთან, №1 საშუალო სკოლის დირექტორთან ნატალია სამადებოთან, ჩაიწერა ცირა ჩიკვაიძემ, 2009 წლის 29 მაისი.

## ვართ 7. დადგენილება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ

სსრკ სახეომსაბჭოსა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 12 სექტემბრის №1677 დადგენილების – „საქართველოში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ“ – აღსრულებისათვის – ონახმად, საქართველოს სსრ სახეომსაბჭო და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

ეთანხმება სსრკ სახეომსაბჭოს სპეციალური კომისიის დასკვნას, რათა საქართველოს სსრ-ში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის შეირჩეს მოედანი ნავთისჭალაში, რომელიც ესაზღვრება ქობილისს ნავთლუდის რაიონში.

„საქართველოში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ“  
საქართველოს სსრ სახ.კომ. საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის  
დადგენილება, 14 ოქტომბერი, 1940 წ.

## ვართ 8. რუსთავის მეტალურგიული ქარხნისთვის კადრების მოზიდვის შესახებ

### ა) პარტიული ლიდერის მოგონებები

ომამდე ქარხნის ძირითადი ობიექტების დაპროექტება ვერ მოესწრო და მათი საძირკველიც კი არ ჩაგვიყრია [...] 1944 წლის 23 მარტს გამოვიდა ოვდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომლითაც ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ახლდებოდა, მაგრამ ახლდებოდა „რკინიზის სადგურ რუსთავთან მდგბარე მოედანზე“ ობილისიდან 26-27 კილომეტრის დაშორებით [...] 1944 წელს ქარხნის დაპროექტება მიმდინარეობდა. 1 აგვისტოსათვის მოედანზე უკვე მზად იყო საერთო საცხოვრებლები 9 000 მშენებლისათვის [...] სექტემბრისთვის უკვე მზად იყო საერთო საცხოვრებლები 22 ათასი მუშისათვის და 9000 კვ. მეტრი საბინაო ფართობი საინჟინორო-ტექნიკური მუშაკებისა და მათი ოჯახებისათვის [...] 2-3 წლითადში ქარხანას უნდა მიეღო კალიფიციურ მუშაობა და სპეციალისტთა კადრები, რომლებიც მას აამოქმედებდნენ. ასეთი კადრები რესპუბლიკას არ გააჩნდა [...] საქართველოს უდიდესი საწარმო მოედ ხალხს უნდა აეშენებინა [...] ეს ნიშანავდა, რომ მეტალურგთა მომავალი ქალაქის მოსახლეობაც რესპუბლიკის ყველა ისტორიული პროვინციიდან გამოსულთა

შენადნობი იქნებოდა. ყველა დიდ რეგიონს 150-250-მდე კაცი უნდა გამოეგზავნა, საშუალო და მცირეს კი – 50-დან 100-მდე. გასაწვევებს წინასწარ განემარტიათ, რომ ისინი იგზავნებოდნენ პალიფიკაციის მისაღებად, რათა შემდეგ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ემუშავათ და რომ ამის გამო წითელ არმიაში სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ. 3 000 ახალგაზრდა სამსახურის (იგულისხმება რუსეთის და უკრაინის – რედ.) მეტალურგიულ ქარხებში გაიგზავნა (პრაქტიკის გასავლელად – რედ.), 2000 – რესპუბლიკის საწარმოებში მოეწყო.

ქ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბ., გვ. 344-355.

### ბ) თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება

ქარხანაში მოლიანად დამთავრების შემდეგ, უნდა მუშაობდეს სულ 9200 კაცი, აქედან 8 400 მუშა და 800 საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი [...]

ნება დაერთოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს ჩატარდეს რესპუბლიკაში სამხედრო უწყების მეშვეობით 1926 წელს დაბადებული 5000 გასაწვევის მობილიზაცია, მათი შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადაცემით, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოდ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს ცენტრალური კომიტეტისაგან,  
23 ივნისი, 1944 წ.

### შეარტ 9. ქართველი ახალგაზრდები მიემგზავრებიან რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხებში, 1944 წ.



რუსთავის მხარეთმცოდნეობის  
მუზეუმის ფონდი

### შეარტ 10. მშენებელთა ჩასვლა რუსთავში

ომის პირველი ხუთწლედის პერიოდში საქართველოში ყოველწლიურად ტარდებოდა მუშაორანიზებული შეგროვება. საქართველოს ყველა რაიონში (ავტონომიური ერთეულების ჩათვლით) შეგროვდა 20 ათასამდე მუშა [...] მარტო 1950 წელს საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობისათვის ორგანიზებული შეგროვების წესით მიღებული 8 ათასი კაციდან ტრესტ „მეტალურგმშენს“ გადაეცა 3 ათასი მუშა [...] ქარხნის მშენებლობის მოქლ მანძილზე (უფრო მეტად კი მის პირველ ხანებში) იგზავნებოდნენ მომე რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით, რუსეთისა და უკრაინიდან მეტალურგიული ქარხების მშენებელი კადრები – ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და კვალიფიციური მუშები.

ჯერ კიდევ 1944 წელს რუსთავის მშენებლობაზე ჩამოვიდა მშენებელთა დიდი ჯგუფი, რომელიც ჩელიაბინსკისა და ტაგილის მეტალურგიული ქარხების აგებაში იდებდა მონაწილეობას. მშენებელ მუშაორა ეს კატეგორია, ე.ი. სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული კვალიფიციური მუშები, რუსთავის მშენებლების თუმცა მცირე, მაგრამ უდავოდ მაღალნაყოფიერი უჯრედი იყო.

ქ. თოლურიძე, რუსთავი, თბ., გვ. 61.

### შეკვეთ 11. ქალაქ რუსთავის წარმოქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავის ქალაქ რუსთავად გარდაქმნის შესახებ

გამოყოს საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონს დაბა რუსთავი და გარდაიქმნას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება,  
19 იანვარი, 1948 წ., თბილისი.

### შეკვეთ 12. რუსთავის მშენებლობის ისტორია

- ა) ადგილი, სადაც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აშენდა, 1944 წ.
- ბ) თავდაპირველად, კარგების ქალაქი გაჩნდა, მარტი, 1944 წ.



საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 0-21778



საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 0-28329

- გ) ზორა ოვადოვსკაიას ოჯახი ახალ სახლთან, 1949 წ.



ოჯახის არქივიდან

#### დ) თანამედროვე რუსთავი

მეტალურგიული ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობა ერთდროულად დაიწყო და პარალელურად მიმდინარეობდა [...] 1946 წლის ზაფხულისათვის რუსთავში 3000 მცხოვრები ითვლებოდა. პირველი მოსახლეები უმეტესად მშენებლები იყვნენ, ახლო მომავალში რუსთავში უნდა დამკვიდრებულიყვნენ პირველ სამრეწველო საწარმოთა – მეტალურგიული ქარხნის დამხმარე საამქროების მუშები. მათთვის მზადდებოდა 14 სახლი და ერთი საერთო საცხოვრებელი [...] ქალაქის ზრდასა და გაფართოებასთან ერთად ინტენსიურად ვითარდებოდა ახალი სასკოლო შენობების, ახალი საბავშვო ბადებისა და ინტერნატების მშენებლობა. 1948-49 სასწავლო წელს რუსთავში 4 სკოლა იყო: 2 საშუალო სკოლა (აქედან ერთი მუშა ახალგაზრდობის), ერთი – რვაწლიანი, და ერთიც – დაწყებითი.

1952 წელს ქალაქის 11 სკოლაში 2500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა, ხოლო 1953-1954 სასწავლო წელს რუსთავის სკოლების რაოდენობამ 16-ს მიაღწია და მოსწავლეთა რიცხვმა 3 500-ს გადააჭარბება.

ქ. თოფურიძე, რუსთავი, თბ., გვ. 112-113.

### შესაბამის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1950 წლისათვის

ეროვნება	რაოდენობა	%
ქართველი	6193	56.15
აფხაზი	150	1.36
ოსი	452	4.1
რუსი	1807	10.2
სომები	535	4.85
აზერბაიჯანელი	858	5.97
უკრაინელი	544	4.93
ბერძენი	165	1.5
ებრაელი	92	0.83
ქუროი	41	0.37
სხვა ეროვნება	192	1.74
<b>სულ</b>	<b>11 029</b>	

რუსთავის მხარეთმცველეობის მუზეუმის ფონდი

### შესაბამისი და რუსთავის მოსახლეობა 1930-1950-იან წლებში

ქალაქის დასახელება	მოსახლეობა ათასობით	
	1939 წ. 17 იანვრისათვის	1959 წ. 19 იანვრისათვის
თბილისი	519,2	694,7
რუსთავი	—	64,7

საქართველოს ისტორიის ნარკვენები, გ. VIII, 1980, გვ. 477.

#### დაპალება 1:

- დაწერეთ სცენარი და „გადაიდეთ“ დოკუმენტური ფილმი ქალაქ რუსთავზე. ფილმის ძირითადი სიუჟეტებია:
  - რუსული სკოლა რუსთავში
  - რუსთავის მშენებლები
- დაიყავით ორ ჯგუფად, არჩიეთ თქვენთვის საინტერესო ერთი სიუჟეტი; განიხილეთ, რა არის თქვენი ფილმის მთავარი მიზანი და ჩამოაყალიბეთ საკვანძო შეკითხვა, რომელზეც გსურთ პასუხის მიღება
  - შეარჩიეთ ფილმისთვის საჭირო წყაროები.
  - წარმოადგინეთ ფილმის 5-8 კადრი.

#### სიუჟეტი 1. რუსული სკოლა რუსთავში

- ორიგინალური სათაური
- სკოლის შექმნის ისტორია
- საინტერესო მოვლენები და ფაქტები სკოლის ცხოვრებიდან
- მოსწავლეები, მასწავლებლები და ა.შ.

გ) შეიცვალა თუ არა სიუჟეტის საკვანძო შეკითხვის ფორმულირება და ფილმის სათაური? თუ შეიცვალა, ჩამოაყალიბეთ ახალი საკვანძო შეკითხვა და სათაური.

#### სიუჟეტი 2. რუსთავის მშენებლები

- ორიგინალური სათაური
- ქალაქის შექმნის ისტორია
- საინტერესო მოვლენები და ფაქტები ქალაქის ცხოვრებიდან
- ქალაქის მშენებლები და ა.შ.

**განაზღადებაში პირები: რა როლი ითამაშა მიგრაციულმა პროცესებმა მრავალეროვანი რუსთავის შექმნაში?**

## 20. „აბორეგული ქვეპი“ (ეკოლოგიური მიზანური საქართველოში)

**საკვანძო კითხვა:** რატომ იქცა ეკომიგრანტების განსახლების საკითხი ეროვნებათაშორის ურთიერთობის პრობლემად საქართველოში?

### შესახებ

**შესახებ 1. სვანეთში ეპოლოგიური კატასტროფის შედეგების შესახებ**

1987 წელს სვანეთი ბოლო წლების ყველაზე მძიმე ზამთრის მოწმე გახდა. იანვარში რამდენიმე სოფელი 3-დან 5 მეტრამდე თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა. დაახლოებით 2 000 სახლი ზვავში მოჰყვა, ხოლო 85 ადამიანი გარდაიცვალა. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიისა (ზემო სვანეთი) და ლენტეხის (ქვემო სვანეთი) რაიონები. სოფლებთან კავშირი გაწყდა. რისკის ზონიდან 16000 ადამიანი იქნა ევაკუირებული.


ლუარა ნიუარაძე, სვანების მიგრაცია და მისი განსახლების არეალები, ობილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1999, გვ. 13-17.

### შესახებ 2. ეკომიგრანტების განსახლების არეალის შესახებ

1981 წლიდან დღევანდლამდე [2006 წ.] განსახლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 11000 ოჯახი გადასახლეს (დაახლოებით 60000 ადამიანი), მირითადად, აჭარისა და სვანეთის მადალმოლიანი რეგიონებიდან. ამავე პერიოდში, მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა, მირითადად, აჭარიდან დამოუკიდებლად გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში, მათი მშობლიური რეგიონების მოსახლეობით გადატვირთულობისა და მცირებიშიანობის გამო. 1980-იანებში და 1990-იანი წლების დასაწყისში ეკომიგრანტთა მიმდები მირითადი რეგიონები იყო კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, გურია, სამცხე და ჯავახეთი. მოგვიანებით, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მიგრანტთა მირითადი მიმდები გახდა ქვემო ქართლი.

საქართველოს დემოდენომინაცია და განსახლების სამინისტროს წლიური ანგარიში, 2006 წელი.

**შესარტოვადი 3. ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006 წლებში**



## დავალება 1:

- ჩამოვალე ის ფაქტორები, რომლებიც გახდა, ან შეიძლება გახდეს ეკოლოგიური მიგრაციის გამომწვევი მიზეზი?
- წყაროების 1-3 მიხედვით, რუკაზე მიუთითე რაიონები, რომელთა მცხოვრებლები ეკოლოგიური მიგრანტები ადმოჩნდნენ.
- დაადგინე, საქართველოს ძირითადად, რომელი რაიონები შეარჩიეს ეკოლოგიური მიგრანტების ჩასახლების ადგილებად და ივარუდე, რატომ?

## შესახებ 4. ეკომიგრანტების განსახლების გამოცდილებიდან

1981-1988 წლებში (აჭარიდან – რედ.) ჩამოსული მოსახლეობა მეტწილად ასპინძისა და ადიგენის რაიონებში ჩასახლებს. ეს რეგიონები ორი მიზეზით იყო მიმზიდველი მიგრირებული მოსახლეობისათვის. პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი მთიან აჭარასთან ახლოსაა. მეორე მხრივ იმიტომ, რომ ამ რაიონებში ჩასახლების ისტორიული გამოცდილება უკვე არსებობს 1940-იანი წლებიდან, როდესაც მესხები იძულებით იქნენ დეპორტირებულნი შეა აზიაში და მათ ნაცვლად საქართველოს სხვა ნაწილებიდან ჩამოასახლეს აქ ხალხი. ის ფაქტი, რომ სამცხის ქართული მოსახლეობის უმეტესობა რეგიონში ახლახანს (1980-იან წლები – რედ.) ჩასახლდა, ბევრი მიგრანტის აზრით, უფრო სტუმარობის უნიკალურების ხდის ამ რეგიონს ახალჩამოსულთაოვის.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი სახალხო დამცველის ანგარიში,  
23 დეკემბერი, 2005 წ.

## შესახებ 5. ეკომიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის შესახებ

ა) ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული მხარეებია. სამცხე-ჯავახეთი უპირატესად სომხეურია, განსაკუთრებით ჯავახეთის რეგიონი (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები), ალაგ-ალაგ, რუსი დუხობორების, ბერძნების და მკვიდრი ქართველების მცირერიცხოვანი დასახლებებით. ქვემო ქართლის სამ რაიონში (მარნეულში, დმანისსა და ბოლნისში) ეთნიკური აზერბაიჯანული მოსახლეობა დომინირებს, ხოლო წალკის რაიონი სომხებით, ქართველებითა და ბერძნებითა დასახლებული. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკომიგრანტების ტალღა ხშირად დაძაბულობას იწვევს. განსხვავებული სოციალური და კულტურული საწყისების მქონე ეკომიგრანტები ადგილობრივ თემთან ინტეგრაციის გზაზე ხშირად სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან და არაჯეროვნად შემზადებულ მიმდებ თემში ახალჩამოსახლებულთა მიმართ ეჭვები და უნდობლობა ჩნდება. შესაბამისად, ადგილობრივებსა და ახალჩამოსახლებულებს შორის ცუდი ურთიერთობა ვითარდება.

ტომ ტრიუქი, მედეა ტურაშვილი, ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება, არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? კრებული „ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006 წწ“, თბ., 2007, გვ.6.

ბ) 1989-1991 წლებში 215 ოჯახი მოამზადეს ჩასახლებისათვის, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ 159 დასახლდა. გადმოსახლებულთა დიდ ნაწილს ახალ კლიმატთან, სოციალურ და პოლიტიკურ მდგრმარეობასთან ადაპტაცია გაუჭირდა და უმეტესობამ რეგიონი დატოვა. გამონაკლისს მხოლოდ სპასოვებაში ჩასახლებულები წარმოადგენენ. აქ კომპაქტურად ჩასახლებულმა ეკომიგრანტებმა დარჩენა მოახერხეს. რაც შეეხება სხვა სოფლებში ჩასახლებულ მიგრანტებს, ახალჩამოსულები სამი ბარიერის წინაშე

ადმონინდნენ, რომლებმაც მათ ამ სოფულებში (გორელოვგა, ეფრემოვგა, ორლოვგა და სამება) მუდმივად დარჩენას შეუშალა ხელი. პირველი იყო კლიმატი, რომელიც აქ ძალზე მძიმეა, ზამთარში ტემპერატურა -25 გრადუსამდე ეცემა და გზები დიდოოვლობის გამო შვიდ თვეს ჩაკეტილია. მეორეც, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით არაეკოლოგიური მიზეზით მიგრირებულნი, სოფლის ცხოვრებას - მიწის დამუშავებას თუ საქონლის მოშენებას – არ იყვნენ ჩვეულნი. დაბოლოს, მათი ჩასახლების ადრეულ წლებში შიდაეთნიკური სიტუაცია განსაკუთრებით დააბული იყო. ასე რომ, ეკომიგრაციებმა მეტიდად დატოვეს ეს სოფულები და სადღეისოდ [2000 წ.] მხოლოდ რამდენიმე ქართული ოჯახია იქ დარჩენილი. თუმცა, ბევრმა ეკომიგრაციებმა ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში ჩასახლების პირველსავე წლებში დატოვა ჩასახლების ადგილები.

პედიგრე ლომი, დუხობორები საქართველოში, კვლევა ნინოწმინდის რაიონში მიწის მფლობელობის და ინტერესთნიკური ურთიერთობების ხავთხების შესახებ, სამუშაო მოხსენება №35, ნოემბერი, 2006 წ.

## დაგანვითარება 2:

1. განსაზღვრე წყაროების 4-5 მიხედვით, რომელი ფაქტორები იყო გათვალისწინებული და რომელი არა ეკომიგრაცით განსახლების ადგილების შერჩევისას 1980-90-იან წლებში?
2. ახსენი, რა შეიძლება იყოს ეკომიგრაციების ახალ საცხოვრებელ ადგილებზე წარმატებული ჩასახლების წინაპირობა?
3. შეიმუშავეთ ეკომიგრაციების წარმატებული ჩასახლების თქვენი ვერსიები და წარმოადგინეთ კლასის წინაშე.

## ტყარო 6. ეკომიგრაციების ცხოვრება ახალ ადგილებზე

ა) სამთაწყაროში (დედოფლისწყაროს რაიონი) აჭარლები 1979-1980 წლებში ხულოდან და შუახევიდან ჩამოსახლდნენ. მათი სოფლის თავისაცემა (უხუცესებმა) კახეთში დაათვალიერეს ადგილები და აირჩიეს სად უნდა დასახლებულიყვნენ. არჩევანი მათი სამეურნეო საქმიანობის მიხედვით გაკეთდა – რადგან ძირითადად მესაქონლეები იყვნენ, ისეთი ადგილი აირჩიეს, სადაც უხვი სამოვრები იყო. შემდეგ ჩამოვიდნენ იმ ოჯახების უფროსები, რომლებიც ჩამოსახლებას პირებდნენ და თავად მოიზომეს საკარმიდამი ნაკვეთები. ამ დროისათვის სოფელში უკვე ცხოვრობდნენ 1930-იან წლებში საინგილოს სოფელ ალიბეგლოდან და ყორანგელიდან ჩამოსახლებული ქართველები. მოსულები პირველად ვაგონებში დასახლდნენ და დაიწყეს სახლების მშენებლობა. თავიდან ძალიან გაუჭირდათ, რადგან ვერ ეგუებოდნენ კლიმატს და მეურნეობის აქტურ ტრადიციებს. მამახემმა ნიკოლოზ თაგოშვილმა ჩვენს მეზობლებს პირადად ასწავლა ვენახის გასხვლა, მოვლა და ბაღჩეულის მოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები არ იყვნენ, ამის გამო უკავშიროებია არ გვქონია. სალოცავად პირველ ხანებში ზაქათალას რაიონში დადიოდნენ. დღეს, აქ დაბადებული თაობა უმეტესად ქრისტიანია. ბავშვები ქრისტიანულ საეკლესიო რიტუალებშიც კი დებულობენ მონაწილეობას. გახშირდა შერეული ქორწინებები. ადრე მიცვალებულებს აქ არ კრძალავდნენ, აჭარაში მიასვენებდნენ. ახლა ჩვენი სოფლის სასაფლაოს გვერდზე თავისი სასაფლაო აქვთ. ერთმანეთან ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის დავდივართ და მოსულებად თითქმის ადარავის ვთვლით.

ინტერვიუ ვარლამ თაგოშვილთან, სამთაწყაროს საჯარო სეოლის დირექტორთან, 55 წლის, ჩაიწერა ამირან ჯამაგიძემ, 2009 წლის 5 აგვისტო.

ბ) ჩვენ მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში, სვანეთში 1987 წლის დიდთოვდობისას, უშგულიდან და მულახიდან ჩამოგსახლდით. თავდაპირველად, დაახლოებით, 106 ოჯახი. საცხოვრებელი ადგილები ჩვენმა უხუცესებმა ჩამოსახლებამდე აირჩიეს. სოფელ ჯანდარის მახლობლად, დაუსახლებელ ადგილზე, დაარსდა ჩვენი სოფელი, რომელსაც ლემშვენიერა დაერქვა. დღეს აქ 500-მდე ოჯახი ვცხოვრობთ. ჯანდარის ადგილობრივი აზერბიჯანელი მოსახლეობა ჩვენს ჩამოსვლას თავიდან დადებითად შეხვდა, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულმა მაშინდელმა არეულობამ ჩვენს მეზობლობას მაინც დაასვა დაღი. გვქონდა პატარა გაუგებრობები, რომელიც ძირითადად მიწისა და სარწყავი წყლის გამო ხდებოდა, თუმცა ამ 23 წლის განმავლობაში ურთიერთობები თანდათან უმჯობესდება. უნდა აღინიშნოს, რომ შერეული ქორწინებებისა და დანაოცხესავების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. ჩვენი აქ დასახლების მთავარი პრობლემა მაინც არადამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებია – სახლები, რომლებიც ჩვენთვის მაშინ ააშენეს უხარისხო იყო, უმრავლესობა დღესაც დაუმთავრებელია. მაგალითად, სოფლის სკოლას დღესაც არ აქვს კანალიზაცია. უდიდესი პრობლემაა სარწყავი წყალი.

ინტერვიუ თოარ ნიუარაძესთან, სოფელ ლემშვენიერას მცხოვრებთან, 48 წლის,  
ჩაიწერა ამირან ჯამაგიძემ, 2009 წლის 29 აგვისტო.

#### **შესრულებული 7. ეკომიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის ერთი მაგალითი**

2004 წლის მაისში სოფელ ქვემო ხარებაში შემდგარი ფეხბურთის მატჩი – სოფელში მცხოვრებ აჭარელ და სოფელ კიზილკალისადან ჩამოსულ სომქებ ბავშვებს შორის – ჩეუბში გადაიზარდა. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. შეჯახების შემდეგ აჭარლები ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც მათ საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. ინციდენტის გამომიების დროს, სომხებმა და ბერძნებმა განაცხადეს, რომ აჭარლები მათ უფლებებს არღვევდნენ, მაშინ როცა აჭარლები აცხადებენ, რომ სომხები და ბერძნები რეგიონში ქართველების ცხოვრებას ეწინააღმდეგებიან.

ჯონათან უიტლი, კონფლიქტის განეიტრალუება წალკის რაიონში, საქართველოში: მიგრაცია, საერთაშორისო ინტერესებით და სახელმწიფოს როლი, სამუშაო მოხსენება №36, დეკემბერი, 2006, გვ. 9.

#### **შესრულებული 8. ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლები**



ა) სოფელი დისველი



ბ) სოფელი ლემშვენიერა



გ) ხატისოფელი

### შესარჩო 9. უკუმიგრაცია აჭარის მთიან რაიონებში

მდგრადი რეგიონი	ხელოს რაოთი (1989-1998)	შესახების რაოთი (1989-2006)	ქვეითი რაოთი (1989-2006)
სამეგრელო	36	98	3
გურია	84	30	3
აღმოსავანი	97	68	26
ძალვი ქართლი	54	30	3
კახეთი	26	9	
შიდა ქართლი	54		
აჭარა (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური)	36	42	
სამცხე-ჯავახეთი	141		
სახელი	6		
საქონი	534	277	35

ხელოსა და შესახების გამგეობების მიერ მოწოდებული მონაცემები,  
2006 წლის ოქტომბერი.

### შესარჩო 10. 1980-იან წლებში ეკომიგრანტებისათვის ახალი სოფლის მშენებლობის პროგრამის შესახებ

1980-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფო პროგრამებით განისაზღვრა საქართველოს 17 რაიონში 55 ახალი სოფლის აშენება.

უნდა აშენებულიყო 5094 სახლი, ფაქტობრივად, აშენდა 3090 სახლი, რომელთაგან დასახლებულია 2723. დანარჩენი 367 შენობა ცარიელია. 1724 სახლი დაუსრულებელია, ხოლო 280 სახლის მშენებლობა არც დაწყებულა.

მონაცემები მოტანილია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ანგარიშიდან. ტომ ტრიერი, მედია ტურაშვილი, დასახლებული ნაშრომი გვ. 14.

#### დაგალება 3:

- დაასკვენი, წყაროს 6 მიხედვით, რით იყო განპირობებული აჭარიდან დედოფლისწყაროში ჩასახლებული ეკომიგრანტების წარმატებული განსახლება?
- ახსენი, წყაროების 8-10 მიხედვით, ურთიერთობის რა პრობლემებს აწყდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ეკომიგრანტები, რომელთა გადაჭრა მათ დამოუკიდებლად არ შეეძლოთ?
- გაარკვიე, რა არის ეკომიგრანტებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დაპირისპირების ძირითადი მიზეზები?
- განსაზღვრე, რა სახის საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მიზეზები განაპირებს ეკომიგრანტთა მაღალ დენადობას (უკუმიგრაციას) პირველადი ჩასახლების ადგილებიდან?
- დაასახელე, წყარო 9-ის მიხედვით, რაიონი და პერიოდი, როდესაც ყველაზე მაღალი იყო უკუმიგრაციის დონე.
- შეიმუშავე ჯგუფებში ეკომიგრანტთა პრობლემების გადაჭრის დონისმიებები.
- მოაწყეთ შემუშავებული დონისმიებების პრეზენტაცია და განიხილეთ საერთო პოზიციები.

**განმაზრგადებელი პირება:** როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა და საზოგადოების პოზიცია, რათა ეკომიგრანტების ადაპტაციისათვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას?

# 21. მედლის ორი მხარე: ქართველები და ოსები (1980-90-იანი წლები)

**საკვანძო შეკითხვა:** რატომ გახდა პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლა ეთნიკური ჯგუფის მიგრაციის მიზეზი?

## შეკვეთ 1. ოსი პოლიტიკური ლიდერის გამოხმაურება 1980-იანი წლების ბოლოს აფხაზეთის მოვლენებზე

ძვირფასო აფხაზო მეგობრებო!

... ჩვენ იმედს გვინერგავს „აფხაზეთის საკითხის“ სამართლიანი და საბოლოო გადაწყვეტის პერსპექტივა. ამას კი ძალუძს შექმნას დე ფაქტო ტოლფასოვანი პარიტეტი პრეცედენტი ე.წ. მოკავშირე და სხვა ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის. ...

ჩვენს აღტაცებას იწვევს მამაცობა, ერთიანობა და დარაზმულობა აფხაზი ხალხისა, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის საკითხში, რომელიც მის წინაშე დგას ისტორიის მოცემულ მონაკვეთში – საკითხი სრული, უპირობო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისა [...]

„ადამონ ნიხასის“ წევრები ისევე, როგორც მოელი თხი ხალხი, დაძაბულად და თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს აფხაზეთის მოვლენებს. ამის წადილს აღგვიძრავს თხეთისა და აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების საქმაოდ დიდი მსგავსება, რაშიც შეგვეძლო კიდევ ერთხელ დაგრწმუნებულიყვით, როცა წავიკითხეთ აფხაზი ხალხის წერილი XIX პარტიული კონფერენციისადმი, რაშიც გვარწმუნებს ჩვენი ხალხების კულტურულ-ისტორიული და მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები..., აგრეთვე ის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენ ამაყი, დამოუკიდებელი სულის მთიელი ხალხები ვართ. ამ სულის გატეხვა კი ჩვენ გმირობითა და ტანჯვით აღსავსე ისტორიაში მრავალრიცხოვან „სტუმართაგან“ ვერც ერთმა ვერ შეძლო. მით უფრო დღეს ვერ შეძლებს ამას ვერავინ იმათაგან, ვინც ფსევდორიტორიკული ნაჯღაბნით იკვებება და ეროვნული ზვიადობის გაცვეთილი დროშით ცდილობს „დაჟავავი და იბატონეს“ პრინციპით იმოქმედოს. მაგრამ ჩვენი ურყევობის საწინდარია ჩვენი მეგობრობა და ჯერჯერობით მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ჩვენი მამაცი აფხაზი მეგობრებისა და მმებისა. თხეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭროთ – მხარს გიჭროთ ჩვენი ხელმძღვანელობაც, თღონდ მას ჯერ სიმამაცე არ ჰყოფნის.

ა. ჩოჩიევი, ადამონ ნიხასი (სახალხო კრება), ქ. ცხინვალი. სამხრეთი თხეთი, გაზეთი „ბზიფი“, გუდაუთა, 4 აპრილი, 1989 წ.; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 5 მაისი, 1989 წ.

## შეკვეთ 2. 1990 წლის კარიკატურა



გაზეთი „ბზიფი“, 2 დეკემბერი, 1990 წ.

### შესახებ 3. ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული გაზეთ „სოვეტოს ირისთონის“ სარედაქციო სტატია ა. ჩოჩიევის წერილზე

ა. ჩოჩიევის წერილის გამოქვეყნებამ „შეიძლება წარმოშვას არასასიამოვნო ტენდენციები რესპუბლიკის ერთაშორის ურთიერთობათ განვითარებაში...“

ვის აძლევს ხელს ამგვარი წერილების წერა და გამოქვეყნება? ამ კითხვას ერთადერთი პასუხი შეიძლება გაეცეს: ეს სჭირდებათ მათ, ვისაც სწადია ერთაშორის უფლის გადგინვება, ქართველთა და ოსთა მშერი ურთიერთობის მოშლა. აი, რატომ გმობს ოლქის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი – რედ.) საზოგადოება ამ წერილის გამოქვეყნების ფაქტს, გმობს წერილის ავტორს. როგორც გამოირკვა, ეს წერილი პირადად ა. ჩოჩიევმა დაწერა და ამაზე არაფერი იცოდნენ არაფორმალური გაერთიანება „ადამიონ ნიხასის“ პრეზიდიუმის წევრებმაც კი. ამიტომ ა. ჩოჩიევის ეს მოსაზრება მოელი ოსი ხალხის აზრად არ უნდა ჩავთვალოთ.

დღეს, ისე როგორც არასდროს, აუცილებელია უფრო ხშირად მიგაპყროთ თვალი ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ისტორიას, რომელიც მდიდარია ჭეშმარიტი მმობის, ურთიერთობანადგომისა და ურთიერთგაგების მაგალითებით.

ისტორიულმა ხვედრმა ჩვენ იმდენად დაგვაკავშირა, რომ ჩვენს მრავალეროვან პატ-შირში ტრადიციათა, კულტურათა სიახლოვის და ნათესაურ ურთიერთობათა ასეთი სხვა მაგალითი არ არსებობს.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 12 მაისი, 1989 წ.

### შესახებ 4. ქართველი პოლიტიკური ლიდერი ზვიად გამსახურდია 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში შექმნილ ვითარებაზე

როცა ჩვენ ვებრძვით აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ძალადობას, მათ მიერ ისტორიის გაყალბებას, ვამხელო მათ მიერ ქართველთა შევიწროვების ფაქტებს – ეს პელინგის ხელ შეკრულების შესრულებისათვის ბრძოლა [...] ვიბრძით მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით, ვამხელო უსამართლობას, უკანონობას ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

[...] ჩვენ ახლა კატასტროფული დემოგრაფიული მდგრამარეობა გვაქვს [...] გაძლიერდა აზერბაიჯანული ექსპანსია ქართლ-კახეთში, გაძლიერდა ოსური სეპარატიზმი ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც ქართულ მოსახლეობას ოსური შოვინიზმი ემუქრება. ოსეთის სახალხო ფრონტი, ე.წ. „ადამიონ ნიხასი“, აქეზებს ოსურ მოსახლეობას, ავრცელებს მოსკოვიდან ჩამოტანილ რუსებს, სადაც აღმოსავლეთ საქართველო ალანთა ქვეყნად არის გამოცხადებული და ამტკიცებს, თითქოს ისტორიული სამახაბლო ოსური მიწა-წყალია, სადაც ოსები XIII საუკუნეში კი არ ჩამოსახლდნენ, როგორც ცნობილია საქართველოს ისტორიაში, არამედ აქ ვითომდაც ოდითგან მკვიდრობდნენ. ამის შედეგად გრძელდება „ადამიონ ნიხასის“ პროვოკატორთა აგრესიული მიტინგები. ქართველთაგან მოითხოვენ თავიანთი მიწა-წყლის დატოვებას.

ნაწყვეტი ზვიად გამსახურდიას ინტერვიუდან, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 14 სექტემბერი, 1989 წ.

### შესახებ 5. განცხადება ცხინვალში დაგეგმილი მიტინგის შესახებ

დღეს 15 საათზე ისტორიულ სამაჩაბლოში, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ცხინვალის ცენტრში, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინიციატივით გაიმართება სანქციონებული მიტინგი. მიტინგის მონაწილეობის მსურველები დღეს დიდის 9 საათიდან შეიიღინებიან სპორტის სასახლესთან და კინოს სახლთან, სადაც მობილიზებული იქნება ტრანსპორტი.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 23 ნოემბერი, 1989 წ.

### ფურთ 6. ინფორმაცია ცხინვალში დაგეგმილი მიტინგის ჩაშლის შესახებ

საქართველოს სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით 23 ნოემბერს ისტორიულ სამაჩაბლოში, ქ. ცხინვალში უნდა ჩატარებულიყო მიტინგი, რომლის მიზანიც იყო ქართველ და ოს ერებს შორის წარმოშობილი სერიოზული კონფლიქტის მოგვარება, რომ დაწყებულიყო კონსტრუქციული დიალოგი. მაგრამ სამშვიდობო მისია არ შედგა. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მომიტინგები ქართლში არ შეუშვეს (?!). ამიტომ ცხინვალში მივლინებულმა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტებმა ვერ შეძლეს დაგეგმილი რეპორტაჟის მომზადება.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 25 ნოემბერი, 1989 წ.

### ფურთ 7. ცხინვალის მისადგომებთან, 23 ნოემბერი, 1989 წ.



<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1885523.html>

### ფურთ 8. საბჭოთა ჯარისკაცები ცხინვალის მისადგომებთან, 23 ნოემბერი, 1989 წ.



<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1885523.html>

### შესრულებული ტემა 9. ცხინვალიდან დევნილის დღიურიდან

2 იანვარი, 1991 წელი... ზამთრის სუსტიანი დღე... ბედობა დღე... ბედნიერებაც დამეკვება და უბედურებაც... ბედნიერი ვარ, გოგონა შემძინა, პატარა მაკა. ძალიან ლამაზი გოგონაა... უბედური კი იმ ფაქტით, რომ გუშინ ჩვენი სახლი გადაწვეს ცხინვალში... არადა, რა კარგი მეზობლობა და ურთიერთობა გვქონდა ჩვენ, ქართველ და ოს ოჯახებს... ჩვენ ერთმანეთისათვის კეთილი მეზობლები ვიყავით, ერთმანეთს მხარში გუდექით ჭირშიც და ლხინშიც... ახლა კი ტანზე შერჩენილი სამოსის ამარა იძულებულები ვართ ჩემს სოფელში, მშობლებთან ვარიანში დავსახლდეთ... დმეროო, შენ იყავ შემწე ჩვენი კეთილი მეზობლობის აღდგენისა...

ამონარიდი პირადი დღიურიდან (მარიამ მაისურაძე, სოფელი ვარიანი).

#### დავალება 1:

დაიყავით ჯგუფებად. გაეცანით წყაროებს 1–9 და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. პპიზიციის პოლიტიკური ლიდერების მიმართვებში (წყაროები 1, 4) მონიშნეთ ფრაზები, წინადადებები, რომლებიც:
  - აღვივებს ერებს შორის დაძაბულობას;
  - ხელს უწეობს კონფლიქტის მოგვარებას;
2. პერიოდულ გამოცემაში (წყარო 2) გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, განსაზღვრეთ ხელისუფლების პოზიცია და შეადარეთ ის თპიზიციის ლიდერების თვალსაზრისს.
3. დააკვირდით წყაროებს 7, 8 და განსაზღვრეთ:
  - როგორი განწყობა იკითხება ამ ფოტოებზე: მშვიდობიანი? ძალადობრივი?
  - რა იკითხება ფოტოზე (წყარო 8) წარმოდგენილ ლოზუნგზე? რა ქმედებისაკენ მოუწოდებს ასეთი ლოზუნგი?
4. წყაროების 1–9 მიხედვით განსაზღვრეთ: ისტორიული მოვლენების განვითარების მიზეზები 1990-იანი წლების დასაწყისში? გაიხსენეთ, რა მიგრაციული პროცესები მოჰყვა ამ მოვლენებს? რას შეცვლიდით, რათა მოვლენები სხვა გზით განვითარებულიყო?

ჯგუფებში შეასრულებული სამუშაო წარუდგინეთ კლასს.

**განვითარებაზე პირება:** რა გავლენა იქნია 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებზე?

## 22. სამი ქალის დღიური: ქალტირისპირელების გედი საქართველოში

**საკვანძო შეკითხვა:** რა პირობები იყო ბალტიისპირელების ინტეგრაციისათვის XX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში?

### 1. ლიტერატურული საქართველოში

#### შეკითხვა 1.1. ლიტერატურული საქართველოში დასახლების ისტორია

- პირველი ცნობები საქართველოში მცხოვრები ლიტერატურული ბეჭედების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება. ზოგი აქ მსახურობდა, სხვები გადმოასახლეს. აქ მცხოვრებ ლიტერატურა შორის იყვნენ მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, ფარმაცევტები, მოსამსახურები, რომლებიც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ (მაშინ ლიტვა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო) „სამსახურის სასარგებლოდ“ რუსეთის სხვა ადგილებიდან გადმოიყვანა.
- 1912 წ. დაარსდა ურთიერთდამარების ლიტვური საზოგადოება. თავმჯდომარედ აირჩიეს მე-4 ვაჟთა გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი პრანას დაილიდე.
- ლიტერატურული რიცხვმა ამიერკავკასიაში განსაკუთრებით იმატა პირველი მსოფლიო ომის დროს. ესენი იყვნენ ლტოლვილები და გადმოსახლებულები, ასევე ლიტველი ჯარისკაცები, რომლებსაც მეფის ხელისუფლება კავკასიის ფრონტებზე თურქეთის წინააღმდეგ საომრად გზავნიდა.
- ყველაზე მრავალრიცხვანი იყო ლიტერატურული თბილისის კოლონია. ყველა ამიერკავკასიელი ლიტერატური თბილისში მოხვედრას ცდილობდა. აქვე შეიქმნა კავკასიის ლიტერატურა საბჭო, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ლიტერატურული რეგისტრირება და აღრიცხვა, ლიტერატურული სამშობლოში დაბრუნების ორგანიზება, რის შედეგადაც საკუთარ ქვეყანაში 10 ათასი ადამიანი დაბრუნდა.
- ლიტერატურა საბჭო, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ლიტვის არაოფიციალურ საკონსულოს ამიერკავკასიაში. 1918 წლის 30 აგვისტოს პრანას დაილიდე დაინიშნა ლიტვის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში, რომელსაც თავისი თანამემამულეების უფლებები უნდა დაეცვა.

ეურ. „Лучше знать друг друга“, Тб., 2009, გვ. 51.

### შეარო 12. საქართველოში მცხოვრები ლიტგელი ქალის მოგონება



დავიბადე ლიტვაში, ქალაქ კაუნასში. დავამთავრე კაუნასის სამედიცინო ინსტიტუტი. ჩემთან ერთად სწავლობდა ოქურ ქარუხნიშვილი – ჩემი მომავალი მეუღლე. 1970 წელს კაუნასში დავქორწინდით, შემდეგ კი თბილისში ჩამოვედით. მუშაობა დავიწყე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. გვყავს ორი შვილი. ჩემი მეუღლე გორგასალის თრდენის კავალერია. დავიცავი საკანდიდაცი დისერტაცია. მაქვს უმაღლესი კატეგორიის ექიმი-კარდიოლოგის წოდება. ამასთანავე ვარ ლიტვური საზოგადოების „რუტას“ თავმჯდომარე. ეს თრგანიზაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა 1996 წელს თბილისში. ის ირენ ჯიქიამ დააპარსა.

„რუტა“, რომელიც 60-მდე წელს ითვლის, მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს ლიტვიდანაც და ლიტვის საელჩოდანაც. გვიგზავნიან წიგნებს, ფილმებს, DVD დისკებს, პლაკატებს. არსებობს სპეციალური პროექტები, რომელთა მიზანია მსოფლიოში გაფანტულ ლიტველებს, მათ შორის, საქართველოშიც მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ სამშობლოსთან, რათა შეინარჩუნონ ენა, ტრადიციები, სამზარეულო, დღესასწაულები, მთელ მსოფლიოში ვრცელდება ჟურნალები. დიასპორასთან ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, რომელიც ყოველწლიურად აფინანსებს ჩვენს ლიტველ-ქართველ ბავშვებს, რათა გაემგზავრონ ლიტვაში საზაფხულო ბანაკებში და 2-3 კვირა დაისვენონ.

საქართველოში მცხოვრები ყველა ლიტველის შვილები ქართულ სკოლებში სწავლობენ. ძირითადად ოჯახები შერეულია. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ქართველებზე გათხოვილი ლიტველი ქალებია.

ინტერვიუ ზინაიდა ქარუხნიშვილთან, ჩაიწერა ია ხუბაშვილმა, 2009 წლის 10 ოქტომბერი.

### შეარო 13. ლიტვური საზოგადოების „რუტას“ როლი ქართულ-ლიტვური ურთიერთობის საქმეში

ა) 2002 წელს „რუტას“ თაოსნობით საზეიმოდ აღნიშნა ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსის ანტანას ვიენოლის-უკაუსკასის დაბადებიდან 120 წლის იუბილე. საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა იმ ავთიაქის შენობაზე, სადაც ის მუშაობდა თბილისში ყოფნის დროს 1903-1905 წლებში. კავკასიურ სახლში მოეწყო მწერლის ხსოვნის სადამო. ნაჩვენები იქნა ლიტველი კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური ფილმი.



ბ) 1998 წლის ივნისში დიასპორის ფოლკლორულმა ანსამბლმა - „რუტა ზალიგი“ - მონაწილეობა მიიღო მოელი მსოფლიოს ლიტველთა ცეკვისა და სიმღერის რიგით მეორე უკავივალში, რომელიც ვიღნიუს ჩატარდა. დიასპორის ცხოვრებაში მნიშვნელოვან დონისძიებას წარმოადგენდა ლიტვის კულტურის დღეები საქართველოში.

გ) 2006 წელს ლიტვური წიგნების ფონდის მხარდაჭერით, რომელიც დაარსებულია ლიტვის რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდთან, ქართულ ენაზე გამოიცა თანამედროვე ლიტვური პროზა „ჩემი ველები“.

2008 წელს დამთავრდა პროექტი, რომლის მიზანიც იყო ქართულად თარგმნილიყო ლიტვური სიმღერები, ფოლკლორული ისტორიული სიმღერები, რომლებშიც ასახულია ნაციონალური ადამ-წესები. პროექტი დაფინანსებული იყო ლიტვის სახელმწიფოს მიერ. წიგნის მხატვარი, რედაქტორი და პროექტის ავტორიც ქართველები იყვნენ.

უკრაინული „Лучше знать друг друга“, Тб., 2009, გვ. 43, 51.

#### შესრულებული საქართველოს რელიგიის როლი ლიტვების ცხოვრებაში

ლიტვის სახელმწიფო რელიგია კათოლიკობაა. წინა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია ცდილობდა არ დაეშვა ქორწინება არაკათოლიკებს შორის. დღეისათვის ცოლ-ქმრის ერთობლივი მრწამსი თჯახის კეთილდღეობის მნიშვნელოვან პირობად ითვლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკლესია არ ეწინააღმდეგება შერეულ ქორწინებას. ძალიან ბევრია საერთო ქრისტიანული წეს-ჩვეულება, იქნება ეს ტაძრების, ბინის თუ სხვადასხვა ნივთის კურონება, დაკრძალვის რიტუალები.

უკრაინული „ხაქართველოს ქადაგი“, თბ., 2006, გვ. 44-45.

## 2. ლატვიელები საქართველოში

#### შესრულებული საქართველოში ლატვიელების დიასპორის ისტორია საქართველოში

ა) ლატვიელთა პირველი დიდი დიასპორა თბილისში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. ოფიციალურად საზოგადოება დარეგისტრირებული იყო მიხაილოვის პროსპექტის № 180-ში (ახლანდელი დავით აღმაშენებლის № 180). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში გამოვიდა კანონი უცხოელ მოქალაქეთა შესახებ, რომლებსაც ქვეყანა უნდა დაეტოვებინათ. ლატვიელებს, სხვა უცხოელების მსგავსად, ქონება ჩამოერთვათ და ისინი დეპორტირებულ იქნენ სამშობლოში.

უკრაინული „Лучше знать друг друга“, Тб., 2009, გვ. 45.

ბ) ლატვიელთა მეორე დიასპორის დაარსება მეორე მსოფლიო ომს უკავშირდება. 1940 წლის 17 ივნისს საბჭოთა ჯარების მიერ ლატვიის ოკუპაციის შემდეგ, სასამართლოს გარეშე, ლატვიიდან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ დაახლოებით 20 ათასი ადამიანი გადაასახლა. 1941-1945 წლებში გერმანელმა ნაცისტებმა ლატვია დაიპურეს. 1945 წლის 8 მაისს საბჭოთა ჯარებმა გააოვაისუფლეს ლატვია გერმანელი ნაცისტებისაგან. 1949 წლის 25 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ მეორედ განახორციელა დეპორტაცია და საბჭოთა კავშირის შორეულ ტერიტორიებზე, მათ შორის, საქართველოშიც, გადაასახლა 43 ათასი ადამიანი. თბილისში ლატვიელები დასახლდნენ გერმანულ კოლონიაში, რომელიც მდგებარეობდა დიდუბეში, ბაღის ქუჩაზე.

<http://www.Acadbib./v/>

გ) ლატვიიდან საქართველოში ჩამოსული ემიგრანტები თბილისში დასახლდნენ და ხელახლა დაიწყეს ცხოვრება. მათ გახსნეს მაღაზიები, აფთიაქები. მათ შორის შველაზე ცნობილი იყო ევგენის ზემელის აფთიაქი. ლატვიელები მუშაობდნენ თეატრებში, სახელოსნოებში და ა.შ. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ლატვიელმა ინჟინერმა საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში.

პეტერის ურკევიცი იყო ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის პირველი მინისტრი. მისი შვილები და შვილთაშვილები შრომით საქმიანობას დღესაც აგრძელებენ საქართველოში. არნოლდ ზიბერგსი 40 წელი მუშაობდა ქარხანა „ცენტროლიტის“ დორექტორის მოადგილედ. არტურს გრიშანსმა კი მთელი თავისი საქმიანობა ქართული საპატიო ტრანსპორტის განვითარებას დაუკავშირა. 1941-43 წლებში საქართველოს კონსტუდიაში მხატვარ-დეკორატორად მუშაობდა მხატვარი რომან სუბა. იგი ფილმის „გიორგი სააკაძის“ მხატვარ-კონსულტანტი იყო.

Информационный Календарь, 2003 г.

დ) ლატვიელთა დიასპორა საქართველოში მცხოვრებ სხვა დიასპორებთან შედარებით მცირეა [...] ძირითადი ნაწილი უმაღლესი განათლების მქონე ასაკოვანი ხალხია.

ბევრ მათგანს სამეცნიერო ხარისხიც აქვს. მათმა თაობამ შეინარჩუნა ლატვიური ენა. მათი შვილები და შვილთაშვილები კი ძირითადად ქართულად, უფრო ნაკლებად კი ლატვიურად საუბრობენ. ამიტომაც დიასპორასთან მოქმედებს საკვირაო სკოლა, სადაც სწავლობენ ლატვიურ ენას, სიმღერებსა და ცეკვებს. დიასპორის წევრები იცმევენ ნაციონალურ ტანსაცმელს და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონცერტსა და ფესტივალში, რომლებსაც საქართველოში ნაციონალური უმცირესობები მართავენ [...]

უკანასკნელ წლებში ლატვიამ დიასპორა აღიარა თავის შემადგენელ ნაწილად. ორგანიზაციის წევრებს სისტემაზერად იწვევენ ლატვიაში კონფერენციებზე, სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულებზე, რომლებიც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ იმართება. ლატვიის ულამაზეს ადგილებში შეიქმნა საზაფხულო ბანაკები, სადაც მსოფლიოს უკანასკნელ იწვევენ ლატვიელ ოჯახთა სამ თაობას [...]

ინტერვიუ რეგისა კოლეგა-იაკობიძესთან ჩაიწერა ია ხუბაშვილმა, 2009 წლის 12 ოქტომბერი.

## შპარტ 22. საქართველოში მცხოვრები ლატვიელი ქალის ბედი

ა) დავიბადე რიგაში. დავამოავრე ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. ასპირანტურში სწავლის დროს გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე დავით იაკობიძე (შემდგომში საქართველოს ფინანსთა მინისტრი, რომლის ხელმოწერაც არის ქართული ფულის – ლარის ერთეულზე – რედ.) და დავქორწინდით. 1975 წელს რიგაში საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. გაითხულობდი ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1990 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბ) ლატვიელთა დიასპორა 1994 წელს ჩემი უშუალო თაოსნობით დაარსდა. მას იან რაინისის პოემის სახელწოდება – *Ave Sol* (დიდება მზეს) დავარქვით. ამით ჩვენ გვინდა ვთქვაო, რომ მსოფლიოს მზე აერთიანებს და არავითარი დაყოფა სიკეთებდე არ მიგვიყვანს. ჩვენი დიასპორის სახელწოდება ამავე დროს მოკლე გზავნილიცაა: შეგნებამ იმისა, რომ ჩვენ კერ ადამიანები ვართ და მერე ლატვიელები, ქართველები, რუსები თუ სომხები. ლატვიელთა საზოგადოება 200 წევრს ითვლის. ვარ ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში.

ინტერვიუ რეგისა კოლეგა-იაკობიძესთან ჩაიწერა ია ხუბაშვილმა, 2009 წლის 12 ოქტომბერი.

СОЧИ

### შესახებ 2.3. ქართულ-ლატვიური შერეული ოჯახების შესახებ

ა) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოსულმა ლატვიელებმა ქართველებთან ქორწინებით შერეული ოჯახები შექმნეს. ასე გაჩნდა ქართულ-ლატვიური ოჯახები. შერეულ ოჯახებში ქალს დამატებითი პასუხისმგებლობა აკისრია. მან შვილები ისე უნდა აღზარდოს, რომ ისინი ერთნაირი პასუხისმგებლობით მოვალეობა ირივე ეროვნების გულტურასა და ტრადიციებს. ლატვიურ-ქართულ ოჯახებში არ მომხდარა ბავშვების რუსიფიკაცია. მათი უმრავლესობა სწავლობდა და სწავლობს ქართულ სკოლებში და შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას. პირადად ჩემს ოჯახში პატარა გლობალური სამყარო არსებობს; ვსაუბრობო ქართულ, რუსულ, ლატვიურ და ინგლისურ ენებზე. ჩემმა ვაჟმა, რომელიც რიგაში დაიბადა, ქართველი გოგონა შეირთო ცოლად, თბილისში დაბადებული ქალიშვილი, ნინო იაკობიძე კი ლატვიელს გაჲყვა ცოლად. ნინო 2004 წლიდან თავმჯდომარეობს ლატვიის ქართულ საზოგადოებას „სამშობლო“. საზოგადოებაში საქართველოდან რეპარიორებული ყველა ადამიანია გაწევრიანებული.



ლატვიური დიასპორის წარმომადგენლები

ბ) უნდა ითქვას, რომ ლატვიელი ქალებისათვის არც თუ ისე ადვილია ქართული გულტურისა და ტრადიციის მიღება, მაგრამ ოჯახის ფასეულობა ნებისმიერ სიტუაციას აგვარებს. შერეულ ოჯახებში იშვიათად ისმის კითხვა: ვინ უკეთესია, ქართველი თუ ლატვიელი? ბავშვებს შესანიშნავად ესმით, რა არის კარგი და რა ცუდი. პრობლემა ოჯახში არაა.

ინტერვიუ რეგისა კოლეგიუმისათვის, ჩაიწერა ია ხუბაშვილმა,  
2009 წლის 12 ოქტომბერი.

### შესახებ 2.4. ლატვიური დიასპორის გულტურული საქმიანობა

ლატვიური დიასპორის პირველი ერთობლივი დონისმიერია იყო ლიგოს დღესასწაული, რომელსაც წარმართული ისტორიული ფესვები აქვს და აღნიშნავენ ყოველი წლის 23 და 24 ივნისს. ეს არის დამის დღესასწაული კოცონებით, ლუდითა და ყველით. ამ დღოს მათი სახლის კარები ღიაა მეზობლებისთვის, მეგობრებისა და შემთხვევითი სტუმრებისთვისაც კი. ლატვიელები ჩაკეტილი და ინდივიდუალიზმით გამორჩეული ხალხია. მათ არასოდეს უცხოვრიათ თემებად, ამიტომაცაა ლიგოს ზეიმი განსაკუთრებული დატვირთვის. ლიგო ერთიანობის ზეიმია და მისი აღნიშვნა მარტობაში არ შეიძლება. ზეიმის დამთავრების შემდეგ ირკვევა, ვინ უკეთესი მასპინძელი იყო.

ინტერვიუ რეგისა კოლეგიუმისათვის, ჩაიწერა ია ხუბაშვილმა,  
2009 წლის 12 ოქტომბერი.

### 3. ესტონელები საქართველოში

#### შეკვეთ 3.1. ესტონური დიასპორის ისტორია საქართველოში

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აფხაზეთში გაჩნდა ესტონური დასახლებები. დღეს საქართველოში ცხოვრობს პატარა ესტონური დიასპორა. როგორც წესი, ამ ადამიანებს ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, რომლებსაც ერთნაირად უყვართ ესტონეთიც და საქართველოც. ესტონური დიასპორის ხელმძღვანელია რეგინა კახიძე, რომელიც დაინტერესებულ პირებს ესტონურ ენას ასწავლის და მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა.

უკრაინი „Лучше знать друг друга“, თბ, 2009. გვ. 92.

#### შეკვეთ 3.2. ესტონელების დასახლება გაგრის რაიონში

საბჭოთა პერიოდში, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ესტონელების ერთ-ერთი დასახლება იყო გაგრის რაიონში, სალმენის სოფლის საბჭოსთან არსებული სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ზოგი აქ საკუთარი ნებით გადმოსახლდა, როდესაც სიდუხჭირესა და მცირემიწიანობას გამოექცა, ზოგი კი იძულების წესით დაასახლეს, როგორც სასჯელი.



სალმენის სოფლის საბჭოსთან არსებული სტალინის სახელობის კოლმეურნე ქალები ვაზის ნარგებებს უვლიან, 1940 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, კინოფოტო-ფონი განყოფილება, სალმენის სოფლის საბჭოს აღმოჩენი, A37.

#### შეკვეთ 3.3. ესტონელი ქალის მოგონებები



ა) დავიბადე 1944 წლის 16 თებერვალს ესტონეთში, ქალაქ პიარნუში. მამა – ედუარდ პალმი თეატრის ცნობილი რეჟისორი იყო. იგი 1945 წელს ციმბირში გადასახლეს და სამგზის გაქცევის მცდელობისათვის დახვრიტეს. 1962 წელს ტალინში დავამთავრე სკოლა. ვიყავი ქალთა კალათბურთის გუნდის კაპიტანი. სკოლის დამთავრებისთანავე ჩემს გუნდთან ერთად მოსპოვში გავემგ ხავრე, სადაც ტარდებოდა საბჭოთა პავილინის ჩემპიონატი კალათბურთში. იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე დავით ბედია, რომელიც ქართველ კალათბურთელთა გუნდის „დინამის“ კაპიტანი იყო. მაშინ 18 წლის ვიყავი, დავითი კი 19-ის. მოსკოვის შემდეგ

გვქონდა მიმოწერა. 1963 წელს დაგქორწინდით. საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. ქართულის შესწავლა დავიწყე. 1973 წელს დავამთავრე ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გერმანული ენის სპეციალობით და მუშაობა დავიწყე ლიტერატურული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში. მყავს ორი შვილი; გოგონა ინგა და ვაჟი – დავითი.

ბ) ბუნებამ ენების ადვილად შესწავლის ნიჭით დამაჯილდოვა. ვფლობ 6 ენას, ვხატავ და ვმდერი. 1975 წელს პირველად ვთარგმნე ესტონურ ენაზე ნ. ღუმბაძის „დიდრო“, 1977 წელს ტალინში გამოვიდა მისი მოთხოვობების კრებული სახელმწიფო „მზე“, შემდეგ ვთარგმნე რ. ინანიშვილის მოთხოვობები, ნ. ღუმბაძის რომანი „მარადისების ჯანინი“, ა. კუსრაშვილის, თ. ჭილაძის, ნ. ლორთქიფანიძის, გ. რჩეულიშვილის, გ. პეტრიაშვილის ნაწარმოებები. ვთარგმნე, ასევე, მ. ჯავახიშვილის „ბგაჭი კვაჭანტირაძე“.

მთარგმნელობითი გამოცდილება დამეხმარა და 1981 წელს დავიწყე შოთა რუსთაველის „ვეფხისტეაოსნის“ თარგმნა, რომელიც ათი წლის შემდეგ დავასრულე. ეს პოემა ესტონეთში რამდენჯერმე გამოიცა.

გ) მე არ მჯერა იმ ადამიანების, ვინც ამაყად აცხადებს: „მე ორი სამშობლო მაქვს“. სამშობლო ერთია. მე ძალიან მიყვარს საქართველო, ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო ესტონეთია. განა შეიძლება გულგრილი ვიყო იმ მიწისადმი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც ვცხოვრობდი. მხოლოდ მაშინ ხარ შენი სამშობლოს ერთგული, თუ მუდამ გეხსომება ის.

დ) იუბა პალმი-ბედია დამაკავშირებელი ხიდი გახდა ესტონეთ-საქართველოს მხატვრულ-ლიტერატურული საქმიანობის სფეროში. მისი სახელი ესტონეთის ენციკლოპედიაშია შეტანილი. იგი 1996 წელს გარდაიცვალა.

იუბა პალმის მოგონებიდან, უკრაინი „Лучше знать друг друга“, თბ, 2009, გვ. 92.

### ტექსტი 3. 4. ტარტუს უნივერსიტეტის იუბილე თბილისში

2008 წლის ოქტომბერში აღინიშნა ტარტუს უნივერსიტეტის 375 წლის იუბილე. ამ წელს განმავლობაში იქ დაახლოებით 500 ქართველი სწავლობდა. ეს საზეიმო თარიღი თბილისშიც აღინიშნა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა ოეატრში მოეწყო ესტონეთის ცეკვის ანსამბლის გასტროლები. ამ სადამოზე ესტონური დიასპორის ხელმძღვანელს საქართველოში რეგინა კახიძეს გადაეცა ესტონეთის რესპუბლიკის მექუთე კლასის „თეორი ვარსკვლავი“ სამშობლოსა და ესტონელი ხალხის წინაშე დამსახურებისათვის.

იქვე.

## დაგალება:

დაიყავით სამ ჯგუფად

- ლიტველი ქალის მოგონებები
- ლატვიელი ქალის მოგონებები
- ესტონელი ქალის მოგონებები

და მოცემული წერტილის დახმარებით დაწერეთ ერთი ფურცელი ერთ ან ორ ქვემოთ მითითებულ ოქმაზე:

- ა) ყოველდღიური ცხოვრება
- ბ) ურთიერთობა ქართულ გარემოსთან
- გ) ახალ გარემოში ცხოვრების სიძნელეები
- დ) საზეიმო დღეები
- ე) ლიტველების/ლატვიელების/ესტონელების მოდვაწეობა. საქართველოში დატვებული კვალი

თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინეთ მუშაობის შედეგები.

**განვითარებადებული პიტჩი:** რა არის საერთო საქართველოში მცხოვრები ბალტიისპირელი ქალების ბედში?

## 23. „სხვა საქართველო სად არის“: 1990-იანი წლების გამიზაცია

**საკვანძო კითხვა:** რატომ ტოვებდნენ საქართველოს მოქალაქეები სამშობლოს 1990-იანი წლების დასაწყისში?

### შეკვეთ 1. ემიგრანტების ეთნიკური შემადგენლობა

საქართველოდან წასული ემიგრანტების უმეტეს ნაწილს ეროვნული უმცირესობები შეადგენს. მაგალითისათვის მოვიტან 1992 წლის მონაცემებს. ეს პერიოდი ემიგრაციის განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა. საქართველოდან გასულ პირთა 60%-ს რუსები და უკრაინელები შეადგენს. მათი უმეტესობა ქალაქელები არიან. საქართველოდან წასულ აზერბაიჯანელთა უმეტობა სოფლელებია [...] ემიგრაციაში წასული სომხების დიდი ნაწილი რუსეთში ან უცხოეთში გადაიხვეწა. ოსების მიგრაციული აქტიურობა 1992 წელს იყო და განპირობებული იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის ესპალაციით.

გურამ სვანიძე, ემიგრაცია საქართველოდან და მიხი გამომწვევი მიზეზები (სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები), იურიდიული ქურნალი, 1998, №1, გვ. 71-73.

### დაგაჭიბა 1:

1. განიხილეთ, რა მოვლენები მოხდა საქართველოში 1991-1992 წლებში, რამაც, თქვენი აზრით, აიძულა ეს ადამიანები საქართველოდან წასულიყვნენ?
2. დააღინეთ მათი თანმიმდევრობა.

### შეკვეთ 2. ქართული კუპონის მიმართ უცხოური გალუტის კურსი

უცხოური ვალუტა	1993 წ. 23 სექტემბერი	1994 წ. 27 იანვარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	18,468.07 კუპონი	227,119.58 კუპონი
გერმანული მარკა	7,489.61 კუპონი	106,949.09 კუპონი
აშშ დოლარი	12,047.00 კუპონი	185,675.00 კუპონი
ფრანგული ფრანკი	2,146.48 კუპონი	31,428.33 კუპონი
100 რუსული რუბლი	1,140.00 კუპონი	1,110.00 კუპონი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური გალუტის კურსი ქართული კუპონის მიმართ, 1993 წლის 23 სექტემბერი და 1994 წლის 27 იანვარი.

**შეარო 3.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის დადგენილება საქართველოს ეროვნული ბანკის 100 000 ლირებულების ნომინალის კუპონის მიმოქცევაში გამოშვების შესახებ

გამოშვებულ იქნეს მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი – 100 000 ლირებულების ნომინალით.

ბანკის პრეზიდენტი ბ. ჯავახიშვილი  
თბილისი, 25 ოქტომბერი, 1994 წ.

**შეარო 4.** განცხადება გაზეთში ელექტროენერგიის მიუწოდებლობის შესახებ ძვირფასო მკითხველო!

გასულ შაბათს, 5 მარტს, ჩვენი გაზეთი ისევ და ისევ ელექტროენერგიის მოუწოდებლობის გამო ვერ გამოვიდა! კიდევ ერთხელ (ეს უკვე მერამდენედ) გიხდით ბოდიშს და გულწრფელად ვწუხვართ, რომ საქენეროს მოუქნელი, უნიათო მუშაობის გამო, მდგომარეობა ვერ გამოვასწორეთ! იქნებ დღეიდან მაინც...

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №35 (838), 8 მარტი, 1994 წ.

**შეარო 5.** ცხოვრების ხარისხის ინდექსი, 2005 წ.

ადგილი	ქვეყანა	ცხოვრების ხარისხი (10 ქულიდან)
1	ირლანდია	8.333
22	საბერძნეთი	7.163
85	სომხეთი	5.422
86	აზერბაიჯანი	5.377
87	საქართველო	5.365
111	ზომბაბვე	3.892

[http://en.wikipedia.org/wiki/Quality-of-life\\_index](http://en.wikipedia.org/wiki/Quality-of-life_index)

## დაგალება 2:

შეაფასე, წყაროების 2-5 მიხედვით, საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა.

**შეარო 6. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1994 წლის 26 ნოემბერი**  
ჩვენ, აფხაზეთის ხალხი, ვახორცილებოთ რა საკუთარი თვითგამორკვევის უფლებას...  
საზეიმოდ ვაცხადებთ და ვადგენთ ამ კონსტიტუციას [...]

### მუხლი 1.

რესპუბლიკა აფხაზეთი (აფხსი) არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბდა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით [...]

რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ მხეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასხერ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005, გვ.194-195.

## შესახებ 7. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1993 წლის 2 ნოემბერი

სამხრეთ ოსეთის ხალხი, გამოხატავს რა თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი სწრაფვას, [...] აცხადებს რა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას სუვერენულ სახელმწიფოდ და ერთა თანამეგობრობის თანასწორუფლებიან სუბიექტად, იდებს ამ კონსტიტუციას, ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს ძირითად კანონს...

გაზეთი „Южная Осетия”, №132, 8 დეკემბერი, 1993 წ.

## შესახებ 8. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების დონისძიებების შესახებ, 1996 წლის 17 აპრილი

[...] სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ტერორისა და აპარტეიდული რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ ასევე აფხაზეთის ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები, სომხები და თვით აფხაზებიც, რომელთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და თავი შეეფარებინა საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

პარლამენტის უწყებები. საქართველოს პარლამენტის ყოველკვირკველი ქურნალი, 1996, №5-6, გვ.56.

### დაგენერა 3:

შეაფასე, წყაროების 6-8 მიხედვით, საქართველოში არსებული პოლიტიკური კო-თარება.

## შესახებ 9. რესპუბლიკაში მოქმედებს საგანგებო წესები

... იმ მძიმე კრიმინოგენული ვითარების თაობაზე, რის გამოც აუცილებელი გახდა რესპუბლიკაში საგანგებო წესების შემოღება. 8 თვეში რეგისტრირებულია 12 850 სისხლის სამართლის დანაშაული, მოხდა 573 განხრას მკვლელობა, 200-ზე მეტი სხეულის განხრას მძიმე დაზიანება, ჩადენილია 2000-მდე ძარცვა-ყაჩაღობა, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე დათარეშობები შეიძრაღებული ბანდები, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობენ სხვადასხვა უკანონო შეიძრაღებული დაჯგუფებები... დანაშაულის 60%-ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით არის ჩადენილი.

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, პოლიციის გენერალ-მაიორთან ჯემალ მიქელაძესთან. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 სექტემბერი, 1993 წ., №207, გვ. 3.

## შესახებ 10. ემიგრანტების მდგომარეობა საზღვარგარეთ

[...] ვიზების ვადის გასვლის შემდეგ საბერძნეთში ჩასული ემიგრანტები, ძირითადად კი, ოჯახის მარჩენადი ქალები, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ტყვეობაში ხვდებიან. კველაზე მძიმე სამუშაოდ ბაგშევებისა და ლოგინად ჩავარდნილი მოხუცების მოვლა ითვლება. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევები აქაც არის.

ემიგრანტი ქალები, უმეტესად, გამიზნულად მიდიან ამ ნაბიჯზე. თუმცა, ზოგჯერ უფლება და უპასპორტობა, უცხო ენის არმცოდნენი, დია ცის ქვეშ, ბედის ანაბარა რჩებიან. ვინც ენა იცის, მას მეტი ფასი აქვს. ამდენად შეურაცხეოფას არ იომენს. ახალბედებს კი, რომლებსაც ენის ბარიერის გამო „უენიებს“ უწოდებენ, დიდხანს უწევთ ლოდინი, ვიდრე მათოვის მისაღებ სამსახურს იშოვიან. ამიტომ ოჯახში ცულის გამოგზავნის ნაცვლად, ვალებს იგროვებენ.

ნინო ცხოვიძე, მდიდარი ბერძნები სხვაგან მეტად ქართველ ქალებს ენდობიან. ტრეფიკინგი, თუ იძულებითი მოხება?!, ქურნალი „ემიგრანტი“, №2, 5-19 ივლისი, 2004 წ.

**შესახებ 11.** გაზეთი კულტურული და სპორტული ცხოვრების შესახებ 1990-იანი წლების შუა სანის საქართველოში

ა) ცამეტი წლის განშორების შემდეგ მშობლიურ თბილისში 4 აგვისტოს თბილისის მუსიკალური ცენტრი და სიმფონიური ორკესტრი უმასპინძლებს ცნობილ ქართველ დირიჟორს პერბერტ ფონ კარაიანის სახელობის კონკურსის ერთად-ერთ ქართველ ლაურეატს, ამჟამად კი, სამხრეთ კორეის ცნობილი ორკესტრისა და ეროვნული საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორს ვახტანგ ქორდანიას.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 89, 25 ივლისი, 1995 წ.

ბ) ტრადიციული კარატეს ქართველი ოსტატები ამერიკის დია ჩემტიონატზე იმსახურებენ თვი მედალს, მათი სენ-სეი პატა ჭელიძე კი ჩემტიონატის საუკეთესო მწვრთნელის დიდ თქმოს მედალს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 89, 25 ივლისი 1995 წ.

**დაგანება 4:**

1. დაიყავით ჯგუფებად და წყაროების 1-11 მიხედვით.

შეავსეთ ჩანაწერების ფურცელი 1.

**ჩანაწერების ფურცელი №1**

რა მნიშვნელოვანი მოვლენები იყო საქართველოში 1990-იან წლებში?


თარიღი	პოლიტიკური მოვლენები	ეკონომიკური მოვლენები	სოციალური მოვლენები	ყოველდღიურობა

2. თითოეულმა ჯგუფმა დაასახელოს ხუთი მიზეზი, რის გამოც შეიძლებოდა საქართველოს დატოვება ან დარჩენა.

ჩაწერეთ ეს მიზეზები ჩანაწერების ფურცელზე №2.

**ჩანაწერების ფურცელი №2.**

რატომ ტოვებდნენ საქართველოს 1992-1993 წლებში



**ბანდაზოგადებელი კითხვა:** შეძლეს თუ არა 1990-იანი წლების ემიგრაციებმა სხვა საქართველოს ნახვა?

## 24. პანონი და რეალობა

**საკვანძო კითხვა:** როგორი იყო საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 1920-40-იან წლებში?

### შესარღვა 1. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაზე

1. ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია...
3. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია იწამოს ნებისმიერი რელიგია, ან არ იწამოს არც ერთი...
5. უზრუნველყოფილია რელიგიური რიტუალების თავისუფლად აღსრულება, თუ ისინი არ არღვევს სახოგადოებრივ წესრიგს და საბჭოთა რესპუბლიკის კანონებს.
9. სკოლა გამოყოფილია ეკლესიისგან. ყველა სახელმწიფო და სახოგადოებრივ, ასევე, კერძო სასწავლო დაწესებულებებში, სადაც საერთ-საგანმანათლებლო საგნები ისწავლება, რელიგიური მრწამსის სწავლება იკრძალება.

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი, 23 იანვარი, 1918 წელი.

### შესახებ 2. გ. ი. ლენინი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ

ჩემი აზრით, რელიგია ნებისმიერი ადამიანის პირადი, კერძო საქმეა და სახელმწიფო მასში არ უნდა ერეოდეს. ამავე დროს, პარტიის წევრისთვის რელიგიის მიმართ დამოკიდებულება არ არის პირადი საქმე. სახელმწიფოს არაფერი ესაქმება რელიგიასთან – ყველა ადამიანი თავისუფალია და შეუძლია იწამოს ნებისმიერი რელიგია ან არ იწამოს არც ერთი, ე. ი. იყოს ათეისტი, უდმერთო, როგორც ჩვეულებრივ არის ყველა სოციალისტი.

გ. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, 1918 წელი, გამომდევნობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969, გვ. 17.

### შესახებ 3. ლ. ნ. ტროცკი\* სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე

სახელმწიფო ეკლესიისგან დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს. ჩვენ ქვეყნის ფეოდალური გადმონაშობისგან გათავისუფლებისაკენ მივისწრაფით. დროა სამდგრელოების არსებობა დასრულდეს. ჩვენი წარმატება მხოლოდ ეკლესიისგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

ლ. ნ. ტროცკი, პერმანენტული რევოლუცია, მოსკოვი, 1918, გვ. 12 (რუსულ ენა ზე).

\* ლ. ნ. ტროცკი – ბოლშევკინების ერთ-ერთი დიდერი. გ. ი. ლენინთან ერთად მეთაურობდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას.

### დავალება 1.

1. წყაროების 1, 2, 3 დახმარებით ახსენი, რას ნიშნავს, შენი აზრით, „ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს“?
2. განსაზღვრე წყაროებს 1-3 შორის, რომელს აქვს საკანონმდებლო ძალა?
3. წყაროებში 2 და 3 ხაზი გაუსვი წინადადებებს, რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ლიდერების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ.
4. გაარკვი საბჭოთა მოქალაქეების რომელი ჯგუფის ინტერესებია დაცული ამ წყაროებში?
5. ჩამოაყალიბე არგუმენტები ბოლშევიკების რელიგიური პოლიტიკის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.
6. შენი აზრით, რა როლს ანიჭებდნენ რელიგიას ბოლშევიკების ლიდერები:
  - ა) ადამიანების პირად ცხოვრებაში
  - ბ) რევოლუციურ პარტიაში
  - გ) სახელმწიფოში

### შეარო 4. ეკლესიების ნგრევა 1920-40-იანი წლების საბჭოთა კავშირში

ა)



ბ)



## დაგალება 2.

1. შენი აზრით, ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ადამიანები, გადაღებული დანგრეული ეკლესიების ფონზე?
2. იპოვე კავშირი წყაროებს 1-4 შერის და წარმოიდგინე, რომ იმ დროს იქ იყავი; გამოხატე შენი დამოკიდებულება ფოტოებზე გამოსახული პროცესის მიმართ, თუ ხარ:
  - ა) მოხუცი ადამიანი
  - ბ) ახალგაზრდა მოხელე
  - გ) შენი ასაკის მოზარდი.
3. წყაროებში 1-3 მონახე წინადადებები, რომლებიც იმდროინდელი ლოზუნგებისათვის გამოგადგება, მაგალითად, „ძირს ეკლესია, გაუმარჯოს ათეიზმს!“ და მოიფიქრე საპირისპირო შინაარსის ლოზუნგები.


## წყარო 5. სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის შედეგები თბილისში



ა) ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი გოლოვინის (ახლ. რუსთაველის) პროსპექტზე



იგივე ადგილი დღეს



ბ) შიომღერი მეჩეთი ავლაბრის ხიდთან



იგივე ადგილი დღეს

გ) კირხეს\* გერმანული ეკლესია  
მარჯანიშვილის მოედანზე

იგივე ადგილი დღეს

### დაგალება 3:

განმარტე წყაროზე 5 (ა,ბ,გ) ასახული მოვლენები. რატომ ანგრევდნენ ეკლესიებს,  
სამლოცველოებს საქართველოში?

**განმაზობარებელი პითიგა:** რა მონაწილეობას იდებდნენ ქართველი  
ბოლშევიკები სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განხორციელებაში?

\* კირხეს ეკლესია – 1944 წელს თბილისში გერმანელ ტევენტს დაანგრევინეს 1897 წელს აგებული წმ.  
პეტრეს და პავლეს სახელობის ლუთერული ეკლესია (კირხე).


## 25. „უღმერთო სახელმწიფო“

**საკვანძო პირება:** რატომ ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო ყველა აღმსარებლობის ადამიანს 1920-30-იან წლებში?


**ტყარო 1.** 1920-30-იანი წლების საბჭოთა პლაკატები



ა) „რელიგია-საწარმლავია; დაიცავი ბავშვები“



ბ) „რელიგია ადამიანებს აბრუებს“



გ) „ძირს რელიგიური დღესასწაულები“

### დაგალება 1:

1. აღწერე თითოეული პლაკატი ცალ-ცალკე: რა არის მათი შინაარსი? ვინ და რა თბიექტებია მათზე გამოსახული?
2. განსახლებული პლაკატის მიზანი, ზეგავლენის რა საშუალებებია გამოყენებული და მოსახლეობის რომელ ჯგუფებზე ზემოქმედებას ითვალისწინებს?
3. ახსენი პლაკატებზე მოცემული ლოზუნგების შინაარსი.
4. იგარაუდე, ვინ აღიქვამდა მათ დადებითად და ვინ – უარყოფითად?

### შესრულებული უცხოელი ავტორის გამოკვლევა

ემელიან იაროსლავსკიმ 1925 წლისთვის შექმნა „უდმერთოთა კავშირი“, რომელიც 1929 წლისთვის „მებრძოლ ულმერთოთა კავშირად“ გადაკეთდა. იგი 1932 წლისთვის საკავშირო მასშტაბით 5 500 000 წევრს აერთიანებდა; მან მეტად აქტიური მუშაობა გაშალა. უშესებდა სამეცნიერო უურნალს „რელიგიის წინააღმდეგ“ (1926-1941). მრავალ-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა ბროშურები, კარიკატურები, პლაკატები, რაც გათვალისწინებულ სოციალურ თუ პოლიტიკურ ფენებზე. აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო რწმენა-წარმოდგენების და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა, რაშიც ჩართეს ლიტერატურა, კინო და თეატრი. ტარდებოდა ანტისაეკლესიო თემატიკის კონფერენციები, გამოფენები.

უან ლუი ვან რეჟისორტერი, მიუჟლ ლორანი.  
გალენის მდგრძალებელი საბჭოთა სინამდვილეში (1917-1945),  
ქრისტიანული კვლევები, III, 2009, გვ. 223-224.

### დაგალება 2:

1. შენი აზრით, რა მიზნით შეიქმნა „მებრძოლ ულმერთოთა კავშირი“?
2. მოძებნე და გამოყავი წეაროში 2 ის წინადადებები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას.
3. წეაროდან 2 აირჩიე ერთი წინადადება, რომელიც, შენი აზრით, ამ დოკუმენტის სათაურად გამოდგება.
4. წეაროების 1 და 2 მიხედვით, ჩამოთვალე, რა ხერხებით ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო სხვადასხვა რელიგიას? შენი აზრით, რომელი იქნებოდა მათ შორის ყველაზე ეფექტური და რატომ?
5. დაიყავით ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში:
  - ა) ჩამოყალიბეთ 3-3 შეხედულება, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს დამოკიდებულება მოსახლეობის რელიგიური უფლებებისადმი;
  - ბ) შექმნით პლაკატი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა მორწმუნის, ასევე, ათეისტების შეხედულებები და უფლებები.

**ბანდაზობადებელი კითხვა:** როგორ ახსნი სამუშაო ფურცლის სათაურს „ულმერთო სახელმწიფო“?

## 26. ვარული ლოცვა

**საპგანძო პითხება:** რა შედეგი მოჰყვა რელიგიური პოლიტიკის ცვლილებას საბჭოთა კავშირში 1940-70-იან წლებში?

### მყარო 1. საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ცვლილების შესახებ

ა) მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი სერიოზული საფრთხის წინაშე ადმონიდა, საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ერთობლივი და შეთანხმებული ნაბიჯი გადადგა საგარეო საფრთხის წინააღმდეგ მოსახლეობის დასარაზმად. გერმანელი ფაშისტების საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე სამღვდელოებამ მოსახლეობას საბჭოთა კავშირისადმი პატრიოტული ერთგულებისა და მტრის წინააღმდეგ გმირული ბრძოლისკენ მოუწოდა. მთავრობამ გააუქმა ათეისტური გაერთიანებები და მოლიანად ამოიდო ანტირელიგიური გამოცემები, რის პარალელურადაც 1942 წელს გამოქვეყნდა საეკლესიო კალენდრები და სასულიერო შინაარსის თემატური კრებულები.

უახლო ვან რესემორტერი, მიშეღ დორანი, კალების მდგრადარეობა საბჭოთა სინამდვილეში (1917-1945), ქრისტიანული კვლევები, III, 2009, გვ. 226.

ბ) 1945 წლის 5-16 დეკემბერს საქართველოს აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ, რომელიც რელიგიური ოვალსაზრისით შიიტები იყვნენ, ჩატარა რელიგიური დღესასწაული „შახსეი-ვახსეი“\*. განსაკუთრებით დიდი პომპეზურობით ჩატარდა ის ყარაიაზის (იგივე გარდაბანის) რაიონში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ექვსი სოფლის მცხოვრებნი...

1950-იან წლებში ისლამური რელიგია აჭარაში და, კერძოდ, ბათუმში კიდევ უფრო გაძლიერდა. რამაზანის\*\* თვეში მეჩეთში მორწმუნეთა რაოდენობა ხშირად 300 კაცს აღწევდა, ხოლო „ბაირამობის“\*\*\* დაწყებამდე მეჩეთში დამეს ათევდა 400 ადამიანი, რომელთა შორის მრავალი ჩამოსული იყო აჭარის სხვადასხვა სოფლიდან. 1954 წელს „ბაირამობის“ დღესასწაულზე მორწმუნეთა საერთო რაოდენობამ 2500 მიაღწია.

ა. სონდულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I, თბ., 2005, გვ. 234.

გ) საბჭოთა კავშირში ქრისტიანული ეკლესია თავისუფალია შინაურ საქმეებში. მას რწმუნებულთა მეშვეობით ხელსაც უწყობენ. ეკლესიას წმინდა ნაშოებიც დაუბრუნეს და უმაღლესი თუ საშუალო სკოლებიც გაუხსნეს. სანოლის სახელოსნოებისა და ხატებ-ჯგუფების საწყობის გახსნის უფლებაც მისცეს, წიგნებსა და ჟურნალებსაც უსტამბავენ, ლიტანიებსაც \*\*\*\* ამართვინებენ.

ნაწყვეტი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე (1932-1952)  
სიტყვიდან, წიგნში: კ. თორაძე, ნ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია  
XIX და XX საუკუნეებში, 1996, თბ., გვ. 268.

\* შახსეი-ვახსეი, იგივე აშურა – შიიტ მუსლიმებთან იმამ ჰუსეინის მოხსენიება, რომელიც 680 წელს მოკლეს.

\*\* რამაზანი – მუსლიმური მთვარის კალენდრის მე-9 თვე, როდესაც მორწმუნენი ინახავენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე 40 დღის განმავლობაში.

\*\*\* ბაირამია, იგივე კურან-ბაირამი – ისლამში მსხვერპლ შეწირვის დღესასწაული. ამ დღეს მორწმუნები კლავნ ცხვრებს, საჭმელს ურიგებენ გაჭირვებულებს და მათ, ვისთანაც ნაჩეუბრები არიან.

\*\*\*\* ლიტანია – ქრისტიანობაში, საყოველთაო ლოცვა, რომლის დროს ეკლესიას გარს უკლიან.

## დავალება 1:

1. მოძებნე წყაროში 1 (ა, ბ, გ) საბჭოთა კავშირში ახალი რელიგიური პოლიტიკის ამსახველი ფაქტები.
2. ახსენი, რატომ პქონდა საერთო პოზიცია ეკლესიას და სახელმწიფოს ომის წლებში?
3. იმსჯელე, წყარო 1-ის საფუძველზე, მეორე მსოფლიო ომის წლებსა და მის შემდეგ რელიგიური პოლიტიკის ცვლილების მიზეზებსა და შედეგებზე.

## წყარო 2. ხელისუფლების წარმომადგენელი სახელმწიფოს ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებლი ცოდნით და რელიგიასთან იდეური ბრძოლის პროპაგანდის ნაცვლად, ზოგიერთ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთში, ასევე, ზოგიერთი ლექტორისა და მომხსენებლის გამოსვლაში დაშვებულია შეურაცმყოფელი გამონათქვამები და გამოხდომები იმ სასულიერო პირებისა და მორწმუნების მიმართ, რომლებიც რელიგიურ კულტმსახურებას ეწევიან; არის შემთხვევები, როდესაც პრესის ფურცლებსა და პროპაგანდისტების სიტყვიერ გამოსვლებში ზოგიერთი რელიგიური კულტმსახური და მორწმუნე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გამოყვანილია ადამიანებად, რომელთა პოლიტიკური ნდობა არ შეიძლება. ზოგიერთ რაიონში ადგილობრივი ორგანიზაციების და ცალკეული პირების მხრიდან ხდება რელიგიური გაერთიანებებისა და ჯგუფების საქმიანობაში ჩარევა, ასევე, სასულიერო წოდების მიმართ უხეში დამოკიდებულების შემთხვევები.

ნაწყვეტი სკაპ ცკ\* მდივნის ნ. ხრუმხოვის წერილიდან,  
1954, 10 ნოემბერი.

## დავალება 2:

1. დაუკავშირე ხრუმხოვის წერილი (წყარო 2) ახალ რელიგიურ პოლიტიკას.
2. მოძებნე წყაროებში 1 (გ) და 2 შენი მოსაზრების დამადასტურებელი სიტყვები.
3. შეადარე კათალიკოს პატრიარქის კალისტრატეს და ნ. ხრუმხოვის გამონათქვამები. რამდენად შეესაბამებოდა ისინი რეალობას?

\* სკაპ ცკ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

### შეკვეთი 3. სამოქალაქო უფლებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება – აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არაკითარ რელიგიას, ასრულებდნენ სარელიგიო რიტუალებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას. რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით შედლისა და სიძულვილის გაღვივება აკრძალულია. საქართველოს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია,  
თავი 7, მუხლი 50, თბილისი, 1978.

### შეკვეთი 4. რელიგია 1970-იანი წლების საქართველოში

საქართველოს ეკლესია ყოველწლიურად გამოსცემს კალენდრებს, სასულიერო სემინარიის „საღვთისმეტყველო კრებულს“, საპატიოარქოს საინფორმაციო ბიულეტენს, ასევე უშვებს აღმანახს „ჯვარი ვაზისა“. ეს ილუსტრირებული ქურნალი 1978 წლიდან წელიწადში ორჯერ გამოიცემა. განკუთვნილია ძირითადად დვოისმსახურებისა და საეკლესიო აქტივისთვის. ნაწილი ვრცელდება უცხოეთში.

გ. ბერინეგი, მართლმადიდებლობა დღევანდველ დღეს, მოსკოვი,  
1990, გვ. 89-90 (რუსულ ენაზე).

### შეკვეთი 5. თანამედროვეების მოგონებები

ა) 1973 წელს, საბჭოთა კაგშირის პერიოდში, ბაბუაჩემი ალიევი ალი მაშადი ჰასან-ოდლი გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს ლოცვის აღვლენის უფლება არ მოგვცეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მისი ყველა ვაჟი კომუნისტური პარტიის წევრი იყო და ერიდებოდათ ხალხის დასანახად მოლის მოყვანა. ამიტომ ის მალულად ოთახში შევიყვანეთ, სადაც ჩუმად ლოცულობდა; ხალხმა ვერაფერი გაიგო. მეც თავად პარტიის წევრი ვიყავი და მეჩეთში არ დავდიოდი, რადგან სამსახურის დაკარგვის მეშინოდა.

ინტერვიუ ელიურა ალიევასთან (მარნეული), 55 წლის,  
ჩაიწერა ბ. ლორთქიფანიძემ, 2009 წლის 7 ივნისი.

ბ) საბჭოთა პერიოდში კომპარტიის წევრებს ეკლესიაში სიარული თვითიალურად არ ეკრძალებოდათ. თუმცა, თუ რაიმე თანამდებობაზე იყავი და ეკლესიაში დაგინახავდნენ, ან საყვედურს გამოგიცხადებდნენ, ან კომუნისტური პარტიიდან გაგრიცხავდნენ, რაც სამსახურის დაკარგვას ნიშნავდა. ამიტომ პარტიის წევრები ერიდებოდნენ ეკლესიაში სიარულს. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ნათლავდა შვილებს. მეც ასე მოვიქმედი და ჩემი შვილები მალულად მოვნაოდე.

ინტერვიუ თოარ ახმეტელთან (თბილისი), 78 წლის,  
ჩაიწერა ბ. ლორთქიფანიძემ, 2009 წლის 19 მაისი

**შესარტ 6.** რელიგია 1960-70-იანი წლების საბჭოთა სატირაში



- ა) — როგორ მკურნალობდით?  
— აი ამით...



- ბ) ის არც თანახმაა და არც წინააღმდეგი,  
მან უბრალოდ თვალი აარიდა.

კუპრინიკების\* პლაკატები

### დაგვალება 3:

შეადარე წყაროები 3-6 და გააქეთე დასკვნები.  
მოიფიქრე ჟოველი კარიკატურისოფის საკუთარი ტექსტი.

**ბანდაზობადებელი კითხვა:** რატომ ლოცულობდნენ საბჭოთა საქართველოში ფარულად?

\* კუპრინიკები — სამი მხატვრის — მიხეილ კუპრიანოვის, პერეფირი კრილოვისა და ნიკოლაი სოკოლოვის ფსევდონიმი.

## 27. თანამშრომლობა თუ შეუწყისარებლობა?

**საკვანძო პიტჩი:** რამდენად იყო აღმსარებლობა და ეროვნულობა კონფლიქტების მიზეზი დამოუკიდებელ საქართველოში XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე?

### შესახებ 1. ქართველი მეცნიერი 1980-იან წლებში საქართველოში არსებულ რელიგიურ გითარებაზე

ეროვნული აქტივიზაციის კვალობაზე, განსაკუთრებით 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, მრავალი უმწვავესი პრობლემა დაგვიგროვდა, რომლებმაც ეთნოკონფლიქტების სახით იხინა თავი. ამის მიზეზია, რომ წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა და „ხალხთა ურდვევი მმობის“ მოჩვენებითი ლოზუნების უკან იჩქმალებოდა უამრავი მტკიცნეული პრობლემა. მრავალი ეროვნული და ეროვნებათშორისი საკითხი არასწორად, მხოლოდ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით წყდებოდა.

ა. სონდულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I, 2005, გვ.209.

### დაგალება 1:

განსაზღვრე, მეცნიერის აზრით, რომელი იყო ეთნიკური კონფლიქტების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი?

### შესახებ 2. საგანეთო სტატია ეპლესის გამო რელიგიურ დავაზე

სამცხე-ჯავახეთის პატარა სოფელ ივლიტაში კარგა ხანია არსებობს რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტი. აქაური კათოლიკები და მართლმადიდებლები ვერ იყოფენ ტაძარს. ამიტომ ჯერჯერობით, ტაძარში ლოცულობს მორწმუნეთა ორივე ჯგუფი – ოერთმეტ საათამდე კათოლიკები, ოერთმეტის შემდეგ – მართლმადიდებლები. ხატები და სხვა სიწმინდეებიც ასევე შერეულია – კათოლიკურიცაა და მართლმადიდებლურიც. საქმის ასეთი გადაწყვეტილ უკმაყოფილოა ყველა. თითოეული მხარე ცდილობს მეორე მხარის ტაძრიდან განდევნას: კათოლიკები ირწმუნებიან,

რომ ტაძარი მათი აშენებულია და ამიტომ მათი კუთვნილებაა. მართლმადიდებლების აზრით, ტაძარი მათი აგებულია. ორივე მხარე ირწმუნება, რომ აქვს საკუთარი პოზიციის მყარი არგუმენტები. საქმეს ართულებს ისიც, რომ ტაძრის კუთვნილების საკითხის გადაწყებაში ერევიან სხვადასხვა პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები. კერძოდ, მართლმადიდებელი წინამდგვარი და მისი მრევლი ჩივის, რომ თავისუფლების ინსტიტუტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არიან შეწუხებული; ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები სოფელში ჩადიან და მოუწიდებენ მრევლს, დატოვონ ტაძარი. აქ იგულისხმება, რომ შარშან კავკასიური ინსტიტუტის ინიციატივით, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები სოფ. ივლიტაში ჩავიდა, რადგან გავრცელდა ცნობა, რომ მართლმადიდებელმა წინამდგვარმა ტაძრის ეზოში დაკრძალული კათოლიკე მისიონერების უძველესი საფლავები ასფალტის ფენის ქვეშ მოაქცევინა. წინამდგვარმა ჩასულებს განუმარტა, რომ მას მხოლოდ კეთილი ზრახვები ამოძრავებდა – სურდა უკეთ შეენახა საფლავები.

გაზეთი „ახალი თაობა – კვირიდან კვირამდე“,  
24-25 აპრილი, 2005 წ.

### **შესარცვალო კონფლიქტის შესახებ სამხერეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში**

ახალქალაქის რაიონის სომხურ სოფელ წინუბანში ადგილობრივი კათოლიკები ევანგელისტ-ორმოცდაათიანელებს დაუპირისპირდნენ. სოფელში 300 მოსახლეა, საიდანაც 36 ორმოცდაათიანელია\*, დანარჩენი კი კათოლიკები. გაზეთის მიხედვით, ორმოცდაათიანელების მიმართ განსაკუთრებული შეუწყნარებლობით ადგილობრივი კათოლიკე მღვდელი – მამა პოდოს გრიგორიანი გამოირჩევა, რომელიც მათ წინააღმდეგ ეპლესიაში ქადაგებს. მან ორმოცდაათიანელებს „კარიტასის“ ფონდის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაც შეუწყვიტა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კათოლიკე თანასოფლებებმა ორმოცდაათიანელებს სოფლის სასაფლაოზე შესვლა აუკრძლეს – სხვა ადგილი მოითხოვეოთ. გაირკვა, რომ სოფლის საშუალო სკოლაში მამა პოდოსი რელიგიის გამგეოთილებს ატარებს, რაც კანონითაა აკრძალული; მდგრელი ამ ფაქტს თვითონაც არ უარყოფს.

ორმოცდაათიანელებმა თავისი უფლებების დასაცავად სახალხო დამცველის ოფისს მიაშურეს. ფაქტების გადამოწმების შემდეგ აქ ჩათვალებს, რომ ადგილი აქვს აშკარა რელიგიურ დისკრიმინაციას და გენერალურ პროკურატურას მიმართეს.

6. ფრანგიშვილი, კათოლიკეები ორმოცდაათიანელების წინააღმდეგ,  
გაზ. „რეზონანსი“, 21 იანვარი, 2006 წ.

### **დაგვალება 2:**

1. წყაროების 2 და 3 საფუძველზე განსაზღვრე, რა არის რელიგიური ჯგუფების კონფლიქტის კონკრეტული მიზეზი?
2. შენი აზრით, რა არის ამ კონფლიქტური ვითარების მოგვარების გზა?

\* ორმოცდაათიანელები – მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი სექტა.

**ტყარო 4.** საქართველოს საპატრიარქოს განცხადება რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდული კლუბების შექმნის შესახებ

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალი, ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (მაკარიკი) შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს. შეხვედრას, რომელიც საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა, ესწრებოდნენ წმინდა საყდრის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტი, კათოლიკური დახმარების სამსახურის წარმომადგენლები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრები, სხვა სასულიერო და საერო პირები.

საუბარი შეხვო კათოლიკური დახმარების სამსახურის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას „ვაშინო მომავალი“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდული კლუბების შექმნას.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას დაუშვებლად მიაჩნია, რომ იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც მართლმადიდებელია, რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია, საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად, ანხორციელებდეს საგანმანათლებლო პროგრამას საერო სკოლებში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ისინი რელიგიისგან თავისუფალია. ამგვარი ქმედებანი საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს ჩვენს მოსახლეობაში და ჩრდილს აუქნებს რომის საყდარსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობას.

შეხვედრაზე, რომელიც ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში წარიმართა, ნათლად გამოიკვეთა თრივე მხარის პოზიცია, რომელთა შეჯერების შედეგად რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა შეჩერდება.

ახალი ამბების ხაგებზო, 25 აგვისტო, 2005 წელი.



სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

**ტყარო 5.** კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიმართვა

საქართველოს ძლიერებასა და ერის ერთობას დღესაც საფუძვლად სულიერება და უნერბიობა უნდა დაედოს. ამასთან აუცილებელია თვითმყოფადი ცნობიერებისა და კულტურის შენარჩუნება, რომელიც მთლიანად ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზეა დაფუძნებული. ამით დედა ეკლესია არ ქადაგებს კარჩაკეტილობას და ოდნავადაც არ აკნინებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების მნიშვნელობას: პირიქით, ყველაზ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია როგორც აღმოსავლეობა, ისე დასავლეობა,

ჩვენი ტრადიციისთვის ასევე მიუღებელია შეუწყნარებლობა და აგრესია უცხო ერებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი. ისტორიულად საქართველოში არასოდეს ყოფილა დევნა და შევიწროება ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. ესაა მიზეზი იმისა, რომ აქ მცხოვრები სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლები სიყვარულით არიან განმსჭვალულნი ჩვენი მიწა-წყლისა და ხალხისადმი.

„საპატრიარქოს უწყებანი“, №35 (243), 5-11 ხელბეჭრი, 2003 წ.

## შესარღო 6.

ა) პატრიარქის ვიზიტი  
აზერბაიჯანში, რელიგი-  
ათაშორისი დიალოგი –  
„ურთიერთგაგებიდან თან-  
აშშრომლობამდე”, საერ-  
თაშორისო კონფერენცია,  
ბაქო, 2009 წელი.



ბ) 2008 წლის 29 სექტემბერს 12 ეკლესიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო  
მშვიდობის კურთხევაში ეჩმიაძინში (სომხეთი).

## დავალება 3:

1. შენი აზრით, რას გულისხმობს კათოლიკოს-პატრიარქი კარხაჭეტილობაში?
2. იმსჯელეთ, მოგანილ წყაროებში სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა  
შორის წარმოქმნილი დავის გადაწყვეტის როგორი ხერხი მოინახა და შეუძლიათ  
თუ არა, ეს ორი მაგალითი გამოიყენონ სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგე-  
ლებმა შემდგომი ურთიერთობებისას.
3. წყაროს 6 (ა, ბ) მიხედვით განსაზღვრე, რა მიზნით შეიკრიბნენ სხვადასხვა რე-  
ლიგიის ლიდერები.

**განვაზღვადებელი კითხვა:** ისტორიიდან მაგალითების მოშველიებით,  
რა გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე სხვადასხვა რელიგიის წარმო-  
მადგენელთა თანამშრომლობა და ურთიერთშემწყნარებლობა?

## 28. საქართველო მართლგადიდებლებისთვის?

**საკვანძო პიტჩი:** რამდენად მისაღებია ფრაზა: საქართველო მხოლოდ მართლმადიდებლებისთვის?

**შეკვეთ 1.** თბილისი, 2010 წელი, ერთ-ერთი სკოლის კედელი



**დაგვალება 1:**

როგორ ფიქრობთ, სკოლის კედელზე მოთავსებული წარწერა არის თუ არა სხვა-დასხვა აღმსარებლობის ადამიანებისთვის შეურაცხმყოფელი?

**შეკვეთ 2. საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა**

2002 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსახლეობის რელიგიურობის ნიშნით აღწერა აწარმოა, რომლის შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი. გაირკვა: საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც მაშინ ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა, 4 375 535 სულს ითვლიდა; მართლ-მადიდებლებლად თავს 3 666 233 ანუ 83,9% თვლიდა, კათოლიკები – 34 727, ანუ 0,8%; სომეხთა სამოციქულო ეპლესიის წევრად – 171 139, ანუ 3,9%; ოუდეველად – 3 541, ანუ 0,1%; მუსლიმად – 433 784, ანუ 9,9%; სხვა რელიგიის აღმსარებლად – 28 631, ანუ სულ 0,8%; არცერთი რელიგიის მიმდევარი არ იყო – 28 631, ანუ 0,6%.

რელიგიები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველობას არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008, გვ. II.

### დაგვალება 1:

- როგორ ახსნი საქართველოში ამგვარ რელიგიურ მრავალფეროვნებას?
- მოიტანე რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი ნებისმიერი კონფლიქტური ვითარება საქართველოს ან მსოფლიო ისტორიიდან; კონფლიქტების გადაჭრის რა გზები გამოიყენეს და რა შედეგები მოჰყვა მათ?

### შესარჩო 3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვა

2005 წ. ნოემბერში ქ. სტამბულში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მშვიდობა და შემწყნარებლობა“. კონფერენციას სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მან მოუწოდა მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს გაერთიანდნენ და აქტიურად შეუწყონ ხელი ერთა შორის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის აღდგენას.

ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება, თბილისი, 2006, გვ. 16.

### დაგვალება 2:


- რა როდი შეიძლება ითამაშოს ეკლესიამ კონფლიქტური ვითარების მოგვარებაში თანამედროვე ეპოქაში? ვის შეუძლია კიდევ ამგვარი კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის მიღება?
- შენი აზრი, რა კავშირშია ერთმანეთთან „მშვიდობა და შემწყნარებლობა“?

### შესარჩო 4. კულტურული ურთიერთობის ცენტრის „კავკასიური სახლის“ გამოკითხვის შედეგები. 2004 წლის მაისი

გამოიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 170 სტუდენტი – 65% მამაკაცი, 35% ქალი; გამოკითხულთაგან მართლმადიდებელია 96%, ათეისტი – 4%.


რელიგიური რწმენის ადამიანები, რომლებთანაც რესპონდენტები  
არ ისურვებდნენ მეგობრობას

გრაფიკი №1



**რელიგიური რწმენის ადამიანები, რომლებთანაც რესპონდენტები  
არ ისურვებდნენ ოჯახის შექმნას**

(გრაფიკი №2)



**დაგალება 3:**

- დააკავშირე გამოკითხულთა პასუხები წყარო 1-სთან და იმსჯელება, რამდენად ტოლერანტულია გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი.
- გამოხატე შენი დამოკიდებულება ამ გამოკითხვის მიმართ და შენც გაეცი პასუხი იმავე კითხვებს.

**ბანაზობადებელი კითხვა:**

რატომ უნდა იზრუნოს ქვეყნის მოსახლეობის მართლმადიდებელმა უმრავ-ლესობამ სხვა აღმსარებლობის ადამიანების უფლებებზე?



## 29. კათოლიკები XX საუკუნის ძათაისში

**საპგანძო კითხვა:** როგორი იყო ქუთაისის მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი კათოლიკების მიმართ XX საუკუნეში?

### შესახებ

#### 1. ქართველი კათოლიკების საქმიანობის

კათოლიკე მისიონერებისა და ქართველი კათოლიკების ერთ-ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს იმერეთში სამკურნალო საქმის დანერგვა და მისი შემდგომი განვითარება, სააფიოაქო საქმის აღორძინება, მცირე საწარმო ფაბრიკების დანერგვა და უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. ისინი ასევე კარგად ჩანდნენ კულტურულ და საზოგადოებრივ განვითარებაში.

ნებ ზარ კვარაცხელია, ქუთაისელი კათოლიკები XIX საუკუნეში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის 6. ბერძენიშვილის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, გვ. 97.

#### 2. ქუთაისელი კათოლიკების საქველმოქმედო საქმიანობის

ქუთაისის კათოლიკობა არის სწავლა-განათლების მიმდევარი. სწავლას ემსახურება მათი ეკლესიაც და ეკადემიური, რაც იქ არის. აქ პპოვებენ შვებას და მფარველობას გვემული, დატაკი, ქვრივი, ოხერნი, მოხუცი და უქონელნი. მის ხიდად კი ხსენებული ეკლესია არის გამხდარი და მის შეძლებულ მრევლოა წვლილი, რომელსაც ისინი ხშირად გაიღებენ ხოლმე.

ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკოთა ეკლესია საქართველოში, ქუთაისი, 1903, გვ. 75.

#### 3. ქუთაისის კათოლიკური ეკლესია



#### შესახებ 4. კათოლიკურ პირების მოღვაწეობა ქუთაისში

ჩემი ბავშვობის დროს კათოლიკეთა ეკლესიაში მღვდელი დონ დამიანე სააკაშვილი ქალაქის ყველა ბავშვს უყვარდა. ახლა, რომ ვუკვირდები, მაოცებს ის დამოკიდებულება, რომელიც მაშინ კათოლიკე პატრი ჰქონდა ხალხთან... იმდენ შესანიშნავ ამბავს გვიყვებოდა ეს „ფრანგი მღვდელი“... სხვათაშორის, იგი ნაკლებად ეხებოდა რელიგიის საკითხებს. მისი ოქმა იყო საქართველოს ისტორია... ჩვენც წარმოშობით მართლმადიდებელი ბავშვები, რომლებიც მეტად ათეისტურად ვიყავით განწყობილი, სულგანაბული ვუსმენდით პადრეს.

მამია ასათიანი, გეგუთის ძელქვები,  
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968, გვ. 335-336.

#### დაგალება 1:

1. გაეცანი წყაროებს 1-4, უპასუხე კითხვებს, მიუთითე შესაბამისი წყარო:
  - ა) როგორ დასახლდნენ კათოლიკები ქუთაისში?
  - ბ) როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება კათოლიკეთა მიმართ?
  - გ) რატომ ეძახდნენ პადრე დონ დამიანე სააკაშვილს „ფრანგ მღვდელს“?
2. აღწერე კათოლიკეთა საქმიანობა და შეაფასე იგი?
3. აირჩიე წყარო 4-დან ერთი წინადაღება, რომლითაც დაასათაურებდი ნარკვევს ქუთაისელ კათოლიკებზე

#### შესახებ 5. კათოლიკების საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისში ცნობილი პიროვნება იყო იოსები ივანეს ძე ოცხელი. 1892 წელს მან ქუთაისში დააარსა საბავშვო ბადი, რომელიც 1903 წლამდე არსებობდა. 1901 წლიდან იყო ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე, რომელიც 1904 წელს მისი ინიციატივით გიმნაზიად გადაკეთდა და სიკვდილამდე მას ხელმძღვანელობდა. იოსები თცხელი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე. სხვათან ერთად, მისი ერთ-ერთი დამსახურებაა ქუთაისში წიგნის გამომცემლობის „განათლება“ და „შეოლას“ დაარსება.

ნუგ ზარ კვარაცხელია, ქუთაისელი კათოლიკები XIX ს-ში,  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის ხახელობის  
სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.  
ქუთაისის მეზეუმის მასალები, კრებული XI, გვ. 96.

## შესარტო 6. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა ადგილობრივი სკოლის აღმზრდელზე

მის აღმატებულებას ბატონ კავკასიის ოლქის მზრუნველს  
ქუთაისის გუბერნიის აზნაურებისაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი გთხოვთ მიაქციოთ თქვენი ყურადღება ქუთაისის სა-  
თავადაზნაურო სკოლას. ადგილობრივმა კომიტეტმა წარმოადგინა სკოლის ინსპექტო-  
რის თანამდებობაზე კაცი, თუმცა უმაღლესი განათლებით, მაგრამ არა მართლმადიდე-  
ბლური სარწმუნოების. თავადაზნაუროა სკოლაში, რომელიც ინახება თავადაზნაუროა  
საშუალებით, სწავლობს 500 ბავშვი. ყველანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაუროა  
შვილებია, სარწმუნოებით მართლმადიდებელნი... არ გვსურს ჩვენი შვილების აღმზ-  
რდელი იქნას კათოლიკე. ბატონი იოსებ ოცხელი ჰქონდა კათოლიკი კათოლიკე.“

ქუთაისი, 1900 წლის 12 დეკემბერი

ხელს აწერს 15 აზნაური.

ილია გენდეხაძე, იოსებ ოცხელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,  
ქუთაისის ფილიალი, 1989, გვ. 9.

### დაგალება 2:

გაეცანი წყაროებს 5 და 6. განიხილე, რა შედეგი მოჰყვებოდა განცხადებას? დაასა-  
ბუთე შენი ვარაუდი.

### შესარტო 7. ადგილობრივი თავადაზნაური ქალის პასუხი

აი ხელთ მაქვს პირი იმ სამარცხინო განცხადებისა, იმ საოცარი მოწმობისა, ჩვენი  
თავადაზნაურობის სიბრძელისა, სიბეჭავისა, გონიერივი სისუსტისა და სრული გამოთ-  
აყვანებისა... აი მოისმინეთ, რას წერენ ეს ვაჟბატონები მის აღმატებულებას კავკასიის  
ოლქის მზრუნველს: ოცხელის მოშორებას თხოვლობენ! ხელს აწერს თხუომეტი აზნ-  
აური! ესენი არიან თქვენი მოწინავე მამულიშვილები და კეთილშობილი აზნაურები?...  
ზოგჯერ მე მრცხვენია, რომ მათ წოდებას ვეკუთვნი!

ტახო ლორთქიფანიძე, მშობელი, ოენგიზ ბუაჩიძის დედა.  
თენგიზ ბუაჩიძე\*, აღსარება, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1986, გვ. 21.

### დაგალება 3.

1. იპოვე წყაროში 6 ის სიტყვები, რომლითაც ქუთაისელმა ქალბატონმა განცხადები-  
სადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა.
2. მონახე წყაროებში 5 და 6 მსგავსებისა და განსხვავების ნიშნები.
3. ილია გენდეხაძის წიგნში „იოსებ ოცხელი“ (ქუთაისი, 1989, გვ. 9) მითითებულია,  
რომ აზნაუროა განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია. ახსენი, რაზე მეტყველებს ეს?
4. მოიტანე და განიხილე შენოვის ცნობილი მსგავსი მაგალითები თანამედროვებიდან.

\* თენგიზ ბუაჩიძე – ქუთაისის მკვიდრი, მწერალი.

### შესახებ ტყარო 8. ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის შესახებ

ა) დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და სახელოვანი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, აღმსარებლობათა სხვაობის მიუხედავად, ერთად იღვწოდნენ პედაგოგიურ და საეკლესიო საფუძველზე. ბ. ფალიაშვილმა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში აღზრდილმა, შემდგომ – თბილისის ფერისცვალობის კათოლიკური ტაძრის ორდანისტმა და რეგენტმა, თავს იდო ქართული მართლმადიდებლური საგალობლების შესწავლა და დამუშავება. მან საქართველოში პირველმა გადაიდო ნოტებზე „წმინდა ითანე ოქროპირის წირვის წესი“ და შეადგინა ქალ-ვაჟთა ოთხ ხმაზე მგალობელი გუნდი.

ნუგ ზარ პაპუაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი – მოგონება,  
გაზეთი „საქართველოს კათოლიკე“, თბილისი, უკრანია „საბა“, თბილისი,  
№1, 1994, აპრილი, გვ. 5.

ბ) ხომ იცით „ფრანგი“ ვარ და როცა „ფრანგების“ ყურამდე მივა შაქრო (ზაქარია) საქუთარი ინიციატივით სწერს მართლმადიდებელი ეკლესიის საგალობლებს, მეტი რომ არ ვთქვა, არ მომიწონებენ. სულ სხვა შოაბეჭდილება მოხდება, როცა გაიგებენ შაქრო საზოგადოების დავალებით სწერს საგალობლებსო,“ – უთქვამს კათოლიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძისათვის ზაქარია ფალიაშვილს (1938 წ).

ნუგ ზარ პაპუაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი – მოგონება, უკრანია „საბა“, №9 (21), 2004, სექტემბერი, გვ. 6.

### დაგვალება 4:

1. ახსენი წყარო 7-ის საფუძველზე:
  - ა) რას გულისხმობდნენ თანამედროვეები სახელწოდება „ფრანგის“ ქვეშ?
  - ბ) რისი ეშინოდა ზაქარია ფალიაშვილს?

### ტყარო 9. საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასის“ შესახებ

15 წელია მოქმედებს ქუთაისში და მთელ საქართველოში კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი“, რომელიც ახორციელებს პუმანიტარულ პროექტებს. ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი, უფასო ამბულატორია ინგალიფთა და პენსიონერთათვის, უფასო მედიკამენტები, შინ მოვლის საპატრონაჟო სამსახური, დევნილების დახმარების პროგრამა, უფასო სასადილო უმწეოთათვის, პურის საცხობი (30 დასაქმებული). ამ პროექტებში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია.

ინტერვიუ ლევან ბეგიშვილთან, საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასის“ ხელმძღვანელთან, ჩაიწერა ნათია ნამიჭვიშვილმა, 2010, 5 ივნისი.

### დაგვალება 5:

1. შეადარე წყარო 9 წინა წყაროებს და ახსენი, რა ცვლილებები მოხდა კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის ურთიერთობაში?

**ბანაზობადებები კითხვა:** რატომ თვლიდნენ თავს სხვადასხვა კონფესიის ადამიანები, მათ შორის, კათოლიკები, უბირველესად, ჭეშმარიტ ქუთაისლებად?



European Association of History Educators

[www.euroclio.eu](http://www.euroclio.eu)

***Tolerance Building through History Education in Georgia***

*How to Teach History and Citizenship in a multicultural and  
multi-confessional Environment?*

ISBN 978-9941-0-3633-0

A standard one-dimensional barcode representing the ISBN number.

9 789941 036330